

ესეველთა ჰიმნები

მანანა გიგინეიშვილის თარგმანი
მისივე წინასიტყვაობითა და შენიშვნებით



გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: ლია მოსეშვილი

© მანანა გიგინეიშვილი

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2018

ISBN 978-9941-16-555-9

მთარბმენლისაგან

ღვთაებრივი სიტყვის, ლოგოსის, იდეა კაცობრიობის ცნობიერების უძველეს ეტაპს უკავშირდება. ვიდრე იოანე მახარებელი აუწყებდა ადამიანებს, რომ „პირველითგან იყო სიტყუაჲ, და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“, – ვიდრე დადგებოდა ჟამი, როცა იგი იტყოდა, რომ „სიტყუაჲ იგი ჳორციელ იქმნა და დაემკვდრა ჩუენ შორის“, – ანუ ვიდრე გვახარებდა, რომ ქრისტე მოგვევლინა, – ამ ჟამამდე ბევრად ადრე ღვთაებრივი სიტყვის იდეა თან სდევდა კაცობრიობის განვითარებას და კაცთა მოდგმა ელოდა ღვთის სიტყვის, ლოგოსის, განსხეულებას.

უძველესი ინდური კულტურის მესაძირკვლე შვიდი რიში „ვიშვა კარმანის“, ანუ ღვთაებრივი სიტყვის, იდეას აცნობდა თავის ხალხს. ზარათუშტრა აჰურა მაზდას სახით აზიარებდა ადამიანებს იმავე ღვთაებრივ ძალას და მის ხორციელქმნას მოელოდა. ქრისტეს აქეთ პირველ საუკუნეში თეოფილე ფილოსოფოსი და ქრისტიანობის სხვა აპოლოგეტები სოკრატესა და პლატონს „ქრისტემდელ ქრისტიანებს“ უწოდებდნენ ლოგოსის იდეის შემეცნებისკენ

სწრაფვის გამო. ასევე „ქრისტემდელ ქრისტიანად“ მოიხსენიებს თომას მანი, უდიდესი ერუდიტი, ფარაონ ეხნატონს, ქრისტემდე XIV საუკუნეში მოღვაწეს, რელიგიის რეფორმატორს.

გამოხდა ხანი და ღვთის სიტყვის შესახებ მოძღვრება, იდეა ღვთის სიტყვის განსხეულებისა, დაუკავშირდა ისრაელს, ანუ ღვთის რჩეულ ერს. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებმა ნათლად გამოხატეს მესიანიზმის იდეა. ძველ აღთქმაში განსაკუთრებული სიმძაფრით აისახა მოლოდინი ღვთაებრივი სიტყვის, იმ ღვთაებრივი ძალის განსხეულებისა, რომელიც სინას მთაზე და უწვავ მაყვლოვანში ეცხადებოდა მოსე წინასწარმეტყველს. ბიბლიის შემქმნელი ერის ცნობიერებაში ცოცხლობდა მოლოდინი მესიის, ღვთის სიტყვის, განსხეულებისა, რასაც აღუთქვამდა და რისთვისაც ამზადებდა ამ ერს მოსე წინასწარმეტყველის ათი მცნება, ამზადებდნენ ესაია, დანიელი, იეზეკიელი, იერემია და ძველი აღთქმის სხვა წინასწარმეტყველები, ენოქისა და იობის წიგნები.

დამპყრობელთა და დამამხობელთაგან ნატანჯი ერის ცნობიერებაში სულიერი აღორძინების მოლოდინს ეროვნული თავისუფლების წყურვილიც ერთოდა და კიდევ უფრო აღვივებდა ამ ერის წიაღში მესიის განსხეულების იმედს. ისრაელი, ანუ ღვთის რჩეული ერი, ხომ მესიანისტური ღვთაებრივი აღთქმის გამო ეწოდა ებრაელ ერს.

ძველი წელთაღრიცხვის II-ი საუკუნეებში განსაკუთრებით გამძაფრდა მესიის მოლოდინი.

მესიანიზმის იდეისთვის ერის შესამზადებლად გადადგმულმა ერთ-ერთმა ნაბიჯმა – ძვ. წ. V საუკუნეში ფარისეველთა ორდენის დაარსებამ („ფარისეველი“ გამორჩეულს, განსაკუთრებულს ნიშნავს) – არ მოიტანა სასურველი შედეგი. ფარისეველთა მიზანი იყო იუდეველთა სისხლის სინმინდის დაცვა, მოსე წინასწარმეტყველის მცნებათა აღსრულებისთვის ხელშეწყობა და ამ გზით მესიის მოსვლისთვის ისრაელის შემზადება. მაგრამ ფარისევლები დაშორდნენ ორდენის დამფუძნებლის, ეზრას, და მისი მონაფეების ამაღლებულ მიზნებს, თანდათან ყურადღება გადაიტანეს ამქვეყნიურ ყოფით ინტერესებზე და ფანატიზმში გადაიზარდა მათი მოღვაწეობა.

იყო მეორე ნაკადიც – სადუკეველები, იუდეველი მღვდელთმთავრის, სადოკის მოდგმა. ერის სულიერი აღორძინების ნაცვლად, ისინიც წუთისოფლის ინტერესებით შემოიზღუდნენ, ამქვეყნიური პატივისა და მონაგების მოპოვებას დახარბდნენ.

ფარისევლებმა და სადუკეველებმა აკი ვერც მიიღეს ქრისტე, ვერ ირწმუნეს მესია, ვერ შეძლეს საკუთარ სულში ქრისტეს ძალით გასხივოსნებული „ახალი ადამის“ შობა.

ქრისტიანობის წინა ხანაში ისრაელის წიაღში ფარისეველთა და სადუკეველთაგან სრულიად განსხვავებული სულისკვეთების მქონე სხვა გაერთიანებაც ჩაისახა. ეს იყო ესეველთა ძმობა, ესეველთა ორდენი.

ესეველებს მიიჩნევენ მოსე წინასწარმეტყველის დროიდან არსებული „ნაზირეველთა“ ძმობის იდეე-

ბის გამგრძელებლად. როგორც ნაზირეველთა გაერთიანებას, ასევე ესეველებსაც, მიზნად ჰქონდათ სადღესვალთო ყოფითი ინტერესებით მოცულ საზოგადოებრივ გარემოცვაში შეექმნათ ერთობა ამალღებულ, ზეგრძნობად ინტერესთა მქონე ადამიანებისა, რომელნიც ანთებულნი იქნებოდნენ სულიერ ფასეულობათა წვდომის სურვილით და თავიანთი სწრაფვით საფუძველს განუმტკიცებდნენ საზოგადოებაში შემეცნებითი და ზნეობრივი ფასეულობების დამკვიდრებას.

IV საუკუნის ღვანღმოსილი სასულიერო მოღვაწე ეპიფანე კვიპრელი გვაუნყებს, რომ ნაზირეველები ესეველებადაც ინოდებოდნენ მეფსალმუნე მეფის, დავით წინასწარმეტყველის, მამის, იესეს, გამო.

ქრისტიანული კულტურის ცნობილი მკვლევარი ემილ ბოკი (Emil Bock, Caesaren und Apostel, New York, 1999) აგრეთვე აღნიშნავს, რომ ესეველობა იყო მოსე წინასწარმეტყველის დაფუძნებული ნაზირეველთა ძმობის იდეების გაგრძელება და გაღრმავება. ესეველთა მიზანი იყო შემზადება ერთგვარი ბირთვისა, რჩეულთა ჯგუფისა, რომელიც ყოველდღიური ყოფის სიმძიმეში ჩაფლული ერის წიაღში იზრუნებდა სულიერ ფასეულობებზე, ცნობიერების ამალღებაზე. ეს უნდა ყოფილიყო ადამიანთა ერთობა, რომელიც შეძლებდა ღირსეულად შეგებებოდა მესიის მოსვლას. ბიბლიის შემქმნელი ერი ნაზირეველს უწოდებდა იმ პიროვნებებს, რომლებმაც სულიერი წვრთნითა და ღრმა განსწავლით მიაღწიეს ნათელხილვის მაღალ

დონეს და ეზიარნენ მესიის მოსვლისა და დავითის გენეალოგიურ შტოში მისი შობის საიდუმლოს.

ესეველთა შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია შემონახული ელინისტური ფილოსოფიის ცნობილი წარმომადგენლის, ფილონ ალექსანდრიელის, ნაშრომებში: „იუდეველთა სიძველენი“ და „ჭვრეტითი ცხოვრებისათვის“. ესეველთა ძმობაზე საინტერესო ცნობებს გვანვდის ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი თავის ნაშრომში „იუდეველთა ომი“, ასევე – რომაელი ისტორიკოსი პლინიუს უფროსი თავის „ბუნებრივ ისტორიაში“. ესენი ყველანი ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის მოღვაწენი არიან, თანამედროვენი ესეველთა ძმობისა.

ესეველებს აგრეთვე მოიხსენიებენ გვიანი ხანის სასულიერო მოღვაწენი და ისტორიკოსები: კლიმენტი ალექსანდრიელი (II-III სს.), ევსევი კესარიელი (IV ს.), იერონიმე (IV ს.), ეპიფანე კვიპრელი (IV ს.), ნილოს სინელი (IV ს.) და სხვანი.

მათ მიერ მოწოდებული ცნობებიდან ნათელი ხდება, რომ ესეველთა ძმობის წევრთა რაოდენობა 4000 კაცს აღემატებოდა, ცხოვრობდნენ ჯგუფ-ჯგუფად, 200-200 კაცთან სამოებად; მკვიდრობდნენ ქალაქებში, მაგრამ მეტწილად ქმნიდნენ თვითწარმავებისთვის, ჭვრეტითი ცხოვრებისთვის შესაფერ მყუდრო დასახლებებს.

ესეველებს მიაჩნდათ, რომ ჭეშმარიტი ძმობის არსს არ შეეფერება ადამიანებს შორის უფლებრივი და ქონებრივი უთანასწორობა. ისინი უარს ამბობდნენ კერძო საკუთრებაზე, ყოველი მათგანის ქონე-

ბა ძმობის საერთო საკუთრება ხდებოდა. ფილონ ალექსანდრიელის თქმით, ესეველები ფიქრობდნენ, რომ სულიერ სიმდიდრეს ვინც ეზიარება, იმას აღარ სჭირდება ამქვეყნიური სიმდიდრე.

ესეველებს ეცვათ თეთრი სამოსი, რაც სულისა და სხეულის სისპეტაკისადმი მათი ლტოლვის გამოხატულება იყო. გარიდებულნი იყვნენ ცხოვრების ორომტრიალს, ყოფით ინტერესებში არ სურდათ სულიერ შესაძლებლობათა ფლანგვა. მათი აზრით, ამქვეყნად მოვლენილმა ადამიანმა მარადიულ ღირებულებებს უნდა მიუძღვნას მისთვის ბოძებული დრო.

მზის ამოსვლას ჰიმნის გალობით ეგებებოდნენ, მზის ჩასვლისას კვლავ ჰიმნს გალობდნენ. მათთვის უცხო იყო ამქვეყნიური პატივისა და დიდების ძიება. ლოცვისა და მედიტაციის, საკუთარ სულიერ არსში თვითჩაღრმავების, წმინდა წიგნების კითხვის გარდა, აუცილებლად მიაჩნდათ წყლით განბანის ყოველდღიური რიტუალი.

ძმობაში გაერთიანების მსურველს ერთნლიანი ასკეტური ყოფით ელოდა გამოცდა. ესეველთა შორის იყვნენ უქორწინებელნიც, ცელიბატის დამცველნი. ფილონ ალექსანდრიელი და იოსებ ფლავიუსი გვაუწყებენ, რომ ძმობაში სამნლიანი ასკეტური ყოფის შემდეგ ძმობის წევრებს შეეძლოთ დაქორწინებულები იყვნენ. ეს მათ არ ეკრძალებოდათ. ესეველთა შორის იყვნენ ქალებიც. სატრაპეზო დარბაზში ჰიმნებს ცალ-ცალკე გალობდნენ მამაკაცთა და ქალთა გუნ-

დები. შემდეგ ორივე გუნდი გაერთიანდებოდა და ერთად უძღვნიდა უფალს სამადლობელს.

ესეველები არ ეწეოდნენ ვაჭრობას. ძმობის წევრთა საქმიანობა იყო მინათმოქმედება და ხელოსნობა, ყოველი მათგანის ნახელავი მთელ სამმოს ეკუთვნოდა. თანამოძმეებს მასპინძლობდნენ, თავშესაფარს სთავაზობდნენ. მოხუც და სნეულ წევრებს მზრუნველობას არ აკლებდნენ.

ტრაპეზის დროს თავს იყრიდნენ დარბაზში. მათი სარჩო იყო პური და წყაროს წყალი. არ ჰყავდათ მონები და მსახურები. ფიქრობდნენ, რომ ადამიანს ღვთით აქვს მომადლებული თავისუფლება, რომ ადამიანები თანასწორებად, ძმებად იზადებიან, უფალია ყველას მშობელი. ამიტომ ტრაპეზს ემსახურებოდნენ ძმობის წევრთაგან ყველაზე უფრო დამსახურებულნი. ლოცვის შემდეგ წმინდა წიგნების შესწავლით იყვნენ მოცულნი.

ესეველებს ეგვიპტეშიც ჰქონდათ კერები. ფილონ ალექსანდრიელი ეგვიპტელ ესეველებს თერაპევტებად მოიხსენიებს, რადგან ისინი მკურნალობასაც ეწეოდნენ.

ფილონ ალექსანდრიელისავე თანახმად, ესეველთა ცხოვრების წესი იყო „სიყვარული ღვთისა, სიყვარული სიკეთისა, სიყვარული ადამიანისა“.

ამგვარად, ესეველთა ძმობის შესახებ საკმაოდ ბევრი რამ იყო ცნობილი მათი თანამედროვე და მომდევნო ხანის მოღვაწეთაგან, მაგრამ უშუალოდ ესეველთაგან მომდინარე დოკუმენტური მასალა,

ძმობის წიაღში შექმნილი წერილობითი წყარო არ არსებობდა.

1947 წელს მოხდა სენსაციური ამბავი:

ყუმრანის უდაბნოში მიკვლეულ იქნა ესეველების ხელნაწერთა სამალავი. ამ ფაქტს მეცნიერებმა „XX საუკუნის უდიდესი არქეოლოგიური აღმოჩენა“ უწოდეს. შეიქმნა მეცნიერების ახალი დარგი – ყუმრანოლოგია.

ეს ამბავი ასე მოხდა: ახალგაზრდა არაბი ბედუინი თხის არვეს მწყემსავდა ყუმრანის უდაბნოში, მკვდარი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში. ერთი თხა დააკლდა. დაკარგული თხის ძიებაში მალლა, ციცაბო კლდის ერთ-ერთ გამოქვაბულში აცოცდა. იქ თხა არა, მაგრამ თხის რამდენიმე ქოთანნი დახვდა. სამ მათგანში აღმოჩნდა ეტრატის გრაფილები, რომლებიც ჟამთა სვლისაგან დაზიანებული იყო. ხელნაწერები – ჩამუქებული, კიდეები – შემოცვეთილი, ეტრატის ფენები – ერთმანეთს შეწებებული და ბევრ ადგილას დაღრღნილი იყო მღილისაგან.

იერუსალიმის ბაზარში გაჩნდა გასაყიდად გამოტანილი ხელნაწერთა ფრაგმენტები, რამაც მიიპყრო მეცნიერთა ყურადღება. ამას მოჰყვა ყუმრანის უდაბნოს პარეხების, 200-მდე გამოქვაბულის შესწავლა. აღმოჩნდა 800-მდე ხელნაწერი და უამრავი ფრაგმენტი. ტექსტების უმეტესობა ივრითზე, ძველ ებრაულ ენაზე, იყო შესრულებული. იყო არამეული და ბერძნული ტექსტებიც. სპეციალისტების საერთო აზრია, რომ ეს ხელნაწერები ესეველთა ძმობას ეკუთვნოდა.

ამას მოჰყვა ყუმრანის უდაბნოში არქეოლოგიური გათხრები, რომელთა შედეგად აღმოჩნდა ესეველთა ძმობის დასახლება, სენაკები, სატრაპეზო, აუზი რიტუალური განბანისთვის და წყლის მოსაკავებელი მონყობილობა.

ყუმრანის პარეხებში აღმოჩენილი ტექსტებიდან ერთადერთი (ე.წ. „დამასკოს დოკუმენტი“) შეიცავს თარიღს და იძლევა მოვლენათა დათარიღების საშუალებას. მასში ნათქვამია, რომ რჩეულთა ძმობა შეიქმნა ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დანგრევიდან 390 წლის შემდეგ. ეს კი 190 წელია ქრისტემდე. ხოლო ყუმრანის უდაბნოში ესეველთა დამკვიდრებას არქეოლოგები ძვ. წ. 140-130 წლებით ათარიღებენ. საიდუმლო სამალავში ხელნაწერთა გადატანის თარიღად ვარაუდობენ ქრისტეს აქეთ 66-70 წლებს. მკვლევართა აზრით, ვესპასიანეს რომაული ლეგიონები რომ შემოიჭრნენ, ესეველთა ძმობა გახიზნული, ხელნაწერები კი გადანახული დახვდათ.

დიდი შრომა დასჭირდა ჟამთა სვლისაგან დაზიანებული ხელნაწერების რესტავრაციასა და შესწავლას. აღმოჩენილი ხელნაწერები თემატიკურად რამდენიმე ჯგუფად დაიყო: ბიბლიური უძველესი ტექსტები, აპოკრიფული თხზულებები და ესეველთა ძმობის მიერ შექმნილი ტექსტები. პირველსავე გამოქვაბულში აღმოჩნდა ძმობის განჩინება, ანუ მათი ცხოვრების წესი, თავები ესაიას წინასწარმეტყველებიდან და ესეველთა ჰიმნები.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ უდაბნოში განმართოებულ იოანე ნათლისმცემელს კავშირი უნდა

ჰქონოდა ესეველთა ძმობასთან, რომ იგი მოძღვრავდა და უქადაგებდა მათ.

გოლგოთის მისტერიის მოახლოებასთან ერთად მძაფრდებოდა მესიის მოლოდინი. მესიანისტური განწყობილება ესეველებს უთუოდ აახლოებდა იოანე ნათლისმცემელთან. მოლოდინით იყო მოცული იმჟამინდელი საზოგადოების დიდი ნაწილი. გავიხსენოთ, მესიის მომლოდინე ერს თვით იოანე ნათლისმცემელი რომ ჰგონია ქრისტე, რასაც ასე გადმოგვცემს ლუკა მახარებელი: „და ვითარცა მოელოდა ერი იგი და განიზრახვიდეს ყოველნი გულთა მათთა იოანესთვის, ნუუკუე იგი არს ქრისტე“ (3,15).

მახარებლები გვაუწყებენ, რომ დადგა ჟამი ესაია წინასწარმეტყველის აღთქმულის (ესაია, 40,3) აღსრულებისა: „რამეთუ ესე არს, რომელი-იგი თქუმულ არს ესაია წინასწარმეტყველისა მიერ და იტყვს: „ჴმაჲ ღალადებისაჲ უდაბნოსა ზედა: „განმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი“ (მათე, 3,3). ზუსტად ამასვე ვკითხულობთ მარკოზ (1,3), ლუკა (3,4) და იოანე (1,23) მახარებლებთან. როგორც ვხედავთ, წინასწარმეტყველები იყო არა მხოლოდ მესიის მოსვლა, არამედ მოსვლა მესიის წინამორბედისაც, იოანე ნათლისმცემლისაც.

სწორედ „გზათა უფლისათა განმზადებისთვის“ იღვწოდა ესეველთა ძმობა მესიის მოლოდინის ჟამსაც და გოლგოთის მისტერიის დროსაც.

ამას ემსახურებოდა ესეველთა სწრაფვა სიკეთისკენ და ბოროტებისგან თავის შემოზღუდვა. რჩეულთა გუნდს უნდა შეექმნა შესაბამისი რელი-

გიურ-კულტურული ატმოსფერო, რომელშიც იოანე ნათლისმცემელი თავის მისიას აღასრულებდა.

იოანე ნათლისმცემლის ცხოვრების წესი, მახარებელთა მიერ აღწერილი, მსგავსია ესეველ ასკეტთა ყოფისა.

იოანე ნათლისმცემელს რომ მოწაფეები ჰყავდა, ამაზე არაერთხელ მიგვითითებენ მახარებლები. „იოანემ მიავლინა ორნი მოწაფენი თჳსნი და ჰრქუა: „შენა ხარა მომავალი იგი, ანუ სხუასა მოველოდით?“ (მათე, 11,2-3). იოანე ნათლისმცემლის მოწაფეები ნახსენები არიან თავისკვეთის შემდეგაც: „და მოვიდეს მოწაფენი მისნი და წარიღეს გუამი მისი, და დაჰფლეს იგი, და მოვიდეს და უთხრეს იესოს“ (მათე, 14,12). სწორედ თავის მოწაფეებს უთხრა იოანე ნათლისმცემელმა: „მისა ჯერ-არს აღორძინებად, ხოლო ჩემდა მოკლებად“ (იოანე, 3,30).

შეიქმნა შეხედულება, რომ სახარებებში არაერთგზის ნახსენები „მოწაფენი იოანესნი“ ესეველები იყვნენ. ეს აზრი იმდენად დამკვიდრდა, რომ გუსტავ ფლობერმა XIX საუკუნეში, ყუმრანის ხელნაწერთა გრაგნილების აღმოჩენამდე საუკუნით ადრე, თავის მოთხრობაში („ჰეროდია“) იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა აღწერა და ნათლისმცემლის ორი ესეველი მოწაფე დახატა მის ქომაგად და ჭირისუფლად.

ემილ ბოკი მიიჩნევს, რომ საიდუმლო სერობა მოხდა ესეველთა სატრაპეზო დარბაზში, ე.წ. ჩენაკულუმში. მარკოზის სახარებაში ნაქვამია (14,13-15), რომ ქრისტემ წარავლინა მოწაფეთა მისთაგანნი და ჰრქუა მათ: „წარვედით ქალაქად და შეგემთხვოს კაცი,

რომელსა ლაგვნითა წყალი ზე ედგას; და შეუდეგით მას, ვიდრეცა შევიდეს და არქუთ სახლისა უფალსა მას, ვითარმედ: მოძღუარი იტყვს: სადა არს სავანე, სადა-იგი პასექი მოწაფეთა ჩემთა თანა ვჭამო? და მან გიჩუენოს თქუენ ქორი“. ამასვე გადმოგვცემს ლუკა მახარებელი (22,10). იერუსალიმში დოქებით წყალი მხოლოდ ქალებს მიჰქონდათ, მამაკაცები წყალს როფებით ეზიდებოდნენ. ესეველებს მსახურები არ ჰყავდათ და მათ შორის ყველაზე პატივდებულნი ემსახურებოდნენ ძმობის წევრებს. ემილ ბოკის თანახმად, იოსებ არიმათიელი იერუსალიმელი ესეველი იყო. სწორედ მას შეხვდა ქრისტეს ორი მოწაფე და საიდუმლო სერობა მოხდა იერუსალიმელ ესეველთა შესაკრებელში, ზედა სართულზე, დიდ დარბაზში. ემილ ბოკი გვაუწყებს, რომ იერუსალიმის სამხრეთის ბჭიდან ესეველები კედრონის ველით უნდა ჩასულიყვნენ ერთადერთ წყაროსთან. სწორედ ამ წყაროსთან, დავით წინასწარმეტყველის საფლავის სიახლოვეს, იყო ესეველთა სახლი. თვით სამხრეთის ბჭეს „ესეველთა ბჭეც“ კი ეწოდებოდა. მკვლევარი ეყრდნობა იოსებ ფლავიუსის მონათხრობს „იუდეველთა ომიდან“ (V, 4,2). საგულისხმოა, რომ წესად იყო დამკვიდრებული ებრაელთა შორის: საკულტო მსახურების დროს არ შეიძლებოდა მორწმუნისთვის ხელის შეშლა, მორწმუნის ხელყოფა, ამიტომ ესეველთა სატრაპეზო დარბაზი შესაფერი უნდა ყოფილიყო საიდუმლო სერობისთვის.

ნაზირეველობასაც და ესეველობასაც მიზნად ჰქონდათ შემზადება თაობისა, რომელიც ზნეობრივი

ამაღლებისა და განსწავლის საფუძველზე გააგრძელებდა და გააძლიერებდა ერის სულიერი ამაღლების ნათელ გზას. ძმობამ თავისი მისია შეასრულა. ესეველები მესიის მოლოდინს აღვივებდნენ, სიკეთისა და სინმინდისკენ მიილტვოდნენ; წვირესთნ, ჭუჭყთან თუ სულიერ ბინთან შეხებას ერიდებოდნენ; ადამიანები მათთვის იყოფოდნენ ასე: „ძენი ნათლისანი“ და „ძენი ბნელისანი“. ესეველები ბნელს გარიდებულნი იყვნენ.

*

2008 წელს გამოვაქვეყნე „დიდება შენდა!“ – ჰიმნების კრებული, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კულტურათა წიაღში შექმნილ ჰიმნებს ფარაონ ეხნატონის დროიდან დღევანდელ სპირიტუელსებამდე. ეს არის მცირე ანთოლოგია. მასში შესულია ესეველთა სამი ჰიმნი. ანთოლოგიაში თავმოყრილ ჰიმნთა ნაწილი თარგმნილია დედნებიდან. ეს ეხება ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ და რუსულ ენებზე შექმნილ ჰიმნებს; ბერძნული ჰიმნები თარგმნილია მათი ლათინური თარგმანების მიხედვით. რაკი ანთოლოგიას ვადგენდი, შუალედურ თარგმანს ვერ ავცდებოდი. ასეთ შემთხვევაში ვთარგმნიდი მეცნიერული გამოცემების მიხედვით. ეს ეხება ძველ ეგვიპტურ ჰიმნებსა და „მკვდართა წიგნის“ ფრაგმენტებს, ჰიმნებს „ვედებიდან“, „ავესტიდან“ და ა.შ.

ესეველთა ჰიმნების თარგმნა ვამჯობინე თეოდორ გასტერის ინგლისური მეცნიერული თარგ-

მანის მიხედვით. ჰიმნების თარგმანთა შესწავლამ ნათელი გახადა, რომ ევროპულ ენებზე მათ თარგმანებში განსხვავებულია ჰიმნთა რაოდენობა, ერთმანეთისგან დიდად სხვაობს მათი ტექსტებიც: ზოგი მათგანი თანამედროვე ნაწარმოებს ჰგავს. ზოგჯერ ინგლისურად თარგმნილ ჰიმნს არაფერი აქვს საერთო ამავე ჰიმნის ფრანგულ ან გერმანულ თარგმანებთან. საკითხს ნათელი მოჰფინა თეოდორ გასტერის გამოკვლევამ.

თეოდორ გასტერი მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი იყო. მან გამოაქვეყნა ყუმრანის ტექსტთა, მათ შორის ჰიმნთა, პირველი ინგლისური მეცნიერული თარგმანი. ყუმრანოლოგები მის შესახებ წერენ, რომ იგი იყო არა მხოლოდ ძველი ებრაული მწერლობისა და ენის სპეციალისტი, მას ფართო თვალსაწიერი ჰქონდა, ეპოქის მსოფლგაგებას, ეპოქის სულს, ეპოქის ყოველგვარ კონტექსტს ითვალისწინებდა. თავად თეოდორ გასტერი აღნიშნავდა, რომ შეცდომაა ძველი ტექსტის თარგმნა თანამედროვე იდეებით, მისთვის მიწერა იმ აზრებისა, რომლებიც არ არსებობდა ამ ტექსტთა შექმნის ეპოქაში. ძველებრაულის სპეციალისტები მას მიიჩნევენ მკვდარი ზღვის გრაგნილების საუკეთესო მთარგმნელად.

თავისი წიგნი – *The Dead See Scriptures. In English Translation and Notes by Theodor H. Gaster, New York, 1956* – სწავლულმა უძღვნა ყუმრანის უდაბნოში 2000 წლის წინათ მოღვაწე ადამიანთა ხსოვნას. წიგნის შესავალში თეოდორ გასტერი აღნიშნავს: „ჩემი თარგმანი შესრულებულია უშუალოდ გრაგ-

ნილებიდან, ხელნაწერიდან და არა – გამომცემელთა მიერ მოწოდებული ტექსტებიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგ შემთხვევაში ხელნაწერის მკრთალი ან გადაშლილი, ბუნდოვანი ადგილების ჩემეული გაშიფვრა განსხვავებულია. მკვლევრები, გრაგნილთა მთარგმნელები, სშირად, ჩემგან განსხვავებით, თვითნებურად ჩართავენ ეფექტურ ფრაზებსა და ხატებს. ასეთ შემთხვევაში ყუმრანის ტექსტებს ვაძარებ უძველეს ტექსტებთან, არამეულთან და სირიულთან, რომ მათი საშუალებით მივაგნო ტრადიციის კვალს, რომელიც შესაძლოა ასახულიყო ამ ტექსტებში, და არცთუ იშვიათად ასე მივაგენი გასაღებს აზრისას, რომელიც სხვაგვარად გაუგებარი რჩებოდა“.

თავის წიგნში თეოდორ გასტერი დაწვრილებით გვაცნობს გრაგნილთა მდგომარეობას. ეტრატს ზედა და ქვედა ნაწილები შემოცვეთილი ჰქონია. ეს ჰიმნები უფლის სამადლობელი ფსალმუნებია. ყოველი მათგანი იწყება ღვთისადმი მადლიერების გამოხატვით: „გმადლობ, უფალო“, „მადლს გიძღვნი, უფალო“, „მადლობელი ვარ, უფალო ჩემო“ და ა.შ. გამომცემლებმა ამ ტაეპთა მიხედვით გამოყვეს ჰიმნები ერთმანეთისაგან. მაგრამ თეოდორ გასტერი აღნიშნავს, რომ ტექსტი დეფექტურია, შესაძლოა სწორედ ეტრატის ნაცვეთილ ნაწილში ყოფილიყო ეს დასაწყისი ფრაზები. ამიტომ შესაძლოა გაერთიანებული იყოს ორი ან მეტი ჰიმნი. ამით აიხსნება, რომ ჰიმნების რაოდენობა განსხვავებულია ებრაულ სხვადასხვა გამოცემაშიც და სხვადასხვა ენაზე მათ თარგმანებშიც. არა მხოლოდ ჰიმნთა რაოდენობა,

განსხვავებულია ერთი და იმავე ჰიმნის თარგმანებიც. მლილისგან ამოჭმული, ერთმანეთს შენებებული ან გადაშლილი მონაკვეთების შევსებას ყველა თავისი შესაძლებლობებისამებრ ცდილობდა. მეცნიერთა აზრით, თეოდორ გასტერს მონათესავე ენების ცოდნა და ძველ კულტურებში ღრმა განსწავლულობა უპირატესობას ანიჭებდა. მას, 29 ენისა და დიალექტის მცოდნეს, შეეძლო ფართო ეტიმოლოგიური ძიება, ესეველთა მსოფლმხედველობის ღრმა გააზრების შედეგად ეპოქის სულისკვეთების აღდგენა.

ყოველივე ამის გამო „დიდება შენდა“-ზე მუშაობისას ესეველთა ჰიმნები თეოდორ გასტერის მეცნიერული თარგმანის მიხედვით ვთარგმნე.

ხსენებული ანთოლოგიის, „დიდება შენდა!“-ს, გავრცობა გადავწყვიტე, ესეველთა ჰიმნები ყველა ვთარგმნე. ამჯერად მათ ცალკე წიგნად ვთავაზობ მკითხველს. ეს ჰიმნები დღეს თარგმნილია კულტურული ტრადიციების მქონე ერების ენებზე. ყუმრანოლოგიის პრობლემებში გათვითცნობიერებული ებრაისტის მიერ ვიდრე ივრითიდან ქართულად ითარგმნება ეს ჰიმნები, მკითხველს მოკრძალებით ვთავაზობ ჩემს თარგმანს.

გრაგნილთა ტექსტის ჰიმნებად დაყოფა და ნუმერაცია გასტერისეულია. მისივე მითითებულია ყუმრანოლოგიაში მიღებული გრაგნილთა კოორდინატები.

*

ეს ჰიმნები ღვთის სადიდებელი ფსალმუნებია. ჰიმნი უძველესი დროიდან თან სდევდა კაცობრიობის კულტურას. ადამიანი გალობით ადიდებდა უფალს. ჰიმნის მიძღვნა და უფლისადმი მადლიერების გამოხატვა სამყაროს ჰარმონიისთვის ხმის შეწყობად მიიჩნეოდა და ამკვიდრებდა ბიბლიურ ტრადიციას, რომლის თანახმად, ანგელოზთა ცხრასაფეხურიანი იერარქია ღმერთს გალობით განადიდებს. ესაია წინასწარმეტყველი გვაუწყებს, რომ სფეროთა ჰარმონიას ქმნის მათი ღალადება: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ; სავსე არიან ცანი და ქუეყანანი დიდებითა მისითა“ (ესაია, 6,3).

ღვთის სადიდებლის წარმოთქმა მარადიული ღირებულებების მაძიებელი ადამიანის სულის მოთხოვნილებაა, ადამიანის ამაღლებული მისწრაფებების გამოვლინებაა. ნუთისოფლის წარმავლობიდან ადამიანი თავის შინაგან მზერას წარმართავდა წარუვალისკენ, მარადიულისკენ.

ღვთის სადიდებელ სიტყვებს ჰანგი ერთოდა, ჰიმნის მგალობელთა კრებულს აერთიანებდა უზენაესი-სადმი სწრაფვა.

ჰიმნოგრაფი უღრმესი და ურთულესი საღვთის-მეტყველო აზრებით ნასაზრდოებ თავის გრძნობებს, უზენაესისადმი თავის დამოკიდებულებას გვიმხელს. მან გამოთქმა უნდა შეძლოს გამოუთქმელისა, გზები და საშუალებები უნდა მონახოს, რომ „სიტყვაში დაუტყვენელი“ (როგორც იტყოდნენ ჩვენი ძველები)

დაატიოს სიტყვაში. სირთულე ახლავს ამას, ზეგრძნობადი უნდა გამოიხატოს ყოფითი რეალობისთვის გამიზნული ლექსიკით. ამიტომ ჩნდება ერთგვარი შესიტყვებანი, სიმბოლოები, აპოფატეკური შინაარსის, უარყოფითი მახასიათებლით გამოხატული განსაზღვრებები: ნათელი დაუღამებელი, ნათელი მიუაჩრდილებელი, ნათელი დაუბადებელი, გონებაშიუნვდომელი სიბრძნე, სიკეთე მიუთხრობელი, შეუზომელი მშვენება და ა.შ. ჩნდება ღრმა საღვთისმეტყველო შინაარსის მომცველი ხატები, სიმბოლოები: გზა, კლდე, წყარო, ხე დანერგილი წყლის პირას, ლოდი თავსაკიდურთა, სახლის დაფუძნება კლდეზე და სხვა მრავალი.

ქართველმა ჰიმნოგრაფებმა და რუსთაველმა დიდი ღვაწლი დასდეს „ენით გამოუთქმელის“ გამოთქმას, „სიტყვაში დაუტევნელის“ დატევას. მათ შესძინეს ჩვენს ენას ძნელად გამოსახატავის გამოხატვის უნარი.

ესეველთა ჰიმნებში ძველი აღთქმის ღრმა გააზრების ფონზე გადმოცემულია აღთქმული მესიის მოლოდინის განწყობილება. ჰიმნებში წამოჭრილია უმნიშვნელოვანესი შემეცნებითი საღვთისმეტყველო საკითხები: რატომ არის საჭირო უფლის დიდება, ადამიანის არსებობის აზრი, თავისუფლების არსი, სამყაროს განვითარების ღვთაებრივი გზა, ადამიანი – გზაზე მდგომი არსება, უფლის გზაზე სვლა და გზის გამრუდება, გზა და ჭეშმარიტება, ადამიანის ადგილი სამყაროს სულიერი იერარქიის სისტემაში, „ზეცისა ძალნი“ და ადამიანის მიმართება მათთან,

სიკეთე და ბოროტება, განკითხვის დღე და ესქატოლოგიური საკითხები, „ნიგნი მატინისაჲ“ და სხვა მრავალი. განსაკუთრებით საყურადღებოა „დიდი ხნის წინათ აღთქმული ყრმის“ მოლოდინი.

*

ესეველთა ხანაშიც და მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ესთეტიკური, ეთიკური და შემეცნებითი ფენომენი ერთმანეთისგან გაუთიშველია. მხატვრული სახე ღრმა სულიერი შინაარსის მქონეა, პოეტური ხატი დატვირთულია მსოფლმხედველობრივი აზრით. ამ ეპოქაში მხატვრულ სახეს სიმბოლურ-სახისმეტყველებითი შინაარსი აქვს. ესეველთა ჰიმნებში მრავლად გვხვდება ბიბლიური ხატები არა მხოლოდ ძველი აღთქმისა, არამედ ახალი აღთქმისაც. ეს ბუნებრივია, რადგან ეს ჰიმნები ძველი აღთქმის წიაღიდანაა ამოზრდილი და ამასთანავე განმსჭვალულია ახალი აღთქმის სულისკვეთებით.

ჰიმნებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა „გზის“ სიმბოლიკას. ესეველთა თანახმად, ადამიანი გზაზე მდგომი არსებაა. ეს ის გზაა, რომელიც უფალმა დაუნესა ადამიანს:

მხოლოდ უფალი მაღალთა შინა

არის საზომი სრულქმნილებისა

და სავალი გზა, გზა კაცისა, არ არის მყარი,

გარდა იმ გზისა, უფალმა რომ მას დაუნესა.

ეს გზა ადამიანის განვითარების, ჭეშმარიტების ნვდომის, ადამიანის თავისუფლების, ადამიანის სულიერი აღორძინების გზაა. ბიბლიური ღვთისმეტ-

ყველგა, რომელიც განუყოფელია სახისმეტყველები-
ბისგან, ამ გზაზე ზოგადად ადამიანისა და საკუთრივ
ებრაელი ერის სვლას გამოხატავს. ესეველთა ერთ-
ერთ ჰიმნში გზასთან მოხმობილია უჩვეულო მსაზ-
ღვრელი. ეს გზა თურმე „უფლის გულისკენ სავალი
გზაა“. „გზა“ – ეს სახე-სიმბოლო ძალიან ხშირია ბიბ-
ლიაში და ხშირია მისი ხსენება ჰიმნებშიც, მაგრამ
„უფლის გულისკენ სავალი გზა“ განსაკუთრებულ-
მა გულგახსნილობამ და უშუალობამ უნდა გათქმე-
ვინოს:

უფალო, შენ მათ დაუსახე ღირსეული
ცხოვრების წესი,
რომ არვინ დარჩეს დაუცველი, არვინ
შებრკოლდეს,
მეტი ღირსება შეიძინოს მათმა სიცოცხლემ,
მტკიცედ იარონ შენს წმინდა გზაზე.
ბორძიკი იწყეს, გადაუხვიეს
შენი გულისკენ სავალი გზიდან.¹
წადილმა სძლიათ, უბადრუკი სურვილი გახდა
მათი ერთგული მესაიდუმლე.

უფლის გულის ხსენების შემდეგ ჰიმნის წარმომ-
თქმელი საკუთარ გულსაც ახსენებს, სინრფელითა
და უშუალობით მსჭვალავს სათქმელს:

შენი სიმართლით აღმისე გული
და წაუძეხი ნაბიჯებს ჩემსას,
გეზად მიბოძე ჭეშმარიტება
და შთამაგონე მეველო ღირსებით
გზაზე, რომელიც შენ მაპოვნინე.

¹ From the way of Thy heart – ასეა თეოდორ გასტერის ტექსტში.

ასე დავადექ ბილიკს ჩემსას და
შემაძლებინე თვით ამ ბილიკზე
ვზიარებოდი ნეტარებას მიუთხრობელს,
დაუსრულებელს.

ჰიმნებში ადამიანის მთელი ცხოვრება გზად არის
მიჩნეული. ძმობის წევრი საკუთარ სულიერ სამყა-
როს გადაუშლის უფალს:

ჩემ შესახებაც მინდა მოგითხრო:
შენით მივიკვლევ სავალ გზას, ღმერთო,
ბიჯგად შენ მყავხარ, როს ფეხზე ვარ
წამომართული.

ჰიმნებში არაერთხელ არის ნახსენები, რომ ეს გზა
ადამიანის ამალლების გზაა და უფალი უძღვის ადა-
მიანს ამ გზაზე:

შენ აამალლე ბუნება ჩემი,
შვიდგზის ბრწყინვალე ნათლით აღმანთე,
შუქი მიბოძე შენი დიდების.
მარად ჩემში ხარ შენ, ნათელო უღამებელო,
მარად წარმართავ ჩემს გზას, სვლას ჩემსას.

ღვთის გზის, ქვეშარიტი გზის, მნიშვნელობა ჰიმნებ-
ში კიდევ უფრო გამოკვეთილია საპირისპირო გზის
ხსენებით:

ვინც გზას დაადგა უკეთურს, უღირსს,
თავის წიაღში ვინც ამწიფებს ბოროტების თესლს,
ჯოჯოხეთური ტანჯვა მოელის.

და განკითხვის დღის, ბოროტების დათრგუნვის
ესქატოლოგიური ხილვის აღწერით ჰიმნში კიდევ
უფრო ნათლად წარმოჩნდება მნიშვნელობა ღვთის

გზაზე სვლისა, სულის აღორძინებისა. აი, ეს სულის-
შემძვრელი ხილვაც:

და ეჰა, ზღუდე მოირყევა, დაიბზარება
და ნახეთქებად დასკდება ლიბო,
როგორც ხომალდი, პიტალო კლდეს
შენარცხებული;
ცა დაიქუხებს, დაიგრგვინებს, დაიღრიალებს, –
ხმელეთის მკვიდრნი, მთხრებლს და მიწურს
შეფარებულნი,
ტალღების ზავით გაყრუვებიან,
ზღვაოსანთ მსგავსად წყლის სტიქია
გარემოიცავთ...

წყლის შფოთვის ვერვინ ვერ აღუდგება.
ზღვა აზვირთდება, აბორგდება, აბობოქრდება,
ფსკერიდან წყალი ამოდუღდება;
ტალღის სიმაღლე ზეცას ასწვდება,
ზვირთების შეხლა, ფორიაქი კაცს გააყრუებს,
დაიფელება დახშული ბჭე ჯოჯოხეთისა
და გაიელვებს მოქნეული ბასრი მახვილი.
მაშინ კი ბილწნი ძრწოლით უფსკრულს

შეჰლალადებენ;
ჯოჯოხეთის ბჭე, წარწყმედის ბჭე, ჩაიხურება,
მარადისობა ზღუდესავით წინ აღუდგება
ყოველ განზრახვას ავსა და უღირსს.

განკითხვის დღის შემადრწუნებელი ხილვა იცვლება
ხსნის იმედითა და ნათელი, დიადი მომავლით:

ქორომ მარადის იგალობოს დიადი ჰანგი,
ჰანგი ძლევისა, დიდებისა, გამარჯვებისა!
ვაება, გმინვა აღარ მოისმის,

უსამართლობა ხმას ვერ იმაღლებს;
ჭემმარიტება – არსი შენი, ხატება შენი –
მარადიული დიდებისკენ გზას გვიჩირაღდნებს,
სამარადისო მოაქვს შვება, მოაქვს მშვიდობა.

ერთ-ერთი ჰომინი ღვთის გზასა და ცთუნების გზაზე მდგომთა საპირისპირო ღირებულებებს წარმოაჩინს. ზოგჯერ ესეველთა დანიშნულების, მათი მისიის გამოკვეთას ემსახურება მათდამი განსხვავებული დამოკიდებულების ჩვენება. ესეველი თავისი ბუნებით თითქოს თავად გამხდარა საზომი საღვთო გზაზე მდგომთა და გზასაცდენილთა სახის გამოსაკვეთად:

შეცთომილთათვის მე ხატი ვარ ცხოველმყოფელი,
შლეგთათვის ანდა გულჩქართათვის

მე სიღინჯე ვარ,

ჭკუაცეცთათვის მე გახლავართ ზომიერება;
საქილიკო და ასაგდები გავხდი იმათთვის,
ვინც ჩაფლულია სიყალბესა და სიცრუეში;
ვინც შენს გზაზე დგას და სიმართლით დაიარება,
მათთვის ვარ ხატი გონიერების.

ესეველისადმი დამოკიდებულებით იხატება საზოგადოებრივი გარემო. ესეველი თითქოს ღირებულებათა ორიენტირად არის დასახული.

ჰომინებში ჩანს ამ გზაზე სვლის სიძნელე, მაგრამ ისიც ნაჩვენებია, რომ ბევრად მეტი განსაცდელი ახლავს უკეთური გზით სვლას. სულიერი აღორძინების შეფერხება „გზის ჩახერგვად“ არის გააზრებული. „ცრუ ქადაგნი და ცრუ მოძღვარნი“ სავალ გზაზე „შებრკოლების ლოდს“ უქმნიან ადამიანს.

ჰიმნებში დიდი ყურადღება ეთმობა გზის სიძნელეთა დაძლევის. ღვთის მაძიებელი ადამიანი მუცლადღებულ ქალს ედრება, გზის სიმძიმე კი – მშობიარობის ტკივილსა და ტანჯვა-წამებას. ამ შედარებით ჰიმნი მიგვანიშნებს, რომ ღვთის გზაზე ადამიანის სვლას მოჰყვება მის პიროვნებაში ღვთაებრივი არსის გაღვიძება, ახალი ადამიანის დაბადება.

გზის სიძნელეთა ჩვენებასთან ერთად ესეველთა ჰიმნები იმასაც გვიჩვენებენ, თუ შედეგად რა მოაქვს ჭეშმარიტი გზით სვლას:

მადლს შემოგწირავ, არსთა გამრიგევ,
რამეთუ ჩემი სამშენველი იხსენ ხნარცვისგან
და დამიცავი ჯოჯოხეთის სიბილწისაგან,
ზეცად ამზიდე, მთად ამამაღლე.

„მთად ამალლება“ სრულიად გარკვეული შინაარსის მქონე სახე-სიმბოლოა და ნიშნავს ცნობიერების ამალლებას, სულიერ ხილვას. ძველ აღთქმაში მთას უკავშირდება ღვთაებრივი იდუმალების წვდომა, ახალ აღთქმაში კი საკმარისია გავიხსენოთ მთის ქადაგება, ელეონის მთასა და თაბორის მთაზე მომხდარი დიადი ზეგრძნობადი მოვლენები. ხოლო დიონისე არეოპაგელი ანგელოზთა იერარქიის აღწერისას გვამცნობს: „მწვერვალობასა ვიყავ“, „მთას ვიყავ“, „ვიქმენ სულითა“, – რაც იმას ნიშნავს, რომ ცნობიერების სხვა დონეს მიაღწია, ზეგრძნობადი ხილვა ეწვია.¹

¹ „მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ, ვლაპარაკობდი ღმერთთანა“ – მხოლოდ ლამაზი და შთამბეჭდავი პოეტური სახე არ უნდა იყოს ვაჟა-ფშაველასი, რომელსაც ბუნების ენაც ესმოდა და ბევრი რამ სხვაც.

მოხმობილი მონაკვეთი ჰიმნისა ნათელს ხდის, რომ ეს არის გზა, რომლითაც ადამიანი ეზიარება მარადისობას; ეს არის გზა სულიერი ამაღლებისა, დაცემული ადამის აღდგინებისა. ესეველებს ამ გზით სვლა ადამიანის ხსნის სანინდრად მიაჩნიათ. თავად ესეველები გარიდებულნი არიან ბინიერებას, განკერძოებულნი არიან და ძმობის ცხოვრების წესს მისდევენ, მაგრამ ჰიმნებში ჩანს მათი გულისტკივილი საზოგადოების ზნეობრივი დონის დაკნინების გამო:

უბინოება, სათნოება ადამიანს დღეს
აღარ ამკობს,
არ ეთავსება ღირსეული საქციელი
ამჟამინდელ ზნეს.

მხოლოდ უფალი მალალთა შინა
არის საზომი სრულქმნილებისა.
და სავალი გზა, გზა კაცისა არ არის მყარი,
გარდა იმ გზისა, უფალმა რომ მას დაუნესა.
ადამიანის სიცოცხლე უნდა
სრულყოფის, სრულქმნის სანინდრად იქცეს;
თავისი ღვანლით მან უნდა ცხადყოს
ყოვლისმომცველი ძალი უფლისა, –
რომ ღვთაებრივი სიყვარულის სრულ სისავსეში
განიხარებდნენ უფლის ნების აღმსრულებელნი.
საგულისხმოა, რომ ეს არ არის მხოლოდ ადამიანის
გზა, ეს სამყაროს განვითარების გზაა და ამ გზაზე
ადამიანს მეგზურად ეგულება „ზეცისა ძალნი“, იგივე
„ძალნი ცათანი“, ანუ ანგელოზთა იერარქია, „ზეცის
მხედრობადაც“ რომ მოიხსენიება ძველ ტექსტებში:

კაცი ცოდვისგან შეურევბული
შენ განწმინდე და დაიხსენი ცთუნებისაგან,
გახადე იგი ზეცის ძალთა თანაზიარი
და დაუმკვიდრე მას ადგილი ღვთის სახლეულში;
ლიტონი კაცი სიბრძნით მორჭმულ არსთ

შენ შეუნყვე,
ზეცის ქოროში მათთან ერთად რომ გიგალობოს,
გაქოს, გადიდოს, მოუთხროს ყოველს
განსაკვირველნი საქმენი შენნი.

ასე გვითხრეს ესეველებმა, რომ ადამიანს მარადი-
ული სრულყოფა და ზეცის ძალთა ხვედრის გაზი-
არება ელის.¹

უფლის გზის სიდიადის გვერდით ჰიმნებში ცრუ
მოძღვარნიც არიან ნახსენები და საგულისხმოა,
რომ ქვემარტივი გზის უარყოფა არის მათი მთავარი
სათქმელი:

ღვთაებრივ სიბრძნეს, გამოცხადებას
ისინი ასე აფასებენ: „არ არს სარწმუნო!“
იმ გზის შესახებ, კაცთა მოდგმას რომ დაუსახე,
მათი აზრია: „არ არსებობს გზა ქვემარტივი!“

ამ ფონზე ჰიმნში გაისმის, რომ თავად უფალია ქვე-
მარტივება:

¹ ეს ის „ზეცის ქოროა“, რომელსაც თავისი ტრაქტატები უძღვ-
ნა დიონისე არეოპაგელმა, რომლის მფარველობას გრძნობდა
რუსთაველის გმირი და ამბობდა: „მარტოობა ვერას მიზამს,
მცავს თუ ცისა ძალთა დასი“. გამოხდება ხანი და ესეველთა
მსგავსად იტყვის რუსთაველიც: „მით ვისწავებით, მოგვეცეს
შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“. ეს კი ნიშნავს, რომ ად-
ამიანის არსებობის აზრი სამყაროს ჰარმონიაში ჩართვა და ამ
ჰარმონიისთვის ხმის შეწყობა ყოფილა.

შენია, ღმერთო, მხოლოდ შენი არის სიმართლე,
რადგან თავად ხარ ჭეშმარიტება.
ჰიმნებში რამდენჯერმე მეორდება: „ღმერთი – ჭეშ-
მართება“.

უფალო, შენი აღთქმის ნყალობით
გავძლიერდები სამარადჟამოდ
და სამუდამოდ დავემკვიდრები
შენი დიდების დიად ნათელში,
რადგან თავად ხარ ჭეშმარიტება,
ჭეშმარიტია ყოველივე შენი ნაქმნარი.
და ესეველთა თანახმად, ადამიანის მისია, ადამიანის
დანიშნულება ჭეშმარიტების შეცნობაა:

ამქვეყნადა ვარ მოვლენილი, რათა შევიცნო,
უფალო, შენი ჭეშმარიტება.

აქ უთუოდ უნდა გავიხსენოთ იოანეს სახარებიდან
მაცხოვრის სიტყვები: „და სცნათ ჭეშმარიტი და ჭეშ-
მართებამან განგათავისუფლნეს თქვენ“. ადამიანის
თავისუფლების საკითხი ბიბლიის პირველსავე წიგნ-
შია აღძრული. ადამიანს, ერთადერთს იერარქიულად
მასზე ზემდგომ თუ ქვემდგომ არსებათაგან, მიეცა
სიკეთესა და ბოროტებას შორის არჩევანის უნარი.
უფლის გზით სვლამ, ჭეშმარიტების წვდომამ, სიკე-
თის არჩევანმა უნდა გახადოს იგი თავისი თავის
გამრიგე, თავისი თავის უფალი. ანგელოზთა იერარ-
ქიას ეს არჩევანი არა აქვს, ბოროტება ვერ აღწევს
იერარქიული კიბის მათ სიმაღლემდე.¹

¹ ეს აზრი გენიალურად გამოხატა რუსთაველმა: „ვცან სიმოკ-
ლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“.

ჩვენმა ენამ თავისუფლების ცნებაში ჩადებული ჭეშმარიტი აზრი ამ სიტყვის ეტიმოლოგიაშიც ჩაატია: თავის უფლება, ადამიანი – საკუთარი თავის უფალი.

ამიტომ, რომ ესეველთა სვლა უფლის გზაზე, რაც, მათივე თქმით, ჭეშმარიტების შეცნობაა, ამავე დროს არის თავისუფლება, ანუ ღვთაებრივი „მე“-ს გაღვიძებით საკუთარ ქვენა ბუნებაზე უფლებამოსილება, ამაღლებაა სულისა ხორცზე, წარუვალისა წარმავალზე.

ადამიანს თავისუფლება რომ აქვს მოსაპოვებელი, – ეს ესეველებმა ასე გამოხატეს ღვთისადმი მიმართული ჰიმნით:

უშენოდ კაცი ვერ დაიცავს თავს ცთუნებისგან,
რადგანაც შენი გამიჯნულია

ავი და კარგი, ცოდვა და ბრალი.

ასეა, რათა კაცი გახდეს თავის უფალი.

ესეველთათვის ჭეშმარიტი თავისუფლება არის ადამიანის სულის უფლებამოსილება მისსავე ქვენა ბუნებაზე.

„გზა“, „ჭეშმარიტება“, „თავისუფლება“ – დიდი აზრის მომცველი ეს ცნებები ძირითადი სათქმელი და საზრუნავია ესეველთა ძმობისა. მესიის წინამორბედთან, იოანე ნათლისმცემელთან, დაკავშირებული ძმობა ელოდა მესიის მოსვლას, ესაიასა და სხვა წინასწარმეტყველთა მიერ დიდი ხნით აღრეულთქმულს. ეს ჰიმნები მოლოდინითაა განმსჭვალული. ახლოვდება ჟამი, როცა აღთქმული მესია, ანუ მაცხოვარი, მხსნელი, მოველინება კაცობრიობას და

იტყვის: „მე ვარ გზად და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება. არავინ მოვიდეს მამისა გარნა ჩემ მიერ“ (იოანე, 14,6).

ესეველებმა თავიანთ ჰიმნებში ასე გამოხატეს საუკუნეებში გამოტარებული ეს მოლოდინი:

დაიბადება, შემოაღწევს ნუთისოფელში

ძველი დროიდან აღთქმული ჩვილი.

გაუსაძლისი ტანჯვით, ტკივილით

ამ ნუთისოფლად განსხეულდება,

ყრმა, რომლის შობა დაისახა დიდი ხნის წინათ!

უბიწო დედის წიაღიდან კაცთა მოდგმას

მოვევლინება

დიდებულება აზრისა და ძალმოსილების!

ტანჯვით, ტკივილით იშვება ჩვილი,

დაიბადება ის ნანატრი ყრმა!

და, ეჰა, დგება ჟამი შობისა!

ახლა ესაიას წინასწარმეტყველება გავიხსენოთ: „ამისთვის მოგცეს თქვენ თავადმან უფალმან სასწაული. აჰა-ესერა ქალწული მიუდგეს და შვას ძვ, და უწოდონ სახელი მისა ემმანუელ“ (ესაია, 7,14).

ესეველთა ძმობა რომ მესიას ელოდა, ეს ნათლად ჩანს მოხმობილი ჰიმნიდან. მათ ისიც კარგად აქვთ გაცნობიერებული, რა მოჰყვება აღთქმული ყრმის შობას, რას მოუტანს კაცობრიობას „მაცხოვარება“ მესიისა. აი, რა არის ნათქვამი ჰიმნში ამის შესახებ:

შენი სიბრძნე და იღუმალება

ჩემს არსებაში დაცული და დავანებული,

იდუმალადვე დარჩება, ვიდრე

მოგვეახლება ჟამი შენი მაცხოვარების,
დიდება შენი მაშინ ნათლად წარმოჩინდება.

ესეველები ბიბლიურ წინასწარმეტყველთაგან აღ-
თქმული ჩვილის შობას ელიან და ღრმად განსწავ-
ლულნი ჩანან მოძღვრებაში ღვთაებრივი სიტყვის
შესახებ. ახლოვდება ჟამი, როცა იოანე ღვთისმეტ-
ყველმა უნდა ახაროს კაცთა მოდგმას: „პირველითგან
იყო სიტყუაჲ, და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა,
და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი. ესე იყო პირველით-
გან ღმრთისა თანა. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და
თვნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი-რაჲ
იქმნა (1, 1-3). ახლა ესეველთა ჰიმნს მოვუსმინოთ:

შენ შეგიყვარე გულით, სულით, მთელი არსებით,
რადგანაც შენით, შენი ნებით იქმნა ყოველი
და არაფერი იქმნა შენი ნების გარეშე.

ან კიდევ:

ღვთის სიბრძნით იქმნა ყოველივე, რაიც შეიქმნა
და ყოველივე, რაც არსებობს, მისი აზრის
ანარეკლია,
თვნიერ მისსა არცარა იქმნა.

*

ესეველთა ჰიმნების შექმნის ხანაში პოეტური
ხატი დატვირთულია ღრმა საღვთისმეტყველო მნიშ-
ვნელობით. ამ ეპოქაში მხატვრული სახე არ არსე-
ბობს საღვთისმეტყველო აზრის გარეშე. ეს ჰიმნები
ძველი აღთქმის წიაღიდანაა ამოზრდილი და მესიის

მოვლინების იმედითა და მოლოდინითაა განმსჭვალული. ჰიმნებში გრძელდება ფსალმუნთა და ბიბლიურ წინასწარმეტყველთა წიგნების ტრადიცია. მათში ძველი აღთქმიდან მომდინარე სახისმეტყველებაც იჩენს თავს და ახალი აღთქმის ხატებიც. „წყარო“ – ეს სახე-სიმბოლოც ძველი აღთქმიდან მომდინარეობს და ახალ აღთქმაში ახალ ძალას იძენს. გავიხსენოთ იოანე მახარებლის „გამოცხადებიდან“ მუხლები (21,6): „მე ვარ ანი და ჰოე, დასაბამი და დასასრული, მე წყურიელსა მივსცე წყაროსა მისგან წყლისა ცხოველისა უსასყიდლოდ“, ან კიდევ: „წყალი იგი, რომელი მე მივსცე მას, იქმნეს მის შორის წყარო წყლისა, რომელი ვიდოდის ცხოვრებად საუკუნოდ“ (იოანე, 4,14).

წყლის პირს დანერგილ ხესაა ბიბლიაში შედარებული ღვთისწიერი კაცის ცხოვრება. დავით წინასწარმეტყველის პირველსავე ფსალმუნში (1,3) ვკითხულობთ: „და იყოს იგი ვითარცა ხე, დანერგილი თანაწარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცეს ნაყოფი მისი ჟამსა თვისსა და ფურცელნი მისნი არა დასცვენ, და ყოველივე, რაჲცა ყოს, წარემართოს მას“. ხოლო იერემიას წინასწარმეტყველებაში ნათქვამია: „და იყოს იგი, ვითარცა ხე ნაყოფიერი წყალსა ზედა, და ნოტიასა ზედა დაიმტკიცნის ძირნი მისნი და არა შეიშინოს, რაჟამს მოიწიოს სიცხე“.

„წყარო“, „წყაროსთან დანერგილი ხე“ – ღრმა შინაარსით დატვირთული ხატებია. ამ კონტექსტში ნახსენები „უჭნობი ყვავილიც“ ღრმა აზრის დამტევია და მისი საპირისპიროა „ყუავილი ველისაჲ“

(მინდვრის ყვავილი), რომლის შესახებ ძველ აღთქმაში არაერთხელ არის ნათქვამი, რომ იგი „წარმავალ არს და დაუდგრომელ“.

ეს სიმბოლური ხატები ასევე არაერთხელ გვხვდება ესეველთა ჰიმნებში საკრალური აზრების გამოსახატავად. სიტყვას კონკრეტული მნიშვნელობა აქვს, ეს სიმბოლოები კი მრავლისდამტევია და სულიერ ფასეულობებს მოიცავს.

ღვთაებრივი გზის ერთგულებისა და ადამიანის ამალლების შედეგად კაცობრიობის დიადი მომავლის დამკვიდრება ასე იხატება ჰიმნში:

შენ კი, უფალო, შენ დარწყულე
დაუშრეტელი წყაროსთვალით ბაგე ჩემი,
არსება ჩემი,

ზეცა გამიხსენ, წვიმა მიწვიმე.

მომსკდარი წყალი ნაპირს წალეკავს,
დიდი ხნის წინათ იღუმალად დაცული წყლები
უკიდევანო ზღვების მსგავსად აზვირთდებიან,
აყვავებენ ყოველივეს ნედლს თუ გადამხმარს;
უნაყოფო ხე წაიქცევა, წყალი წაიღებს,
აგიზგიზდება ცეცხლი და ხე შიგ ჩაიწვება.
ხოლო ბალნარი, ჩემი ხელით გაშენებული,
დიდებულ ყვავილს გამოიტანს, გაიკვირტება,
აყვავდება და იხარებს მარად“.

ნათელია, რა დატვირთვაც აქვს „წყაროს“, მაგრამ ჰიმნში მაინც გახსნილია ეს სახე-სიმბოლო:

უფალო, შენით მივაკვლიე სიცოცხლის წყაროს,
ჩემს წალკოტსაც შენ მიუქივლე ნაკადულები,
რათა ფესვები ახალნერგებს გაედგათ მყარად, –

დაულამებელ ნათელში გაზრდილ
ტანაყრილ ხეებს, ხეებს რტომრავალთ,
ჰქონოდათ ვარჯი დიდებულად გადაფოთილი.
ერთ-ერთ მომდევნო ჰიმნში პიროვნების სულიერი
სრულყოფა იხატება და ასევე გახსნილია „ყვავილი“,
როგორც ხატი:

შენს ამარა ვარ, უფალო ჩემო,
შენი სიკეთის იმედადა ვარ.
ვიცი, გაფურჩქნი ყვავილს სულისას,
ყლორტებს გაუზრდი და გაუკვირტავ.
და გადმოსკდება ძალმოსილება,
გულს გადამივსებს, ზეცად წარმმართავს.

„წყლისპირს დანერგილი ხე“ – სიმბოლო სულიერი
მისწრაფებების მქონე, უფალს დანდობილი ადამიანისა,
უფლის გზით სვლისა, – არაერთხელ გაკრთება
ჰიმნებში:

რასაც მე ვფლობ და რაც მომანიჭე,
აღემატება ყოველივეს სადღეხვალისო.
წყლისპირს დანერგილ მარადმწვანე ხესავითა ვარ
ფოთოლმრავალი, ნაყოფიერი.

ეს ბიბლიური ხატები მყარად არის დამკვიდრებული
იმჟამინდელი ადამიანის ცნობიერებაში, მაგრამ
ზოგჯერ ესეველებს მაინც საჭიროდ მიაჩნიათ მათი
განმარტება, მაგალითად:

ასევე მარად უჭკნობია, უფალო ღმერთო,
შენი სჯული და შენი კანონი;
დანდობილია უკვდავების წყალს,
ფესვგადგმულია უშრეტ წყაროსთან.
ხოლო იგი ხე, რომ დანერგა ჭემმარიტებამ,

სინმინდის რტოთა გამოტანა რომ დაუნესა,
დიდ საიდუმლოს ინახავს თვისას
მდაბლად, კრძალულად, იდუმალებით.
ამასთანავე ნაჩვენებია ხვედრი უნაყოფო ხისა:
უნაყოფო ხე ნაიქცევა, ნყალი ნაიღებს,
აგიზგიზდება ცეცხლი და ხე შიგ ჩაინვება.
ჰიმნებში ისიც ჩანს, რომ ესეველთა ძმობას ადამი-
ანის ამაღლების საწინდრად მიაჩნია განუწყვეტელი
ძალისხმევა, დაულალავი შემართება სულისა:
ხოლო როგორც კი ხელს მოვადუნებ,
ბალი იქცევა ხრიოკ უდაბნოდ,
მლაშე მინაში ამოსულ ჭინჭარს
დაემსგავსება ხეთა ზროები
და მინის ხნულებს მოედება ძეძვი, ნარშავა,
ირგვლივ ეკალი გაიბარდება,
მყრალაბალახა კვლებს გადაფარავს.
და გვალვისაგან გადატრუსულ-გადამხმარ
ნალკოტს

მატლი და მლილი, ჭიალუა მოუღებს ბოლოს.
ასე გვითხრეს ესეველებმა, რომ ადამიანს სულის
სიმტკიცე და განუწყვეტელი შინაგანი ძალისხმევა
მართებს. ჰიმნებში ნაჩვენებია სიძნელე, რომელიც
ახლავს სულიერი ამაღლების გზას. ხშირად დგება
კაცობრიობის განვითარებაში ჟამი, როცა ბოროტება
მძლავრობს, როცა „დათარეშობს სული უკეთურე-
ბის“, როცა

ადამიანის ბაგეთაგან არარა ისმის,
ღვთის გმობისა და სიცრუის გარდა.

ასეთ უამს ადამიანს სულის სიმტკიცე და დიდი ძალისხმევა მართებს.

ასევე ძველი აღთქმიდან მომდინარე ხატი – კლდეზე დაფუძნებული სახლი („მტკიცე არს სამკვდრებელი შენი და-თუ-სდგა კლდესა ზედა ბუდღშ შენი“, რიცხვთა, 24,21) მახარებლებთან არაერთგზის გვხვდება: „მსგავს არს იგი კაცსა გონიერსა, რომელმან აღაშენა სახლი თვისი კლდესა ზედა. და გარდამოჴდა წჳმაჴ, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი. და ეკუთენეს სახლსა მას, და არა დაეცა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა“ (მათე, 7,24-25; ასევე: ლუკა, 6,48). ეს სახე-სიმბოლო ხშირად მეორდება ესეველთა ჰიმნებშიც და „კლდეზე დაფუძნებულ სახლს“ ზოგჯერ შეენაცვლება „ციხე-ბურჯი“, „გოდოლი“:

ახლა, უფალო, ციხე-ბურჯში ვარ,

მკვიდრი გალავნით შემოზღუდულში.

ასეა, რადგან ავირჩიე ჭეშმარიტება.

ვიცი, რომ კლდეზე დააფუძნე გოდოლი შენი,

მას შეუძრველი აქვს ბალავარი

და ქვათა წყობა – გამორჩეული.

მტკიცე აქვს ლოდი თავსაკიდურთა,

მისი ბჭე არის შეუმუსვრელი;

და ამ ქავ-ციხეს ვინც ეწვევა, ვინც შიგ შეაღწევს,

აღარ ინდომებს მის დატოვებას.

ამავე ჰიმნში ნათქვამია, რომ „ციხე-ბურჯს თავს ვერ შეაფარებს ღვთისგარეგანი“. რაც შეეხება „ლოდს თავსაკიდურთა“, აგრეთვე ძველი აღთქმიდან

მომდინარე ხატია (ესაია, 28,16) და ამასთანავე სა-
ხარებათა კუთვნილებაა (მათე, 21,42; მარკოზი,12,10;
ლუკა, 20,17).

*

ჰიმნი მისი წარმომთქმელისაგან სულის გადახს-
ნაა ღვთის წინაშე და სამყაროს ჰარმონიაში ჩართვის
სურვილის გამოხატულებაა. ამიტომ მასში ადამიანის
სულის სიფხიზლის, საკუთარი დანიშნულების
შეცნობის, ადამიანის ზრდის პერსპექტივის გააზ-
რება განსაკუთრებული ძალით არის გამოვლენილი.
ყოფითი რეალობისთვის გამიზნული ენა ვერ იტევს
ხოლმე ზეგრძნობადს. ამიტომ დიადი მომავლის,
ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებისა და ღვთაებ-
რივი ჰარმონიის დამკვიდრების შესახებ თავიანთ
სათქმელს ბიბლიური სახისმეტყველებით გვეუბ-
ნებიან ესეველები:

ადამის მოდგმა თესლს მიმოაბნევს
და უჭკნობ ყვავილს გამოიტანს ნაღვანი მისი.
მორჩის ყლორტები გამოიღებს ხშირ,
ლორთქო ფოთოლს,
ირგვლივ ჩრდილს მოჰფენს, ამაღლდება
და ზეცად ავა,
გაიტოტება, განზე გავა, გაიკვირტება;
ფესვი ჩასწვდება უფსკრულის სიღრმეს,
სამოთხის წყარო დაარწყულებს ტოტებს იმ ხისას, –
ხოლო ნაყოფი ბოროტების, უკეთურების
დაიღრიკება, დაღრება და განადგურდება,

მისი ფესვები ჩაინვება გეჰენიაში.
წყარო ნათლისა ამოსკდება, ამორჩეფდება, –
წყარო მარადი, დაუშრეტელი,
ნათლის ცეცხლოვან ნაპერწკლებად ამოიფრქვევა,
უკეთურთ დანვავს, შთანთქავს ცოდვას,
შთანთქავს სიბნელეს.

*

ესეველები უფალს მადლს სწირავენ თვალის ჩინისთვის, რომლის წყალობით შეუძლიათ მისი ძალმოსილების ხილვა, – ყურთასმენისთვის, რომლის წყალობით შეუძლიათ მოისმინონ „სიტყვა დამტვევი უფლის სიბრძნის, ღვთაებრივი ჭეშმარიტების“. ძმობის წევრები მადლიერნი არიან მეტყველების უნარის ბოძებისთვის და უფლის ამ საბოძერის ხსენებისას „წყაროს“ კიდევ ერთი ასპექტი წარმოჩნდება:

და უფრო მეტიც: ადამიანის ბაგეთა შორის მისი ყელიდან ამორჩეფდა წყარო უკვდავი, რომ შეძლებოდა ენას მისას სასწაულებრივ წარმოთქმა შენი კანონისა, აღთქმის სიტყვათა.

ესეველთა თანახმად, ბაგეების შექმნას წინ უსწრებდა მათი დანიშნულების, მათი მიზნის, მეტყველების ფენომენის შექმნა და საგულისხმოა, რომ, მათი აზრით, სულიერი წინ უსწრებდა მატერიალურს:

შენ შექმენ სული, რომელიც მკვიდრობს ადამიანის მეტყველებაში.

შექმენ, უფალო, კაცთა ენა, სიტყვა ყოველი;

შენ მიუჩინე სათქმელი ბაგეთ,
ვიდრე შექმნიდი თავად ბაგეებს;
და ჯერისამებრ შენ განსაზღვრე სათქმელის ნყოფა,
სიტყვათა რიგი, თანმიმდევრობა;
ბაგეებს შენვე დაუნესე უნარი თქმისა,
რომ საიდუმლო ამოთქვან თვისი,
სულს საფიქრალის გამჟღავნება შეაძლებინონ,
დიდება შენი რომ განზიდონ კიდით კიდემდე
და რომ გაცხადდეს შენგან ქმნილი საკვირველება,
შეუცდომელი შენი ღვანლი, შენი სიმართლე.
არსმა ყოველმა, ბაგემ ყოველმა
ღვთით ბოძებული ნიჭის წყალობით
შეგიცნოს შენ და განადიდოს სუფევა შენი!

თურმე მეტყველების დანიშნულება ყოფილა, რომ
სულმა საფიქრალის გამჟღავნება შეძლოს, რომ ყო-
ველმა მეტყველმა განადიდოს სუფევა ღვთისა და
საერთო ჰარმონიაში ჩაერთოს. მეტყველების უნარში
ღვთაებრივი სიტყვის, ლოგოსის, გამოვლინებას ხე-
დავს ესეველი და გაცეხებული კითხულობს:

ეჰა, გაკვირდა გული ჩემი, უფალო ჩემო!

გაოგნებული ვცდილობ ჩაწვდე შენს

ნამოქმედარს:

როგორ მოხდა, რომ ღვთაებრივი სიტყვა¹

გაცხადდა

¹ თოდორ გასტერის ბნკარედი ასეთია: My heart was amazed that thus Word was revealed. Word ასომთავრულითაა იმის ნიშნად, რომ ეს ჩვეულებრივი არსებითი სახელი არ არის, რომ აქ ღვთაებრივ ლოგოსზეა საუბარი.

იმათთვის, ვისაც ყური ჰქონდა უწვართი და
გული – ფიცხელი.

*

ყუმრანის ჰიმნებში ბიბლიური სახისმეტყველების,
ძველი და ახალი აღთქმის მრავალმნიშვნელოვანი
სიმბოლოების ფონზე გამოკრთება ხოლმე ყოფითი
ცხოვრებიდან შემოჭრილი სულისშემძვრელი შე-
დარებები სასაუბრო ინტიმური ინტონაციით, მაგა-
ლითად:

ისე მექცევი, როგორც დედა თავის პატარას,
ჩვილი რომ დედის მკერდს მიენდობა,
ისე ვარ შენზე მონდობილი, უფალო ჩემო.

ან კიდევ:

ვიცი, უფალო, შენი ხელით არის ნაძერწი
სული ყოველი ადამიანის.

ესეველთა სულიერ სიძლიერეს, აზრის მასშტაბურო-
ბასა და სიღრმეს ეზავება უშუალობისა და ღმერთ-
თან სიახლოვის უჩვეულო განცდა, საოცარი გულ-
წრფელობა და გულითადობა.

მსმენელზე ზემოქმედების მიზნით ღვთისმეტყვე-
ლური აზრის სიღრმესთან ერთად დიდი ყურადღება
ეთმობა სათქმელის გამოხატვის ფორმას. სათქმე-
ლისთვის ძალის შესამატებლად ზოგჯერ მიმართა-
ვენ გამეორებას. ერთ-ერთი მაგალითი:

რა შემძლია, რის მაქნისი ვარ,
თუ არ წარმმართა ნებაშე შენმა, სურვილმა შენმა?!
უშენოდ აზრი როგორ გამიჩნდეს?!

უშენოდ როგორ ვიყო მტკიცე, შეუპოვარი?!
უშენოდ როგორ არ წავბორძიკდე?!
უშენოდ როგორ ვიმეტყველო, როგორ ვიუბნო?!
მოყვასთ როგორღა შევეპასუხო,
თუ არ გამიხსნი ბაგეს, უფალო,
თუ არ მებოძა აზრი შენგან, სასოო ჩემო!

„უშენოდ“ მეორდება და გამომსახველობითი ძალა მატულობს ყოველი ახალი ჩამონათვალით. მოგვიანებით ამ მჭევრმერტყველურ ხერხს ვხვდებით ეკლესიის მამათა, კერძოდ, გრიგოლ ნოსელისა და გრიგოლ ნაზიანზელის ჰიმნებში. ერთი ნიმუშიც იმისა, ღმერთთან სიახლოვე კუთვნილებითი ნაცვალსახელის განმეორებით როგორ გამოიხატა ჰიმნში:

შენა ხარ ჩემი საყუდელი, სავანე ჩემი,
ციხე-ბურჯი და ქავ-ციხე ჩემი;
შენ კლდე ხარ ჩემი, ზღუდე ჩემი, საყრდენი ჩემი;
შენდა მოვილტვი მღევართაგან თავდასახსნელად,
სამარადჟამო ხსნას შენში ვეძებ.

*

ესეველებს რომ საკუთარი ქონება არ გააჩნდათ, ამის შესახებ მოგვითხრობენ ფილონ ალექსანდრიელი, იოსებ ფლავიუსი და სხვანიც. ისინი ძმობას გადასცემდნენ ან საერთოდ გასცემდნენ თავიანთ ქონებას. „მონაგებთა დატევება“ ქრისტიან მარტვილთა და წმინდანთა სულის მოთხოვნილებაა. ჰიმნებში ჩანს, რომ ქონების შესახებ ესეველებს თავიანთი თვალთახედვა აქვთ ჩამოყალიბებული, კერძო

საკუთრების არქონას მათთვის მსოფლმხედველობრივი საფუძველი აქვს. ისინი ჰიმნით მიმართავენ უფალს და ასაბუთებენ „მონაგებისადმი“, ანუ ქონებისადმი, თავიანთი დამოკიდებულების სისწორეს:

შენგან მებოძა მე აღნაგობა,
არსება ჩემი შევუნონე მე ნებას შენსას.
შენ დამმოძღვრე და შენ შთამაგონე,
ამქვეყნიური მონაგები თვალს არა მჭრიდეს,
არ გადავეგო სიმდიდრეს, არ მხიბლავდეს ოქრო.
როდი მიბოძე წყაროდ ჩემი ძლიერებისა
ჯარი სპათა და ქვეშევრდომთა დიდი სიმრავლე,
ანდა ბარაქა, პურ-ღვინო, ზეთი,
ან სხვა რაიმე ამქვეყნიური.
რასაც მე ვფლობ და რაც მომანიჭე,
აღემატება ყოველივეს სადღეხვალისო.

და იქვე, მომდევნო ფრაზაში საუბარია უფლისგან ბოძებულ „შეუზომელ“ და „შეუნონელ“ განძზე:

უხვად მიბოძე მსახურს შენსას, შენი მხევლის ძეს,
განუზომელი, ულავი განძი:
ჭეშმარიტებას მაზიარე და
შემძინე ცოდნა შენი სიმართლის.

ჰიმნებში გამოხატულია ის ნეტარება, რაც მოჰგვარა ძმობის წევრს სულიერმა „მონაგებმა“. ეს ის სულიერი განძია, რომელიც მოიპოვა ძმობის წევრმა ამქვეყნიური ქონების ნაცვლად. საღვთისმეტყველო სიმბოლოებსა და ბიბლიურ სახისმეტყველებას ჰიმნში ეზავება მძაფრი ემოცია:

მსახურმა შენმა მოვიძაგე განძი სოფლისა,
მე წუთისოფლის მონაგების მოხვეჭა არ მსურს.

ჩემს სულს სიამეს აღარა ჰგვრის ძვირფასეული.
შენგან აღთქმული ნეტარება ახარებს ჩემს გულს,
შენი სიმართლე სულს მიცისკროვნებს.
და ენა ჩემი შენით გახდა მჭევრად მეტყველი;
შენ გული ჩემი უჭკნობ ჟამად,
მარადიულ გაზაფხულად გადამიქცეი.
ზეცისა ძალთა იმედადა ვარ
და მე აღარ ვარ ხე ხენეში, ხე უსახური.
რომლის ნაყოფი უმალ ჭკნება ყვავილობაში.

აქ ქონებაზე უარის თქმის საფუძველზეა საუბარი.
ჰიმნში გადმოიღვრება მთქმელის უშუალო, ნრფე-
ლი განცდები და ეს განწყობილება დაგვირგვინებუ-
ლია ბიბლიურ სახისმეტყველებაში დამკვიდრებული
მრავლისდამტევი ხატით. სულიერი განვითარებისკენ
სწრაფვის გზაზე ესეველმა შეიძინა სიმდიდრე, რომ-
ლის წინაშე უფერულდება ყოველგვარი ამქვეყნიუ-
რი მონაგები. მოხმობილმა ჰიმნმა ერთ საინტერესო
ბიბლიურ ხატთან მიგვიყვანა. ესაა „უჭკნობ ჟამად,
მარადიულ გაზაფხულად“ გადაქცეული გული ადა-
მიანისა.

*

ესეველთა ტექსტებში ნახსენებია „მოძღვარი სათ-
ნოებისა“, ზოგი მეცნიერის თარგმანით – „მოძღვარი
სამართლიანობისა“. თეოდორ გასტერი, სხვა ყუმ-
რანოლოგთაგან განსხვავებით, მიიჩნევს, რომ სწორი
თარგმანია „მოძღვარი ჭეშმარიტებისა“. ემილ ბოკი

იზიარებს რუდოლფ შტაინერის მოსაზრებას, რომლის თანახმად, ესეველთა „მოდვარი ჭეშმარიტებისა“ უნდა იყოს ძვ. წ. II საუკუნეში მოღვაწე იეშუ ბენ პანდირა, გამორჩეული მისიის მქონე პიროვნება, რომელიც თავის მონაფეებთან ერთად განმარტოვდა უდაბნოში.

რამდენიმე ჰიმნში გადმოცემულია ფიქრები და განცდები არა ზოგადად რომელიმე ესეველისა, არამედ მათი მოძღვრისა. ამ ჰიმნებში ასახულია განსაცდელი, დევნა, შეურაცხყოფა, რომელთა გადატანა მოუხდა მას. რამდენიმე ჰიმნში მოძღვარი პირველ პირში გვესაუბრება, გვიხატავს თავისი დევნის დეტალებს. ეს არ არის სულიერი განვითარების სირთულეზე ზოგადი საუბარი. მთქმელი კონკრეტულ გასაჭირს, თავსდამტყდარ განსაცდელს გადმოგვცემს:

სიავისა თუ სიყალბის ხილვით
თვალზე ბისტი მაქვს ნაფარებული.
სმენა დამიხშო ხოცვა-ჟლეტამ, ხროტინმა, კვნესამ;
ბოროტებაზე ფიქრით გული მეღმის და მიწუხს;
თავიანთ ავ ზნეს ავლენენ კაცნი
და დათარეშობს ქვეყნად სული უკეთურების.
ჩემი არსება შეიძრა და აღნაგობა ჩემი შეირყა,
ძვლები კი ლამის დასცილდნენ მყესებს,
ამომიცვივდნენ სახსრის ფოსოდან;
გულ-მუცელი კი ისე მიბორგავს,
ქარიშხლით გვემულ ხომალდს მიმიგავს.
აღმოსავლეთით მონაბერი ხორშაკი წივის,
გული მიკვნესის მის ოხვრაზე, მის ხეთქებაზე.

ამ ცოდვა-ბრალის ტრიალში ალბათ გრიგალი შთანმთქავს, მომიღებს ბოლოს. „მოძღვარი ქვემარტებისა“ გვიმხელს, რომ იგი ეზიარა „განსაკვირველ საიდუმლოს ღვთისას“, რომ ეს მოხდა „საოცარი იდუმალებით“, რომ „უფლის დიდების ბრწყინვალე შუქმა შეაღწია მის სამშვიველში“. ადამიანის სულის ღვთაებრივი აღორძინება ბიბლიაში არაერთხელაა შედარებული ოქროს გამონრთობასთან (ესაია, 13,12; ზაქარია, 13,9). „ოქროს გამოწურვებული“ არის სულით ამალღებული, სრულყოფილი ადამიანის ხატი. ადამიანის არსებაში ღვთაებრივი „მე“-ს დაბადება ღვთაებრივი საიდუმლოს გაცხადებად მიაჩნიათ ესეველებს. სიტყვაში ასე დაატიეს მათ აღწერა სულის ამალღებისა, ადამიანის სულში ღვთაებრივი „მე“-ს დაბადებისა:

შენ ღვთაებრივი საიდუმლო ცხადჰყავი ჩემით:
ვითარცა ოქრო გამომანრთე მღვივან ქურაში,
ვითარცა ვერცხლი განმწმინდე მე მინარევთაგან.
მოძღვრის თქმით, უფალმა მისი ბაგით განუმარტა ადამიანებს თავისი განზრახვა:

წყარო ცოდნისა შენ უბოძე, შენ მოუვლინე ყოველს, ვისაც კი დანაფება სწყუროდა მისი.
მათი ცხოვრება შენ წარმართე იმ წესისამებრ,
ჩემი ბაგით რომ განუმარტე ადამიანებს.
მოძღვარს ხელს უშლიდნენ თავისი მისიის შესრულებაში. ერთ-ერთ ჰიმნში იგი გვესაუბრება დევნის მიზეზზე:

უწყოდნენ მათ, რომ სულში სწორედ შენ
ჩამიბუდე

საიდუმლო ღვთაებრივი, განსაკვირველი, –
მგმობდნენ, მქირდავდნენ, მიმრავლებდნენ
ავისმოსურნეთ;
ცილს მწამებდნენ და ჩემს ავს ამბობდნენ,
გაგლისპებულნი სისინებდნენ და
ასარსალებდნენ ორკაპა ენებს,
თან ასპიტის შხამს იფურთხებოდნენ...
ეს იყო დიდი შეჭირვება, გაუსაძლისი,
იყო ტკივილი უწყვეტი და უშელავათო.

მკვლევართა ნაწილის აზრით, მოძღვარი ესეველთა
ძმობის დამფუძნებელია, მაგრამ ერთ-ერთ ტექსტში
ესეველები ჩივიან, რომ 20 წლის განმავლობაში ძმო-
ბა გზას მიიკვლევდა ბნელში ხელის ცეცებით, ვიდრე
უფალი მოგვივლენდაო მოძღვარს. ზოგი მკვლევარ-
რი შეეცადა იგი გაეიგივებინა ქრისტესთან, მაგრამ
მოძღვარი თავად მოელის მესიას და ამ მოლოდინის
სულისკვეთება იგრძნობა ჰიმნებში.

„მოძღვარი ჭეშმარიტებისა“ გავეშებულმა ბრბომ
ჩაქოლა.

*

პირველივე ჰიმნის ინგლისურ ბნკარედში რამდე-
ნიმე ტაეპი ასე იკითხება:

All things are inscribed before Thee
In a recording script
For the infinite cycles of years,

In the several appointed times ...

No single thing is hidden ,

Naught missing from Thy Presence.

ის, რასაც თეოდორ გასტერი თარგმნის როგორც recording script, საგანგებო ყურადღებას იმსახურებს. ეს მონაკვეთი ქართულ თარგმანში ასეა წარმოდგენილი:

არაფერია დაფარული წინაშე შენსა.

დროის ყოველი მონაკვეთი, ბრუნვა ჟამისა,

გამორჩეული, დათქმული დღე თუ დღე სადაგი

აღნუსხულია *მატიანის ძველთაძველ წიგნში*;

არაფერია დაფარული, რომ არ გაცხადდეს,

არაფერია, არაფერი, ღმერთო, უშენოდ!

ესეველთა თანახმად, ყოველივე, რაც ამქვეყნად ხდება, აისახება *მატიანის ძველთაძველ წიგნში*. არც თეოდორ გასტერს და არც სხვა ყუმრანოლოგებს არ განუმარტავთ, რას უნდა ნიშნავდეს recording script. საყურადღებოა, რომ ლაურა გრიგოლაშვილმა, რომელმაც დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“-თვის მიძღვნილ თავის მონოგრაფიაში საფუძვლიანად და ყველა შესაძლო კუთხით შეისწავლა დავით აღმაშენებლის ეს დიდებული ქმნილება, სხვა საკითხებთან ერთად გამოიკვლია *წიგნი მათიანისა*ს მნიშვნელობაც და ნათელი გახადა, რომ, მამათა სწავლების თანახმად, *წიგნი*, იგივე *წიგნი მათიანისა*, რომლის შესახებ საუბარია დავით აღმაშენებლის „გალობანში“, არამატერიალური ბუნებისაა. მკვლევარი გვანჯდის ფერემ ასურის განმარტებას: „*წიგნი მათიანისა*

განელოს, რომელსა შინა წერილ არიან ყოველნი საქმენი ჩუენნი და სიტყუანი და გულის სიტყუანი, რომელნი ამას სოფელსა გკქმნიან, და ვჰგონებდით, ვითარმედ ღმერთსა დაჰვინწყებიან იგინი“. მანვე მიაკვლია იოანე ოქროპირის განმარტებას: „ნიგნი იგი მატიანეთანი განეხუმიდიან და საქმენი კაცთანი დაფარულნი და ცხადნი აღმოიკითხებოდნან“. რაც მთავარია, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ნათქვამია: რომ ღირსეულთა ცხოვრება აღწერილი არის „მიუწვდომელად ჩუენგან დაწერილთა საუკუნოდ ზეცათა შინა ანგელოზთა თანა წიგნსა მას ცხოველთასა“. ლაურა გრიგოლაშვილი დასძენს, რომ „მოტიანილ მსჯელობაში გამოკვეთილია წიგნის რამდენიმე ნიშანი: იგი მიუწვდომელია, მარადიულია და ზეცათა შინა ანგელოზების სფეროში“. ნაშრომში ვკითხულობთ, რომ „წიგნი მატიანისაჲ შეიცავს სამყაროს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. მასში აღინუსხება არა მხოლოდ განკითხვის დღეს მოსახსენებელი ცოდვები, არამედ ადამიანის მთელი ცხოვრების ავ-კარგი. წიგნი მატიანისაჲ ზეგრძნობადია და მისი წვდომა დაკავშირებულია მისტიკურ ხედვასთან“. იოანე მახარებლის აპოკალიფსური ხილვაც სწორედ წიგნს უკავშირდება. ლაურა გრიგოლაშვილის დასკვნით, „დავით აღმაშენებელი მიჰყვება პატრისტიკულ თვალსაზრისს, რომლის თანახმად, ადამიანი თავისი ცხოვრებით ტოვებს წარუშლელ კვალს“. საგულისხმოა, რომ წიგნი მატიანისაჲს შესახებ სიბრძნეს ფლობდა ესეველთა ძმობაც.

ბრამანიზმისა და ინდური რელიგიური ფილოსოფიისთვის ცნობილი იყო „აკაშა ქრონიკა“ – ზეგრძობადი მატრიანე, არამატერიალური ბუნებისა, რომელშიც აღინუსხებოდა ყოველივე, რაც ქვეყნად ხდებოდა. როგორც ვხედავთ, ესეველებსაც მიაჩნდათ, რომ ადამიანის ფიქრი, სურვილი, ქცევა – ყველაფერი კვალს ტოვებს სულიერ სამყაროში და რომ ადამიანს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია.

*

ყუმრანის გრაგნილებში ღვთის სამადლობელი ჰიმნების გარდა კიდევ ერთი ჰიმნია დაცული. ეს არის *ხელდასხმულთა ჰიმნი*. სათაური არცერთ ჰიმნს არა აქვს. სათაური არც ე.წ. *ხელდასხმულთა ჰიმნს* აქვს. ეს სახელწოდება თეოდორ გასტერს ეკუთვნის. იგი მიიჩნევს, რომ ეს ჰიმნი არის ერთგვარი განჩინება, ძმობის ცხოვრების წესი, და მას *ხელდასხმულთა ჰიმნი* (The Hymn of Initiants) უწოდა.

საფიქრებელია, რომ ამ ჰიმნს ინიციაციის, ანუ ხელდასხმის, რიტუალის დროს გალობდნენ. ხელდასხმის სხვადასხვა საფეხური არსებობდა. ამ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს ძმობაში გაერთიანება, რასაც წინ უძღოდა ხანგრძლივი შემამზადებელი პროცესი. ეს იყო თვითჩაღრმავების, სულიერი ძალების მოკრებისა და განსწავლის ხანგრძლივი პერიოდი. მისტი, ანუ ცნობიერების ამალლების მსურველი, ღირსი უნდა გამხდარიყო გა-

რეშეათავის დაფარული საკრალური სიბრძნის წვდომისა.

ჰიმნის დასაწყისში ესეველთა ძმობის წევრობის მსურველი, ინიციაციის გზაზე შემდგარი მისტი, საკუთარი ცხოვრების რიტმზე და მნათობებთან თავისი ყოფის შესაბამისობაზე საუბრობს, ადამიანი რომ თავისი სულიერი არსით ზეციურ ძალებთანაა დაკავშირებული, – ამას გვეუბნება და აღწერს, თუ როგორ უგუებს და უთავსებს თავისი სიცოცხლის მდინარეებს ასტრალურ სამყაროს.

ჰიმნში ნათქვამია, რომ უფალი წარმართავს ზეციურ სხეულთა რიტმს და რიტმს დედამიწისასაც. ამ რიტმს შეწყობილია ცხოვრება და მისწრაფებები ძმობის წევრისა:

აისის ჟამს თუ დაღამებისას

ისევ და ისევ გავიხსენებ აღთქმას უფლისას.

დილა-საღამო რომ გადაივლის,

დავაკვირდები, ვით წარმართავს დღე-ღამის

რიტმს უფალი ღმერთი.

ჰიმნის თანახმად, ეს ყველაფერი „დასაზღვრულია“ უფლის მიერ და მოსე წინასწარმეტყველისთვის ბოძებულ „ქვის ფიცრებზე“ აღბეჭდილ მცნებებშია გათვალისწინებული:

მხოლოდ იქ, სადაც ზღვარს დასაზღვრავს

არსთა გამრიგე,

შეუძრველ საზღვრებს, თვისი მცნების

უცვალებელ წესს, –

მე სულით ჩემით იმ არეში დავიდებ სამანს

და ეს იქნება ჩემთვის მცნება, კანონი ღვთისა,
ჩემი წინამძღვრის ქვის ფიცრებზე ამოჭრეთილი.
გაგვახსენდება რუსთაველი: „ვინ საზღვარსა და-
უსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად“.
უფალი, როგორც ზეცისა ძალთა იერარქიის „საზ-
ღვართა დამსაზღვრელი“, გასდევს შუა საუკუნეთა
კულტურას.

„დაუცადებელი“, უწყვეტი ქება უფლისა ძმობის
წევრს სამყაროს ღვთაებრივ რიტმში ჩართვის სა-
შუალებად მიაჩნია და ძმობის წინაშე ფიცს დებს:

უაზრო სიტყვებს, ფუჭ საუბარს მე არ ავყვები,
სიბილწესა და უხამსობას აირიდებს გონება ჩემი,
დავენაფები ცოდნას, თანაც მე ყურს მივუპყრობ
სამყაროს რიტმს და ბრძნულ შეგონებებს...

ხმას შევუერთებ უფლის ქების მგალობელთ
ქოროს.

ხელდასხმის რიტუალის დროს ესეველი უმხელს
ძმობის წევრებს თავის ზეგრძნობად ხილვას:

წყარო სიბრძნისა, წყარო სინმინდის,
მწვერვალი ხსნისა და დიდებისა,
ძალმოსილება ყოვლისმომცველი,
მშვენიერება მე ვიხილე მარადუჭკნობი.

ესეველთა თანახმად, ადამიანი, დედამიწის მკვიდ-
რი, ამასთანავე კოსმიურ განზომილებებში ჩართუ-
ლი არსებაა და მას თავისი ამაღლებით სამყაროს
ჰარმონიაში ადგილის დამკვიდრება მართებს. ჰიმნის
დასაწყისში ესეველი ამიტომ გვესაუბრება სამყაროს
რიტმზე, ამიტომ დებს პირობას, რომ ზეციური სხე-
ულებისა და სამყაროს რიტმს შეუფარდებს თავის

ცხოვრებას და ამის შესაბამისად იტყვის უფლის სა-
დიდებელს.

ჰიმნში ისიც არის ნათქვამი, რომ ძმობის წევ-
რის ძალისხმევას შედეგი მოჰყვა, რომ იგი ეზიარა
სიბრძნის წყაროს, რომ ხელდასხმულის სულიერი
მზერა მისწვდა უფლის იდუმალ არსს:

სიბრძნის წყაროდან ამოაშუქა
ნათელი თვისი უფალმა ჩვენმა
და მზერა ჩემი მისწვდა უფლის იდუმალებას.
გულში ჩაღვრილმა დიდმა ნათელმა
უღრმეს სფეროებს მიაღწია არსებობისას.

ხელდასხმული ასევე გვიმხელს, რომ ცნობიერების
სხვა დონემდე ამაღლდა. ჰიმნში ღვთისმეტყველურ
სიმბოლოთა ერთ არის საუბარი და ზოგჯერ ეს
სახე-სიმბოლოები გაშიფრულიცაა, მაგალითად:

უფალი ღმერთი ჩემ მარჯვენიაა,
ჩემი ბილიკი კლდეს მიუყვება,
რათა ურყევად ვიდგე, მყარად და შეუძვრელად,
რადგან კლდე იგი ჩემთა ფეხთა ქვეშ
არის სიმართლე, ჭეშმარიტება.
მისი სიმტკიცე საყრდენია ჩემი მარჯვენის;
ლმობიერება უფლის არის მჩქეფარე წყარო,
რომელსაც მოაქვს შეწვენა ჩემი,
განმტკიცება და გაძლიერება.

სათქმელმა ისევ მოითხოვა სახისმეტყველებითი
ხატები: „კლდე“, „წყარო“. ჰიმნში ნათლად ჩანს, რომ
ძმობის წევრებს თავიანთი ცხოვრების წესით მიულ-
წევიათ იდუმალი სიბრძნისთვის, რომელიც დაფარუ-
ლი იყო სხვათათვის:

უფლის იდუმალ სასწაულთაგან
სინათლის სხივი მეღვრება სულში
და თვალი ჩემი უმზერს მხოლოდ უსაწყისოს
და უსასრულოს.

უბინოება და ღირსება გონმიუნვდომი,
უზენაესი, უღრმესი სიბრძნე, –
იდუმალი და დაფარული კაცთა მოდგმისთვის,
წყარო სიკეთის, სიმართლისა, ძლიერებისა,
დიდებულების სათავე და წყაროსთვალი
სიდიადისა, –

რომელსაც ვერა ხორციელი ენა ვერ იტყვის, –
ესე ყოველი უწყალობა სამარადჟამოდ
უფალმა ღმერთმა რჩეულებს თვისას.

ხელდასხმული უფლის რჩეულად არის მიჩნეული, ეს
არაერთხელ მეორდება საგალობელში:

შენი მხევლის ძეს შენ შთაუნერგე
სიყვარული და ის სიკეთე შეუზომელი,
რომლითაც მსჭვალავ რჩეულ მოკვდავთ,
შენს მოიმედეთ.

ესეველთა ძმობაში განევრიანება რომ მოითხოვდა
პიროვნების ცნობიერებისა და ზნეობის ამაღლებას,

– ეს ერთ-ერთ სხვა ჰიმნშიც (XIV) ჩანს:

შენი წყალობით ზღვარდაუდებლით
მე ვინყე ნვდომა საგანთა არსის
და ფიცი დავდე, არ შევცოდო შენ წინაშე,
უფალო ჩემო;

არც არასოდეს ჩავიდინო, რაც ბოროტად გიჩნს...
და მე მებოძა ნება გავხდე ამ ძმობის წევრი.

შემდეგ ესეველთა ჰიმნი შესაქმის შესახებ გვაუწყებს:

ღვთის სიბრძნით იქმნა ყოველივე, რაიც შეიქმნა.
და ყოველივე, რაც არსებობს, მისი აზრის
ანარეკლია.

თვინიერ მისა არცარა იქმნა.

და კვლავ როგორ წააგავს ჰიმნის ეს მონაკვეთი იოანეს სახარების მუხლს (1,3): „ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თვინიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი-რაჲ იქმნა“. ჰიმნი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს სახარებას. ესეველთა ხელდასხმის რიტუალი და ეს ჰიმნიც, როგორც რიტუალის თანმხლები, უნდა არსებულიყო ძმოზის დაფუძნებიდანვე. ეს არის ღვთაებრივი ჭემმარიტების ადეკვატური აღქმა, რომელიც არაერთი რელიგიის საფუძველში დევს.

ესეველთა ჰიმნებში რამდენჯერმე გვხვდება ბიბლიის ერთ-ერთ მუხლთან („მინა ხარ და მინად მიიქცე“, დაბადება, 3,19) შეხმიანება. ჰიმნებში „მინას“ ხან „თიხა“ ენაცვლება, ხან – „მტვერი“. ამ სახისმეტყველებით ფორმულებს ესეველთა ჰიმნებშიც, ისევე როგორც ბიბლიაში, მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია და ეს თემა *ხელდასხმულთა ჰიმნშიც* მეორდება:

ვინ გაიაზროს, ვინ გადასწვდეს დიდებას შენსას?
ანდა, რა არის კაცი მოკვდავი,
რა ადგილი აქვს შენს დიად ღვანლში?
ის შეზელილი არის მტვერისაგან
და გვამი მისი სარჩოა მლილის.
ის თიხისაგან ჩამოქნილია,

მინა არის და მინად იქცევა.

პასუხად თიხამ რა შეგაგებოს?!

ან იმან, ვინც შენ თიხისგან შექმენ?!

ან კი რა აზრი ჩასწვდება ამას?!

ამ კითხვით მთავრდება *ხელდასხმულთა ჰიმნი*. მაგრამ მთელი ჰიმნი პასუხია ამ კითხვაზე. ესეველთა თანახმად, ადამიანის არსებაში მინიერ ბუნებასთან ერთად უდიდესი სულიერი ენერგია და ღვთაებრივი ძალა მკვიდრობს.

ესეველებს სჯერათ, რომ ადამიანი თავის ღვთაებრივ ხატს აღიდგენს, „ღმერთს შეიმეცნებს და შეემეცნება“ და თავის ხმას შემატებს სამყაროს ღვთაებრივ ჰარმონიას. *ხელდასხმულთა ჰიმნი*ში ღვთაებრივი განჩინების შესახებ ვკითხულობთ:

მემკვიდრეობად უბოძა მან ადამიანებს

ანგელოზთ დასთან ზიარი ბედი,

რათა შეექმნა სანეტარო წმინდა ერთობა,

რომლის სინმინდით აღორძინდება

უფლის ვენახის ძლიერი რქა და

მაღლი იმ რქისა გადასწვდება მარადისობას.

ესეველთა იდეების ასპარეზი ძმობის ფარგლებით იზღუდებოდა. ისინი გარიდებულნი იყვნენ ნუთისოფლის ცთუნებებს, გაურბოდნენ ყოველგვარ საცთურს. ესეველობა რჩეულთა ძმობა იყო. სულიერი ერთობის იმპულსი და მათი ზნეობრივი კანონი მცირე კრებულებით იყო შემოზღუდული. ეს იყო გამორჩეულთა გაერთიანება. ისინი ემიჯნებოდნენ მერყევთ, შეცთომილთ; ერიდებოდნენ არა მხოლოდ სულიერ ბინს, არამედ უნმინდურებასთან ფიზიკურ

შეხებასაც კი. თეორითაც ხომ ამიტომ იყვნენ დამოსილნი. აი, რას ამბობს ძმობაში განწევრიანების მსურველი:

ხოლო უფლის გზას, ჭეშმარიტ გზას, ვინც
გადაუხვევს,
ის თანაგრძნობას ჩემგან ნუ ელის.
ვერ ვანუგეშებ განდრეკილთ და გზიდან
განდგომილთ.

ან კიდევ:

მე, ჩემდა თავად, არ ვიგულვებ მეგობრად არვის,
ვინც არ იქნება ჩემი სწრაფვის თანამოაზრე;
ძმობას მე მხოლოდ მას შევთავაზებ,
ვინც გაიაზრებს, გაითავისებს
ჩვენს საერთო ხვედრს, ძმობის იდეას.

გამოხდა ხანი და ქრისტიანობამ ყველა ადამიანისთვის მისაწვდომი გახადა ის, რაც ხელდასხმულთა წრეში ხდებოდა. „თეოზისი“ – ანუ განღმრთობა, სულიერი ამალღება – შესაძლებელი შეიქნა არა მხოლოდ ხელდასხმულთათვის, ძმობათა და გაერთიანებათა წევრთათვის, არამედ ყოველი ადამიანისთვის, ავაზაკისთვისაც, მეძავისთვისაც. მოვიდა მესია, რომელიც მეზვერის ტაბლას მიუჯდა, რომელიც ცოდვილთ მიუტევებდა და რომლის ბაგეთაგან გაისმა: „არა უჭმს ჯანმრთელთა მკურნალი, არამედ – სნეულთა“ და ასევე: „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ – ცოდვილთა სინანულად“.

ქრისტიანობა პურიტანული კომუნა კი არაა, არამედ საკაცობრიო რელიგიაა. ქრისტიანობამ ამცნო

კაცობრიობას, რომ „ღმერთი არის სიყვარული“ და რომ ყოველი ადამიანის სულში უნდა იშვას ღვთაებრივი „მე“, ყოველი ადამიანის არსებაში უნდა აღდგეს დაცემული ადამი.

ესეველთა ძმობას თავისი ცხოვრების წესითა და ჭეშმარიტების შეცნობისკენ თავისი ლტოლვით მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქრისტეს ნათელისთვის, ქრისტეს სიყვარულისთვის მოლოდინის გავივებაში.

პირველი საუკუნის 40-იან წლებში ძმობამ არსებობა შეწყვიტა. ესეველთა უმეტესობა პირველქრისტიანთა რიგებს შეუერთდა.



**ღვთის საღიდაველ ჰიმნთა წიგნი
ანუ
სამადლოებელი ფსალმუნები**

1

I, 5-39

უფალო ჩემო, შენ ხარ წყარო ძლიერებისა,
შენ ხარ საწყისი, დასაბამი ყოველთა ძალთა.
სიბრძნით მორჭმულო, დიადია განზრახვა შენი.
წყალობა შენი, მადლი შენი ვით აღინუსხოს!
შენ მოიხილავ ავისმზრახველთ და ბოროტმოქმედთ,
შენა ხარ დიდად დამაშვრალი მსაჯული ჩვენი
და, რაც შენ შექმენ, ყოველი ქმენ სამართლიანად.

მიუწვდომელი ღვთაებრივი სიბრძნის წყალობით
შენ გამოიხმე არყოფნიდან, შენ დაბადე
უკვდავნი სულნი;
ვიდრე შექმნიდი, საღვანად მათ განუწესე
მარადისობა.
უშენოდ, ღმერთო, არ არსებობს შემოქმედება;

შენ მიერ იქმნა ყოველივე, რაიც შეიქმნა,
თვინიერ შენსა არარა იქმნა.

ყოველი არსის დასაბამი შენ ხარ, უფალო!
შენ განუჩინე ყოველ მათგანს თვისი წესი,
დანიშნულება;
შენა ხარ მათი ღვანლის გამრიგე.

როდესაც შენდა სადიდებლად შეგრაგნე ცანი
და ზეცის ძალთა, ანგელოზთა, დასი განაგე,
შენ შექმენ არსნი ძლიერნი და ყოვლისშემძლენი, –
მერმე საზღვარი დაუსაზღვრე ზეცისა ძალთა.
ზეცის მხედრობას ანგელოზთა ხატი უბოძე
და დაუდგინე მეუფება ზეცის სფეროთა,
შეაძლებინე მზის და მთვარის ძალთა წარმართვა;
ანგელოზებსვე შენ მიანდე ვარსკვლავთა ხომლი,
ზეცაში მათი წრებრუნვის და სრბოლის გაძღოლა;
ძალნი ცათანი მიუჩინე წვიმასა და თოვლს,
რათა მათ უკეთ აღასრულონ განზრახვა შენი;
შენ განუწესე ანგელოზებს მეხისტეხის,
ჭექა-ქუხილის,
მონყვეტილ ვარსკვლავთ სრბოლის განგება,
სრულად წარმართვა საღვანთა მათთა.
უფსკრულთა განძის მეუფებაც მიეც ანგელოზთ
და დააკისრე მსახურება მინის წიაღის;
მათვე მიანდე სამართავად ცეცხლი და წყალი,
მათი ფარული, იდუმალი ძალის შეცნობა.

შენ შექმენ მიწა, შექმენ ზღვები, ზესკნელ-ქვესკნელი
და შენი სიბრძნით ჩააბუდე მათ ნიაღში

უკვდავნი სულნი;

დაადგინე და ნებას შენსას დაუმორჩილე
ყოველი არსი, სულიერი, რაც ქვეყნად მკვიდრობს.

ადამიანის სული აქციე

გვირგვინად შენი შემოქმედების,

შენ იგი შექმენ მარადისი სიცოცხლისათვის,

რათა წარმართოს თვისი ღვანლი სიკეთისაკენ,

რომ ჟამთა სვლაში მან საკუთარ თავს

უწინამძღვროს.

ადამიანის სულს მიზანი შენ დაუსახე

და ასპარეზიც განუჩინე მას შესაფერი.

ეს განჩინება კაცთა მოდგმას გადასწვდა სრულად.

შენ დაუნესე ადამიანს დროსა და ჟამში

წიოს ჭაპანი და წარმართოს თვისი ცხოვრება.

შენ უბოძე მას მისწრაფება, საქმე, საღვანი;

დროც განუსაზღვრე:

როდის ჰქონდეს შვება, მშვიდობა,

როდის დაატყდეს თავს განსაცდელი.

სული კაცისა შენ შექმენ და შენ დაადგინე

თაობათა და ეპოქათა მდინარებაში

ადამიანის დანიშნულება;

შენ მას უბოძე სიცოცხლის გზა სამარადჟამო;

ყოველისმომცველი ღვთაებრივი სიბრძნის წყალობით

დაბადებამდე განუსაზღვრე მას ბედისწერა.

ესე ყოველი შენ მიერ იქმნა.

თვინიერ შენსა არარა იქმნა.

მე – წყლით შეზელილ თიხას, აყალოს,
დაცემისა და სიბილწის წყაროს,
ერთ უგვან ჭურჭელს ბოროტებისას,
ცოდვის შვილსა და ცთუნებულს, უნდოს,
თავნებას, ურცხვსა და დაუდევარს,
შენი მართალი სამართალით განაწყენებულს –
რისი თქმა ძალმიძს, რა მსურს ისეთი,
წინასწარვე რომ ის არ იყოს ცნობილი შენთვის?!
არაფერია დაფარული წინაშე შენსა.
დროის ყოველი მონაკვეთი, ბრუნვა ჟამისა,
გამორჩეული, დათქმული დღე თუ დღე სადაგი
აღნუსხულია მათიანის ძველთაძველ წიგნში;
არაფერია დაფარული, რომ არ გაცხადდეს,
არაფერია, არაფერი, ღმერთო, უშენოდ!

აბა, რა ეთქმის ადამიანს ცოდვათა გამო?
როგორ მოიქცეს, როგორ შეძლოს თავის მართლება?
ანდა ცთუნებას როგორ დაეხსნას?
ან რა პასუხი შეაგებოს მართალ განაჩენს?
უფალო ღმერთო, შენ ხარ ძირი და დასაბამი,
ხარ ყოველგვარი ცოდნის სათავე;
შენ დაადგინე თვით სამართალიც,
ჭემმარიტების საიდუმლოც შენი ღვანლია.
მაგრამ, ვაი რომ, კაცი მაინც ცოდვისკენ ილტვის,
სჩადის სიყალბეს, მზაკვრობასა და დანაშაულს.

შენ შექმენ სული, რომელიც მკვიდრობს
ადამიანის მეტყველებაში.

შექმენ, უფალო, კაცთა ენა, სიტყვა ყოველი;
შენ მიუჩინე სათქმელი ბაგეთ,
ვიდრე შექმნიდი თავად ბაგეებს;
და ჯერისამებრ შენ განსაზღვრე სათქმელის წყობა,
სიტყვათა რიგი, თანმიმდევრობა;
ბაგეებს შენვე დაუნესე უნარი თქმისა,
რომ საიდუმლო ამოთქვან თვისი,
სულს საფიქრალის გამჟღავნება შეაძლებინონ,
დიდება შენი რომ განზიდონ კიდით კიდემდე
და რომ გაცხადდეს შენგან ქმნილი საკვირველება, –
შეუცდომელი შენი ღვანლი, შენი სიმართლე
საყოველთაოდ რომ განითქვას კიდით კიდემდე;
არსმა ყოველმა, ბაგემ ყოველმა
ღვთით ბოძებული ნიჭის თანახმად
შეგიცნოს შენ და განადიდოს სუფევა შენი!

უფალო ღმერთო, შენი მადლით, შენი წყალობით,
შენი სიკეთით და სიყვარულით
გააძლიერე, განამტკიცე სული კაცისა,
რათა გასაჭირს და განსაცდელს გამკლავებოდა.
შენ კაცთა მოდგმას სამარცხვინო ლაქა წარხოცე,
აშორე ბინი, განწმინდე და განასპეტაკე,
რათა სიმრავლე სასწაულთა შენთა გვეხილა
შენს ნაღვანსა და ნამოქმედარში.

მე თავს დამატყდა გასაჭირი აურაცხელი.
ადამიანებს, კაცთა მოდგმას მინდა ვაუნყო,
რომ ჩემით, ჩემთვის მოვლენილი სასწაულებით

კვლავ გამოვლინდა ძალი შენი
ყოვლისმძლე და ყოვლისშემძლები.

ჰოი, თქვენ, ბრძენო, მომაპყართ ყურნი!
თქვენც მომისმინეთ, უგუნურნო და უმნიფარნო!
გონება უნდა დაიდინჯოთ, ჭკუას მოუხმოთ.
თქვენ კი ზრდასრულნო და გონებადაუნჯებულნო,
რისხვა და ბოღმა დაიოკეთ,
ნუ გარიყავთ სათნოთ, თავმდაბალთ!
უგულისყურო, უგულისხმო ადამიანებს
უჭირთ ღვთაებრივ სიღრმეთა წვდომა
და კბილთა ღრჭენას აგებებენ მოყვასის რჩევას. [. . .]



მადლს გიძღვნი, ღმერთო, ზღუდევ ჩემო,
 სავედრებელო,
 რამეთუ შენ ხარ ძალი ჩემი, ციხესიმაგრე.
 შენ აარიდე ჩემს სამშვიდველს ბინიერება,
 ჭეშმარიტება ჩამითესე გულში, უფალო;
 ხოლო სულს ჩემსას ძღვნად უბოძე უმნიკვლოება,
 ნელში გატეხე ჩემი მტერი, ჩემი ორგული.

შენ შემითვისე, შემიტკბე და შვება მომმადლე,
 როდესაც დარდი, კაეშანი, ნგრევა და შფოთი
 ძრწოლას მგვრიდა და სულს მიხუთავდა.
 მე – შელონებულს, შემკრთალსა და შიშით ატანილს –
 მშვიდობის სიტყვა შენ გამაგონე,
 განსაცდელის ჟამს გულს სიმტკიცე შენვე შეუნთე.

ენამჭევრობა შენ მიბოძე ბლუს და ენაბრგვნილს,
 შემკრთალი სული განმმტკიცე, განმიძლიერე
 და ბოროტების საუფლოში ცოდვებში ჩაფლულს
 საკუთარ ფეხზე მყარად დგომა შემაძლებინე.

შეცთომილთათვის მე ხატი ვარ უძღურებისა,
მონანულთათვის მე წყარო ვარ ცხოველმყოფელი;
შლეგთათვის ანდა გულჩქართათვის მე
სიდინჯე ვარ,
ჭკუაცეტათათვის მე გახლავართ ზომიერება.
საქილიკო და ასაგდები გავხდი იმათთვის,
ვინც ჩაფლულია სიყალბესა და სიცრუეში;
ვინც შენს გზაზე დგას და სიმართლით დაიარება,
მათთვის ვარ ხატი გონიერების.

დასაცინი ვარ ავყიათა და ბოროტთათვის,
სალანძღავი ვარ უსჯულოთა ბაგეებისთვის,
ღვთისგარეგანნი კბილთა ღრჭენით
მქირდავენ ხოლმე;
მე არარა ვარ ცოდვილთათვის, შეცთომილთათვის.
გაშმაგებული მიტევდა მე ბოროტთა ხროვა,
ზღვის მრისხანებას მიაგავდა დრტვინვა იმათი,
აბორგებული ტალღეებით ფორიაქობდნენ,
მესროდნენ ლაფსა და სიბინძურეს.

ზნეკეთილობას ვინც ესწრაფვის და ზნესრულობას,
სულით ვინც სწვდება ღრმა აზრებს და
იდუმალ სიბრძნეს,
ჭეშმარიტებას ვინც ეძიებს თვისი არსებით,
ამაღლებული სიყვარულით ვინც მიიკვლევს გზას, –
შენ დამსახე მე მისაბაძად, ნიმუშად მათთვის.

უკეთურებას ვინც ქადაგებს, იმათთვის მე ვარ
მეამბოხე და შფოთის მოთავე;

სწორ გზას ვინც ადგას, იმათთვის ვარ

მშვიდობის მაცნე.

მოხეტეილ წყალს ჰგავს დრტვინვა მზაკვართა,
მათი ღრიალი, მათი ყვედრება.

იმათ გონებას ასაზრდოებს ფუჭი აზრები,
ბოროტი ზრახვა, უკეთური, ავი ფიქრები.

წყარო ცოდნისა შენ უბოძე, შენ მოუვლინე

ყოველს, ვისაც კი დანაფება სწყუროდა მისი.

მათი ცხოვრება შენ წარმართე იმ წესისამებრ,
ჩემი ბაგით რომ განუმარტე ადამიანებს.

შენ წვართე კაცი და მას გულში შენ გაუღვივე

ცოდნის წყურვილი, შეცნობის და აღქმის უნარი,

მაგრამ ვერ შეძლო დაფასება ამ წყალობისა,

ვერ გულისხმაყო, მოისროლა მთხრებლში, ხაროში.

შენი ურიცხვი საბოძვრის და ძღვენის სანაცვლოდ

შემოგაგებეს უვიცობა, უგუნურება,

ენაბლუობა, საუბარი ენის ბორძიკით,

უგზოდ, უკვალოდ ხეტიალი, უგულისხმობა

და ბრმად მინდობა უკულმართი ბედის ტრიალის.



უფალო ჩემო, შემწვე ჩემო, მადლიერი ვარ,
 შენ სული ჩემი ჩართე დროის მდინარებაში,
 სიცოცხლის დიად წრებრუნვაში, დრო-ჟამის რიტმში;
 შემომაგებე შენი მადლი, შენი წყალობა
 და შემომზღუდე, დამიცავი ბილნთა ხრიკთაგან.

მონდობილი ვარ შენს წმინდა აღთქმას.
 სწორედ ამიტომ უსჯულონი, ეშმაკის კერძნი
 წინ აღმიდგნენ და ეძიებდნენ ნახდენას ჩემსას.
 რა იცოდნენ მათ, რომ ბურჯად მყავდი,
 რომ იყავ ჩემი სიცოცხლის მხსნელი,
 რომ წარმართავდი ნაბიჯებს ჩემსას?!

შენ გამო, შენი ერთგულებისთვის
 ურცხვად მიტევდნენ, მეტოქებოდნენ,
 მაგრამ დადგება დღე განკითხვისა,
 დადგება ჟამი ღვთიური მსჯავრის
 და გაცხადდება ძალი შენი, დიდება შენი.
 ჩემდამი შენი წყალობით და ღმობიერებით

ადამიანებს შენ აუწყებ, შენ დაანახევებ,
რომ შენმა ძალამ განმამტკიცა, გამაძლიერა.

ძლიერთა ამა ქვეყნისათა პირი შეკრეს ჩემ
წინააღმდეგ,

ბანაკი დასცეს,

აღჭურვილობა მათი სჯობდა, სჭარბობდა ჩემსას.

შუბის, ჰოროლის ძგერებით მდიეს,

მათი ლახვრები ნაპერწკლებს ყრიდნენ

და ცეცხლს ისროდნენ,

ცეცხლს – ვეება ხეს რომ ჩაფერფლავს

და ჩაანაცრებს.

მათი ყიჟინა მომსკდარი წყლის ბორგვასა ჰგავდა,

ზავით მოხეთქილს, დამანგრეველს და დამამხობელს.

გული მინუხდა და მელეოდა,

სული კი მქონდა მინდობილი შენს წმინდა აღთქმას...

და ჩემი მტრები თავად მოჰყვნენ იმავ ბადეში,

ჩემს შესაპყრობად მოქნეულსა და მოსროლილში;

თავად გაეზნენ ორივე ფეხით იმავ მახეში,

მზაკვრულად ჩემთვის გამართულსა და დაგებულში.

უფალო, ვდგავარ მყარად, მტკიცედ და შეუძვრელად

და სადაც ხალხის თავყრილობაა,

იქ ვიტყვი, ღმერთო, დიდებას შენსას.

შენ გაამხნევებ ჭირსა შიგან მყოფთ,
შენ დაიფარავ ავისმქმნელთაგან,
რომელნიც რისხვით მძლავრობენ მათზე.
უფალო ჩემო, კვლავაც მომხედე
და დამიხსენი ძლიერთაგან ამა სოფლისა.
შენგან მომეცა ძალი, შეძლება.
და ვერ დამთრგუნა
მათმა ქილიკმა, შეურაცხებამ.
შეცოდებაში ჩათრევა ჩემი
სწადდათ უკეთურთ;
მზაკვართ ეგონათ, შენს სამსახურს მივატოვებდი,
ვულალატებდი შენს წმინდა აღთქმას
და მათს უბადრუკ სიყალბეში უმაღ გავცვლიდი
ჭეშმარიტების დიად სულს და შენს თაყვანებას. [...]



მუცლადღებული ქალივით ვარ შეჭირვებული,
ახალ სიცოცხლეს დასაბამი რომ უნდა მისცეს,
პირმშო რომ უნდა მოავლინოს დედამ ამქვეყნად.
დრო მოაწევს და ქალს ტკივილი დაუამდება,
დიდი ტკივილი, გაუსაძლისი.

ტანჯვა-წამება გზას უკაფავს ახალ სიცოცხლეს,
ყრმა ხორცს შეისხამს, მომწიფდება დედის წიაღში,
დაიბადება, შემოაღწევს წუთისოფელში
ძველი დროიდან აღთქმული ჩვილი.
გაუსაძლისი ტანჯვით, ტკივილით
ამ წუთისოფლად განსხეულდება
ყრმა, რომლის შობა დაისახა დიდი ხნის წინათ!
უბნო დედის წიაღიდან კაცთა მოდგმას მოველინება
დიდებულება აზრისა და ძალმოსილების!
ტანჯვით, ტკივილით იშვება ჩვილი.
დაიბადება ის ნანატრი ყრმა!
და, ეჰა, დგება ჟამი შობისა!

აუტანელი ტანჯვა არის ხვედრი იმისი,
ახალ სიცოცხლეს ვინც ატარებს თავის სხეულში.
მაგრამ წამება საზარელი ელით იმათაც,
ვინც გზას დაადგა უკეთურს, უღირსს;
თავის წიაღში ვინც ამწიფებს ბოროტების თესლს,
ჯოჯოხეთური ტანჯვა მოელის.

და, ეჰა, ზღუდე მოირყევა, დაიბზარება
და ნახეთქებად დასკდება ლიბო,
როგორც ხომალდი, პიტალო კლდეს შენარცხებული.

მადლს შემოგწირავ, არსთა გამრიგევე,
 რამეთუ ჩემი სამშვიინველი იხსენ ხნარცვისგან
 და დამიცავი ჯოჯოხეთის სიბილწისაგან,
 ზეცად ამზიდე, მთად ამამალლე.
 მალლა მივიწვევ, დახსნილი ვარ ბორკილებისგან
 და გზას მინათებს დიდი იმედი,
 რადგანაც მჯერა, ვინც მტვრისგან შექმენ,
 მას მოხედავ და აზიარებ მარადისობას.

სული, ცოდვისგან შეურვებული,
 შენ განწმინდე და დაიხსენი ცთუნებათაგან,
 გახადე იგი ზეცის ძალთა თანაზიარი
 და დაუმკვიდრე მას ადგილი ღვთის სახლეულში.
 ლიტონი კაცი სიბრძნის მფარველ არსთ შენ შეუნყვე,
 ზეცის ქოროში მათთან ერთად რომ გიგალობოს,
 გაქოს, გადიდოს, მიუთხროს ყოველს
 განსაკვირველნი საქმენი შენნი.

ვინ ვარ მე, რა ვარ, თიხისგან ქმნილი,
წყლით შეზედილი?
რისი შემძლე ვარ, რისი მაქნისი?
ან რა აზრი აქვს ჩემს არსებობას?
ვდგავარ იქ, სადაც ბოროტება მძლავრობს,
მძვინვარებს,
ჩემი სვე-ბედი ურჩთა მოდგმას გადაეჯაჭვა
და სული ჩემი ვით ტლუ გლახაკი
ჩართული არის ველურ ბორგვაში.
როგორ დავეყრდნო საკუთარ თავს,
საკუთარ ძალას,
როცა ყოველი ნაბიჯი ჩემი
მიქადის ნგრევას, დაქცევას, კვდომას, –
როცა სიბილნეს ჩვენთვის მახე აქვს დაგებული
და მოსროლილი არის ბადე ჯადოქრებისა.
შორეულ წყლებშიც დაბრკოლებას გვიქმნის მაცთური,
როს ნაძგერებ შუბს წინ ვერავინ ვერ აღუდგება,
როდესაც კაცნი ღრიალებენ და გაჰყვირიან,
რადგან აღარ აქვთ ხსნის იმედი არავითარი, –
როცა ჩამოჰკრავს განკითხვის ჟამი
და ღვთისგარეგანთ დაატყდებათ რისხვა უფლისა,
როცა ღვთისწყრომა გადმოსკდება, გადმოიფრქვევა
და განაჩენი მიეზღვებათ მზაკვართ და უღირსთ,
ნიაღვარივით როს სიკვდილი თავს დაგვატყდება
და არ იქნება არსაით ხსნა, არსით საშველი, –
ღვარად მომსკდარი უსჯულოება
როცა წალეკავს მდინარეთა მაღალ კბოდეებს,
დაძრული წყლები ცეცხლის მსგავსად
შთანთქავენ ყოველს,

ყველაფერს უმაღლესად დაამხოვენ შმაგი ზვირთები,
შენაკადები ერთიანად ამოძირკვავენ
აშოლტილ ხეებს თუ ხეებს გამხმარს;
მდინარეები ცეცხლის ღვარად მოვარდებიან,
ნაპერნკლებს, წინკლებს გაჰყრიან უხვად;
დაილუპება, ვინც იმათ წყლებს დაენაფება
და ცეცხლი შთანთქავს ყოველივეს თიხისაგან ქმნილს,
ქანებსაც შთანთქავს დედამინისას.
მთების ძირები ააღდება, ავარვარდება,
მძვინვარე ხანძრად აგიზგიზდება,
კლდეთა ქანები ხის ფისივით ჩაიღვენთება,
ალი ჩააღწევს თვით უფსკრულამდე
და ბელიარი ჯოჯოხეთში ჩაიკარგება.

როცა უფსკრული ბორგავს, ირყევა,
მინის წიაღი შფოთავს, ლაფს ისვრის
და დედამინა ტკივილით ოხრავს, –
შფოთვას და რყევას არ უჩანს ბოლო,
სიღრმენი დრტვინვინენ, ნგრევაა და გაცამტვერება.
როცა უფალი დაიქუხებს და დაიგრგვინებს,
წამოგრაგნილი ზეცის თალი შეტოკდება, შეიშმუშნება;
ძალნი ცათანი უმაღლვე ხმას აღუტევებენ
და საფუძველი სამყაროსი შეინძრევა, შეზანზარდება, –
ზეცის მხედრობა საბრძოლველად შეიმართება;
არგაგონილი, არნახული იქნება ბრძოლა,
დიადი ბროლა განკითხვის დღით დაგვირგვინდება.

[. . .]

მადლს შემოგწირავ, უფალო ჩემო,
რადგან შენა ხარ მტკიცე ბურჯი, საყრდენი ჩემი.

მიცავ იმათგან, ვინც მქირდავს, ჩემს

წარწყმედას ლამობს.

ივარქმნის ჟამს შენ მიხსენი განსაცდელისგან,

ნაბიჯი ჩემი შენ წარმართე სალი კლდისაკენ. [. . .]

და ვივლი ასე შენგან ჩემთვის დასახული გზით. [. . .]



მადლს გიძღვნი, ღმერთო, უფალო ჩემო,
 სახეს მინათებს სხივი შენი წმინდა ალთქმისა.
 შენ გეძიებ და შენკენ მოვილტვი,
 თავზე დამნათი უმშვენესი აისის შუქით.

ახლა იმათზე მოგახსენებ, ვინც გიმუხთლა,
 ვინც გილალატა:
 ლიქნით დაატკბეს სათქმელი თვისი,
 წარყვნეს სიმართლე, უგუნურად ფეხს ინაცვლებენ
 და ერთ ადგილას ტკეპნიან მიწას.

თვით საკუთარი თავისთვისაც კი
 გახდნენ ისინი შესაზარები.
 და თუმცა ჩემით გამოავლინე
 შენი დიდება და ძლიერება,
 ისინი მე არ მეპუებიან
 და მაძევებენ მამულიდან, ჩემი მიწიდან,
 როგორც ბელურას, ღაბუა ჩიტს – თვისი ბუდიდან.
 ჩემი მეგობარ-მოკეთეები

განზე განმიდგნენ, ამითვალწუნეს,
მათთვის მე მხოლოდ ყურმომტვრეულ ქოთნადლა
ვღირვარ.

სიყალბის მქმნელნი და სიავის მქადაგებელნი
შეითქვენენ, ავი განიზრახეს ჩემ წინააღმდეგ;
პირმოთნეობით და ლიქნით სცადეს
შენთა ერთგულთა გადაბირება.
აღმოფხვრა სურდათ შენი მცნების, შენი მოძღვრების,
გულის სიღრმეში მე რომ მიღვივის.
წყარო ცოდნისა დაუხშეს მწყურვალთ
და ძმარი ასვეს ატანილებს ცოდნის წყურვილით;
ცრუ მოძღვრებისკენ მზერა მათი გადაიტანეს,
რათა ღრეობით შეექციათ შენნი მოსავენი,
მზაკვრულ მახეში მოემწყვდიათ სამარადჟამოდ.

უფალო ღმერთო, შენ უმაღვე რისხვით განაგდე
ყოველ ჩანაფიქრს, ბოროტს და მავნეს.
მარადიული არის შენი ღვანლი, განზრახვა
და ნება შენი – აღმატებული.

ცბიერ კაცთაგან სხვა რა არის მოსალოდნელი.
უზადრუკია და მწირია მათი აზრები;
შენ მტკიცე გულით ვერ გეძიებენ,
შენი სიმართლე არა აქვთ მათ საყრდენად, ბურჯად;
იმათ აზრებში ღვარძლს გაუდგამს ფესვები მყარად
და ფესვი იგი გამოიტანს ნაყოფად ნაღველს.

ადამის მოდგმა, გულღრძო, ჯიუტი,
გზააბნეული დაეხეტება.

შენ გეძიებენ, კერპთა შორის ვერ გპოულობენ,
უკეთურებას სჩადიან და უსამართლობას,
და სავალ გზაზე შებრკოლების ლოდს თავად ქმნიან.
შენ მოგმართავენ სავედრებლად და სათხოვარად,
შუამავლად ჰყავთ ცრუ ქადაგნი და ცრუ მოძღვარნი, –
ვინც ბოროტებას, ცთუნებას აჰყვნიენ.
ენის ბორძიკით და სიცრუით შერყვნილი ბაგით
მოძღვრავენ შენს ერს ცბიერად და მუხანათურად,
რათა წარმართონ სიყალბისკენ საქმენი კაცთა.
არ შეუცვნიათ მოძღვრება შენი,
გულისყური არ მიუპყრიათ შენი სიტყვისთვის.
ღვთაებრივ სიბრძნეს, გამოცხადებას
ისინი ასე აფასებენ: „არ არს სარწმუნო!“
იმ გზის შესახებ, კაცთა მოდგმას რომ დაუსახე,
მათი აზრია: „არ არსებობს გზა ჭეშმარიტი!“

ვიცი, უფალო, პასუხს მიაგებ,
განიკითხავ მათ მთელი შენი ძალმოსილებით.
კერპებისადმი თაყვანისცემა,
მრავალი მათი შეცოდება, დანაშაული
ბოლოს ამგვარად დაგვირგვინდება:
გაებმებიან საკუთარი ხრიკების ხლართში.
ასეთი არის, დიდო ღმერთო, ხვედრი ყველასი,
ვინც გიორგულებს, გადაუხვევს შენს წმინდა აღთქმას.
შენ გამოუტან მსჯავრს ყოველ მზაკვარს,
შენგან მოიკვეთ ყოველ ორგულს, პირმოთნეს, ცბიერს;
გადაშენდება ყოველი ცრუ მქადაგებელი.
ცთომა და ბინი არ არის შენს ნამოქმედარში,
შენს განზრახვაში ორჭოფობა არ ურევია.

ვინც შენ სათნო გიჩნს და ვინც შენთვის სასურველია,
ის შენ წინაშე იდგება მყარად.

ვინც იარება, ღმერთო, შენი დასახული გზით,
მარად იქნება შეუძვრელი, შეურყეველი.

მე ჩემდა თავად შენკენ მოვილტვი.

წამოვიწვევი, შევიმართები

მათ წინააღმდეგ, ჩემს ძვირს ვინც ამბობს,

და ხელს აღვმართავ, შევერკინები,

ჩემდამი ვისაც სიძულვილი უღვივის სულში.

თუმცა შენს ძალას ხშირად ჩემით ავლენ, უფალო,
ღვთისგარეგანნი უპატიოდ მეტოქეებიან.

და მაინც, შენი ძალმოსილებით

ზეციურ ნათელს თავზე მაფრქვევ, დაულამებელს.

ღვთისგან განმდგართ კი შუბლის ძარღვიც

არ უტოკდებათ,

რომ ურჯულონი და უღმრთონი გამოვარჩიო

იმათგან, ვინც შენ გალიარა და შეგიყვარა.

და ვინც იარა, ღმერთო, შენი დასახული გზით,

ისმინა შენი, დაგეყრდნო, შენს იმედად იყო, –

მან თავი თვისი წმინდანთა დასს დაუკავშირა.

ვიცი, განდგომილთ შენ შეუნდობ და შეივრდომებ,

აჩვენებ ძალას შენი სამართლის,

შეაძლებინებ არ დაეცნენ, არ წაბორძიკდნენ

და მზაკვართ ხელში არ ჩაუცვივდნენ,

როცა ისინი პირს შეკრავენ მათ წინააღმდეგ.

შენ ჩაუნერგე, უფალო, შენს ხალხს

მოერიდოს და ეკრძალოს ორგულთ.

ხოლო შენს სიტყვას ვინც გადავა და გეურჩება,
იმათ მოელის უცხო თესლთან აღრევა და გადაშენება.

მას აქეთ დიდი გამოხდა ჟამი,
რაც ძალი შენი, ღმერთო, ჩემით გამოავლინე,
ადამიანებს სახე ნათლით გაუცისკროვნე.
შენ მომმადლე, რომ ვზიარებოდი
შენს განზრახვას და იდუმალ სიბრძნეს;
შენ მე გამანდე დაფარული ზრახვები შენი,
მაჩვენე შენი ძალმოსილება.
და დღეს წინაშე ყოველთა კაცთა
გადახსნილია საიდუმლო განსაკვირველი.
დაე, განითქვას დიდება შენი,
ღვთიური ძალა რომ გადასწვდეს ყოველ სულიერს.

მაგრამ სხეული, ოდენ ხორცი, სრულქმნას
ვერ შეძლებს,
წინსვლა არ ძალუძს თიხისგან შექმნილს,
დედის მუცლიდან ღრმა სიბერემდე
ჩაფლულს ცოდვაში, დანაშაულში.
ვიცი ნამდვილად და ჭეშმარიტად,
უბნობა, სათნობა ადამიანს დღეს აღარ ამკობს,
არ ეთავსება დახვეწილი საქციელი ამჟამინდელ ზნეს.
მხოლოდ უფალი მაღალთა შინა
არის საზომი სრულქმნილებისა.
და სავალი გზა, გზა კაცისა არ არის მყარი,
გარდა იმ გზისა, უფალმა რომ მას დაუნესა.
ადამიანის სიცოცხლე უნდა

სრულყოფის, სრულქმნის საწინდრად იქცეს;
თავისი ღვაწლით მან უნდა ცხადყოს
ყოვლისმომცველი ძალი უფლისა,
რომ ღვთაებრივი სიყვარულის სრულ სისავსეში
განიხარებდნენ უფლის ნების აღმსრულებელნი.

გონების თვალი მიმოვაავლე შეცოდებებს,
ჩემგან ჩადენილთ
და გავიხსენე წინაპართა ავი საქმენიც:
კაცნი ბოროტნი და უკეთურნი
ეურჩებოდნენ შენს დიად აღთქმას.
მათ არ ისმინეს სიტყვა უფლისა.
ხელი დამავლეს, მარყევდნენ და მითრთოდა ძვლები,
გული მელმოდა და მელეოდა,
თითქოს ცვილივით მადნობდა ცეცხლი;
მუხლებში თითქოს ჩამიდგა წყალი.
და გავიფიქრე:
„მრავლის უმრავლეს ცოდვათა გამო
მიტოვებული შევიქენი შენგან, უფალო,
და შენი აღთქმა აღარ მაქვს ბურჯად“.

მაგრამ უმაღვე წამომამგონდა
ყოვლისმძღვეელი მარჯვენა შენი.
წამოვიწიე, წამოვიმართე,
სულით განვმტკიცდი და გავძლიერდი.
მე გავუმკლავდი ნაღველს, გასაჭირს,
რადგან საყრდენად მქონდა შენი ღმობიერება
და სიყვარული უნაპირო, ყოვლისმომცველი.
ეს შენ ხარ, ღმერთო, შენ წარხოცავ მანკიერებას,

შენი სიუხვით და სიდიადით
ცოდვისგან იხსნის ადამიანებს.
უშენოდ კაცი ვერ დაიცავს თავს ცთუნებისგან,
რადგანაც შენი გამიჯნულია
ავი და კარგი, ცოდვა და მადლი.
ასეა, რათა კაცი გახდეს თავის უფალი.
და მე აღმომხდა:
„უფალო, შენი აღთქმის წყალობით,
გავძლიერდები სამარადუამოდ
და სამუდამოდ დავემკვიდრები
შენი დიდების დიად ნათელში,
რადგან თავად ხარ ჭეშმარიტება,
ჭეშმარიტია ყოველივე შენი ნაქმნარი“. [. . .]



მადლობელი ვარ, უფალო ჩემო,
 შენ არ გამწირე, არ მიმატოვე,
 თუმცა მე ვცხოვრობ უცხო ხალხში,

ულვთოთა შორის.

არ მომიშორე, არ დამსაჯე ჩემი ბრალის შესაბამისად,
 შენ არ დამაგდე ჩემი გულისთქმის
 და ავხორცული ყინის ამარა,
 ცოდვას დამხსენი, ამარიდე ბნელეთში დანთქმა.

შენ დაამკვიდრე სამშენველი ჩემი მხეცთ შორის,
 მიბრძანე, ზურგზე მოვექცეოდი ხვად

ლომს მძვინვარეს,

ფაფარაშლილ ლომს, ძვლებს რომ

უმსხვრევს ადამიანებს,

ძრწოლისმგვრელ ლომებს, კაცის სისხლს

რომ ეწაფებთან.

უფალო, ბევრჯერ დამაყენე იმათ პირისპირ,
 მეთევზურით ვინც კაცთ ახვევს თავის ბადეში,

ვით მონადირე, მსხვერპლს რომ სდევს
და მახეს რომ უგებს.

უფალო, გულში შენ ჩამიბუდე
ულრმესი შენი ჭეშმარიტება.
და ვინც ეძიებს სიმართლეს შენსას,
მას შენი აღთქმით მიიახლოებ
და აღუსრულებ შენს დანაპირებს.
ხახა დაუხშე ლომებს, რომელთაც
ბასრი ხმლებივით ჰქონდათ ჭანგები,
ეშვები შუბის ბუნიკს უგავდათ;
ამოსუნთქვისას ასპიტის გესლს იფურთხებოდნენ,
ჩასაფრებულნი სდარაჯობდნენ მსხვერპლს,
მუდამ მზად იყვნენ მის შთასანთქმელად.
მათ კბილის გაკვრაც ვერ შემომბედეს!

შენ დამიხსენი მათგან, უფალო,
და ამის მოწმე არის მოდგმა ადამიანთა.
შენი სიბრძნე და იდუმალი შენი მოძღვრება,
ჩემს არსებაში დაცული და დავანებული,
იდუმალადვე დარჩება, ვიდრე
მოგვეახლება ჟამი შენი მაცხოვარების,
დიდება შენი მაშინ ნათლად წარმოჩინდება.

სიმძიმის ჟამს, როს სამშვინველს ჩემსას უჭირდა,
არ მიმატოვე.

როს განსაცდელი დაატყდა ჩემს სულს,
შენ გაიგონე ჩემი ოხვრა, ჩემი გოდება;
ჩემს ლაღადისში შენ შემოგესმა
ჰანგი ტანჯვის და ჰანგი ტკივილის.

როცა აღმოვჩნდი ლომთა ბუნაგში,
როცა ხმლებივით იქნევდნენ ენებს,
მაშინ შენ მიხსენ განსაცდელისგან,
შენ შეუკარი კრიჭა იმ ლომებს,
რათა მათ ველარ გაეგლიჯათ უმწეო კაცი.
მათ ენა ისე ჩააგდებინე,
თითქოს ქარქაშში ჩაგეგოს ხმალი...
და ველარ მავნეს, ღმერთო, შენს მსახურს
და კაცთა შორის ძალი შენი განითქვა დიდად.

გამომარჩიე მე, უმწეო და უბადრუკი,
და ღვთაებრივი საიდუმლო ცხადჰყავი ჩემით.
ვითარცა ოქრო გამომანრთე მღვივან ქურაში,
ვითარცა ვერცხლი, განმნმინდე მე მინარევთაგან.

უკეთურნი კი კვლავ ბოროტად მეტევებიან,
რომ ჩამითრიონ, ვერ დავეხსნა მანკიერებას,
და განუწყვეტლივ სულს მითრგუნავენ.
მაგრამ, უფალო, შენ დააცხრობ ძლიერ ქარიშხალს
და გარდაქმნი მას ნიავქარად, საამო სიოდ.

ლომის ხახიდან შენ დამიხსენი
და შეენიე სამშვინველს ჩემსას,
როცა წარწყმედა მემუქრებოდა.

თანატოლები მიმიჩნევენ დაბოლმელ შლეგად,
ერთ ბუზლუნა და ღრჯუ კაცად მრაცხს
ყველა ნაცნობი.

და ვინც შეექცა ჩემს პურს, იგი აღმიდგა სამტროდ;
ვინც ჩემს სუფრასთან ინახით იჯდა,
მან იწყო ჩემი ძვირის ხსენება;
თანამოაზრეთ მაქციეს ზურგი,
ქირდვა და კილვა ვინვნიე მათგან.

უნყოდნენ მათ, რომ სულში სწორედ შენ ჩამიბუდე
საიდუმლო ღვთაებრივი, განსაკვირველი, –
მგმობდნენ, მქირდავდნენ, მიმრავლებდნენ
ავისმოსურნეთ;

გადამელობნენ, გზა ჩამიხერგეს,
წყარო ცოდნისა, შეცნობისა,
იდუმალეზა ჭემმარიტების –
ეს ყველაფერი დაიჩრდილა, თვალს მიეფარა.
ცილს მწამებდნენ და ჩემს ძვირს ამბობდნენ,
გაგლისპებულნი სისინებდნენ,
ასარსალებდნენ ორკაპა ენებს
და ასპიტის შხამს იფურთხებოდნენ.

ეს იყო დიდი შეჭირვება, გაუსაძლისი;
იყო ტკივილი უწყვეტი და უშელავათო.
და მე, შენს მსახურს, ჭირი მჭირდა უნელუბელი;
ჭრილობა მტეხდა, ღრმა ჭრილობა, პირმოუკრავი.
სული შემერყა და შემიშფოთდა,
გამომიმწყდციეს მარწუხებში, ხსნა არსით იყო [...]
ლანძღვა-გინება გრგვინვასავით თავს მატყდებოდა;

მომიცვა დარდმა, გული ჩამწყდა და ჩამენაცრა,
ჩავიცვი თალხი, შემეკრა კრიჭა;
მმტრობდნენ, მქირდავდნენ.
სახეზე სხივი ჩამიქრა და დამთრგუნა სევდამ.

ჰოი, უფალო, სასოვ ჩემო და შემნევ ჩემო!
მათგან ჩაკლული გული სხივით შენ გამინათე,
უკუნი ბნელით როცა ვიყავ გარემოცული.
ჩემს პურის ლუქმას ოხვრით ვლოლნიდი,
სასმელში ჩემი ცრემლი წვეთავდა
და ჩემს გასაჭირს ბოლო არ უჩნდა,
თვალები დარდმა ამომიღამა;
ნათლის დაბინდვით სამშვინველშიც ჩამოდგა ღამე;
და სახეს ჩემსას დააჩნდა სევდა.
შეურაცხს, ნაგვემს და დაკნინებულს
შხამად მიმანდა საჭმელ-სასმელი;
უნდოდათ ჩემი წარწყმედა და განადგურება.
ღვთის გმობა იყო მათი საქმე, მათი მიზანი,
ღვთაებრივ სიბრძნეს მკრეხელურად ასხვაფერებდნენ.
საბელით შემკრეს, ჩემ წინაშე აღმართეს ზღუდე,
რკინის კარიბჭე შეაბეს და თითბრის ურდული, [...]
ურჯულოების ღვარი თავზე გადმომადინეს, [...]
მლანძღეს, მათრიეს, ჩემს გასაჭირს არ უჩნდა ბოლო,
ნგრევას არ უჩნდა დასასრული, ხსნა არსით იყო. [...]

უფალო ჩემო, სასოვ ჩემო და შემნევ ჩემო,
მათგან ჩაკლული გული სხივით შენ გამინათე,
გამიმახვილე თვალის ჩინი, მომმადლე სმენა;
ბოროტმოქმედთა ზრახვათაგან შენ დამიხსენი,

მე შენ გიმადლი,
თანამზრახველი რომ არა ვარ უკეთურ კაცთა.
შენ წარმიძეხი წმინდანთა და უბინოთაკენ,
ცოდვას დამხსენი, სამშვინველი განმისპეტაკე.
და მე შევიტყვე, უფალო ჩემო,
რომ ხარ სიკეთე და სიყვარული,
ხარ სასოება მონანულისა
და ხარ იმათი მისანდობელი,
ვინც განუხრელად დაიარება
შენი გულისკენ გაკვალულ გზაზე.

როდესაც ერი ბორგავს, ბობოქრობს,
როს სამეფონი შფოთვენ და დრტვინვენ,
რამ შემადრწუნოს?!

ვიცი, მოგვხედავ, გაგვინათებ სულისა თვალთა
და დაგვიხსნი ჩვენ ბინისაგან, დაცემისაგან.
ხოლო კაცნი თუ გაირჯებიან
შენი სამართლის შესაბამისად,
შენვე იქნები მსაჯული მათი,
ლმობიერი და მიმტვევებელი,
წარუძღვები მათ ღვთაებრივი შენი განგებით
და განამტკიცებ შენი სიტყვით – განუხრელი
ჭეშმარიტებით.

უფალო ღმერთო,
შენი დიდებით და ასევე შენს სადიდებლად
შექმენ სამყარო, არსი ყოველი
და კაცთა მოდგმას მოუვლინე ქადაგნი შენნი –
განსწავლულნი და განბრძნობილნი,

რათა კაცთათვის საიდუმლო განსაკვირველი
გაენდოთ, ემცნოთ, რომ სამყაროს არ აქვს სასრული,
რომ მეუფება შენი არის სამარადისო,
რომ კაცმა უნდა შეიმეცნოს ჭეშმარიტება
და ილაღადოს დიდება ღვთისა.
ადამის მოდგმა გახდა შენი თანაზიარი,
შენ კაცთ შთაბერე ღვთაებრივი უკვდავი სული
და მოუფლინე ანგელოზნი, მაცნენი შენნი,
ზეცისა ძალნი, ზეციური მხედრობა, დასი.
შენ ადამიანს ზეცის მკვიდრთა არგუნე ხვედრი,
ადამის მოდგმას ანგელოზის ხატი აღუთქვი
და სიტყვა შენი ღვთაებრივი უბოძე კაცთა.

ადამის მოდგმა თესლს მიმოაბნევს
და უჭკნობ ყვავილს გამოიტანს ნაღვანი მისი.
მორჩის ყლორტები გამოიღებს ხშირ,
ლორთქო ფოთოლს,
ირგვლივ ჩრდილს მოჰფენს, ამაღლდება და ზეცად ავა,
გაიტოტება, განზე გავა, გაიკვირტება.
ფესვი ჩასწვდება უფსკრულის სიღრმეს,
სამოთხის წყარო დაარწყულებს ტოტებს იმ ხისას, –
ხოლო ნაყოფი ბოროტების, უკეთურების
დაიღრიკება, დაღრება და განადგურდება,
მისი ფესვები ჩაიწვება გეჰენიაში.
წყარო ნათლისა ამოხეთქავს, ამოჩქეფდება, –
წყარო მარადი, დაუშრეტელი.
ნათლის ცეცხლოვან ნაპერწკლებად ამოიფრქვევა,
უკეთურთ დასწვავს, შთანთქავს ცოდვას,
შთანთქავს სიბნელეს.

მოყვასნი ჩემნი, ჩემი ბედის მოზიარენი
ჭემმარიტების შემბლალავთა მსხვერპლნი შეიქნენ,
ბორძიკი იწყეს, საღვთო გზიდან გადაუხვიეს,
ალარ ისურვეს ქმნა სიკეთისა.
უფალო, მათ შენ დაუსახე ღირსეული
ცხოვრების წესი,
რომ არვინ დარჩეს დაუცველი, არვინ შებრკოლდეს,
მეტი ღირსება შეიძინოს მათმა სიცოცხლემ,
მტკიცედ იარონ შენს წმინდა გზაზე.

ბორძიკი იწყეს, გადაუხვიეს
შენი გულისკენ სავალი გზიდან.
წადილმა სძლიათ, უბადრუკი სურვილი გახდა
მათი ერთგული მესაიდუმლე.
ცოდვით წაბილწეს თავი თვისი და შეიბლანენ.

მე კი მათ გამო გასაჭირი შემემთხვა ბევრი:
ვგავდი განწირულს, მოყვასთაგან განაპირებულს,
მეზღვაურს ვგავდი, ზღვის ბობოქარ
ტალღებთან მებრძოლს.
ზღვა ბორგავდა და პერი ჰქონდა მოკიდებული.
მეკვეთებოდა ქარიშხალი, მცემდა გრიგალი
და ქარაშოტი სუნთქვას მიკრავდა;
წამი არ მექონდა სულის მოთქმა რომ შემძლებოდა.
საჭე ვერასგზით ვერ დავიურვე,
ვერ გავუმკლავდი ტალღების ამბოხს;
ზღვის სიღრმე ექოდ მიბრუნებდა ჩემს ამოკვნესას
და მივეახლე ბჭეს სიკვდილისას.

ახლა, უფალო, დაცული ვარ, ციხე-ბურჯში ვარ,
მკვიდრი გალავნით შემოზღუდულში.
ასეა, რადგან ავირჩიე ჭეშმარიტება.
ვიცი, რომ კლდეზე დააფუძნე გოდოლი შენი,
მას შეუძრველი აქვს ბალავარი
და ქვათა ნყოფა – გამორჩეული.
მტკიცე აქვს ლოდი თავსაკიდურთა,
მისი ბჭე არის შეუმუსვრელი;
ბურჯის ურდული მტკიცეა და შეუღენელი.
და ამ ქავ-ციხეს ვინც ეწვევა, ვინც შიგ შეაღწევს,
აღარ ინდომებს მის დატოვებას.
უღირსთათვის კი დახშულია მისი კარიბჭე,
ურდულს ვერ შეტეხს ავაზაკთ ხროვა,
ვერც ბოროტების ლაშქრის სიმრავლე.
უკეთურნი თუ ეცდებიან მასში შეღწევას,
უფლის მახვილი ბასრია და უფიცხელესი,
განკითხვის დღეს მათ მიეზღვებათ
ღვთის სამართალი.

ვინც შეიმეცნა ღვთაებრივი ჭეშმარიტება,
ვინც გაიაზრა ნება უფლისა,
აღიმართება ბოროტების დასათრგუნავად,
აღიგვებიან უკეთურთა ნაშიერები.

უფალი ღმერთი მშვილდს დაუშვებს და ალყას მოშლის,
სამარადუამოდ გაიხსნება ზეცისა ბჭენი,
უფლის მხედრობა დაიძრება კიდით კიდემდე,
ბოროტისმზრახველთ წარწყმედა და
დათრგუნვა ელის.

ავისმქმნელთ სასო წარეკვეთებათ,

ეჭა, დავემუნჯდი, წამერთვა ენა,
 ადამიანთა ბაგეთაგან არარა ითქმის
 ღვთის გმობისა და სიცრუის გარდა.
 მკლავი მხრიდან მაქვს ამოვარდნილი,
 ფეხით ღიაში ღრმად ვარ ჩაფლული, –
 სიავის, მანკის, სიყალბის ხილვით
 თვალზე ბისტი მაქვს წაფარებული.
 სმენა დამიხშო ხოცვა-ჟლეტამ, ხროტინმა, კვნესამ;
 ბოროტებაზე ფიქრით გული მეღმის და მიწუხს;
 თავიანთ ავ ზნეს ავლენენ კაცნი
 და დათარეშობს ქვეყნად სული უკეთურების.
 ჩემი არსება შეიძრა და აღნაგობა ჩემი შეირყა,
 ძვლები კი ღამის დასცილდნენ მყესებს,
 და ამოცვივდნენ სახსრის ფოსოდან.
 გულ-მუცელი და შიგნეული ისე მიბორგავს,
 ქარიშხლით გვემულ ხომალდს მიმიგავს.
 აღმოსავლეთით მონაბერი ხორშაკი წივის,
 გული მიკვნესის მის ოხვრაზე, მის ხეთქებაზე.
 ამ ცოდვა-ბრალის ტრიალში ალბათ
 გრიგალი შთანმთქავს, მომიღებს ბოლოს.

გმადლობ, უფალო, რამეთუ შემქმენ
და ღვთაებრივი მიზოდე ხატი,
შენვე შთამბერე უკვდავი სული,
რომ ვიყო მტკიცე და შეუძვრელი.

ძალა შემმატე, იმ ბრძოლებში შენ წამიძეხი,
ბოროტებამ რომ წამოიწყო ჩემ წინააღმდეგ.
შენი შეწევნით ვერ შემძრა ნგრევამ,
ვერ შემირყია შენდამი რწმენა.

შენ დამამკვიდრე მე ციხე-ბურჯში,
მტკიცე გალავნით შემოზღუდულში;
გოდოლი ჩემი კლდესა ზედა შენ დაამყარე.
სამარადისო არს ლიბო მისი,
ქავ-ციხე მისი ურყევია და შეუძვრელი.
შენ მტკიცე საყრდენს უბოძებ ყოველს,
ყველას, ვინც შენი განჩინებისებრ
ცათა სიღრმეში შეაღწევს და ზეაიჭრება.
შენ მიმიძეხი წმინდა აღთქმასთან.

მე სიტყვა მიჭრის,
რადგან შენ წვართე ენა ჩემი და
შენ განუჩინე სათქმელი კაცთა,
მე შენით ვაგნებ ჯეროვან სიტყვას.
ხოლო ნგრევის და იავარქმნის, სიბილნის სული
უჩუმრადაა, ვერ აპობს ბაგეს.
შენ აღგვითქვი, რომ „უტყვ იქნება ენა მზაკვრისა“, –
და აღასრულებ კიდევ აღნათქვამს.
შენ დააყენებ ჩემს შემჭირვებელს,
ვინც მეტოქება, ვინც ავს მიზრახავს.
ჩემით განარჩევ მართალს და მტყუანს.

უნცი ყოველი სურვილი და სწრაფვა სულისა,
განმსაზღვრელი და წარმმართველი კაცთა სიტყვისა;
უნცი მიზანი განზრახვისა: გამხელილის, იდუმალისაც.
შენი სიმართლით აღმივსე გული
და წაუძეხი ნაბიჯებს ჩემსას;
გეზად მიბოძე ჭეშმარიტება
და შთამაგონე, მეველო ღირსებით
გზაზე, რომელიც შენ მაპოვნინე.
უფალო ჩემო, შემაძლებინე
რომ შენკენ მეველო ჩემი ცხოვრებით,
მეპოვა ჩემი ბილიკი და თვით იმ ბილიკზე
ვზიარებოდი ნეტარებას
მიუთხრობელს, დაუსრულებელს...
უფალო, შენი წყალობით შევძელ,
სამარადჟამოდ გავრიდებოდი
ამაოებას, ამა სოფლის წარმავალობას.
უნცი, უფალო, ბუნება ჩემი, შენი მსახურის.

იცვი, არ მსიბლავს მონაგები ამქვეყნიური;
სიმაღლეთაკენ მიმილტვის გული,
ვარ სულიერი ძალის იმედად.

ნუგეშს არა მგვრის ნამიერი სიამოვნება
და არცა – ტკობა ჩემი სიქველით.
უფალო ჩემო, შენი წყალობა,
უფალო, შენი ღმობიერება
ერთადერთია, რაიც დამიხსნის
და ამარიდებს წუთისოფლის მახეში გაბმას.

შენს ამარა ვარ, უფალო ჩემო,
შენი სიკეთის იმედადა ვარ.
ვიცი, გაფურჩენი ყვავილს სულისას,
ყლორტებს გაუზრდი და გაუკვირტავ.
და გადმოსკდება ძალმოსილება,
გულს შემიტბორებს, ზეცად წარმმართავს.

უფალო ჩემო, სახიერო, შემწყალებელო,
შენმა სიუხვემ მეც მიმიჩინა
ადგილი მათთან, ვისაც შენი უბოძე აღთქმა,
მეც ვენაფები სიმართლეს შენსას;
ჩემს მოძმეთაგან გამომარჩიე,
შენ დამამკვიდრე წინამძღვრად და მამად რჩეულთა;
მაქციე ლალად, იმათ მზრდელად, ვინც შენ შექმენი
და ვისაც ხატი უბოძე შენი.
ისინი ბაგეს აპოზენ რიდით,
ჩემს სიტყვებს ხარბად ენაფებიან,
ვით დედის მკერდთან მიყუყული ძუძუთა ბალლი.

შენ აამაღლე ჩემი რქა და დაჯაბნე ყველა,
ვინც მე, შენს მსახურს, მეტოქეობდა;
მოსრე ისინი და განაბნიე;
ყოველი ჩემი მყვედრებელი ბზეს დაამსგავსე,
ბზეს, ქარისაგან გატიალებულს.
და უნმინდურნი ქედს იდრეკენ, თავს დაბლა ხრიან
ჩემი ღირსების, ძლიერების, ნების წინაშე.
შენ შეენიე სამშვიინველს ჩემსას,
შვიდგზის ბრწყინვალე ნათლით აღმანთე,
შუქი მიბოძე შენი დიდების.
მარად ჩემში ხარ შენ, ნათელო უღამებელო,
მარად წარმართავ ჩემს გზას, სვლას ჩემსას.



მადლობელი ვარ, უფალო ჩემო,
 რადგან მიბოძე შენი სიმართლის,
 ჭეშმარიტების წვდომის უნარი
 და მაზიარე შენს საოცარ იდუმალებას.

შენებრ, უფალო, ვინ შეინყალებს
 ლიტონ, უბირ კაცს, ან კაცს გულჩქარს, სოფლის
 მოყვარულს?!
 ან რა სიმართლე უსწორდება სიმართლეს შენსას?!
 სად არს სიმართლე, შენს სიმართლეს რომ
 გაუტოლდეს?!

ვის შეუძლია განკითხვის დღეს თავი დაიცვას,
 როს განსასჯელად წარმოდგება შენს სამსჯავროზე?
 ვერავინ შეძლებს შენ წინაშე თავის მართლებას,
 შენს რისხვას ვერავინ გადაურჩება.
 ჭეშმარიტებას ყრმათა დარად ვინც დაეწაფა,
 მათ აღამაღლებ და შეინყალებ.

შეუზომელი სიკეთით და ღმობიერებით
დაიხსნი მათ და შენ წინაშე იყოლიებ სამარადჟამოდ
იქ, სადაც არის სუფევა შენი.
რამეთუ შენ ხარ უფალი ჩვენი,
ღმერთი უჟამო და უსასრულო,
და გზანი შენნი მტკიცეა მარად.

რა არის კაცი, კაცი უცები,
ამაოებას გადაგებული,
თუ არ შეიცნო ღვანლი შენი განსაკვირველი,
თუ არ განათლდა, არ გაცისკროვნდა?!



მადლობას გიძღვნი, უფალო ჩემო,
 შენ მიწინამძღვრე, შენ ამაცილე
 ყალბისმქმნელთა და ცრუმოძღვართა
 წრეში მოხვედრა.

შენ ამარიდე ცბიერთა კრებულს.
 შენი უსაზღვრო ღმობიერებით,
 მჯერა, შემინდობ და შემივრდომებ.
 მე თავს დამატყდა განსაცდელი და ხვედრი მძიმე.
 ისე მექცევი, როგორც დედა თავის პატარას,
 ჩვილი რომ დედის მკერდს მიენდობა,
 ისე ვარ შენზე მონდობილი, უფლო ჩემო [. . .]
 და სამართალი, შენგან ქმნილი, მარადისია.
 ვინც შენ გეძიებს, მას არასდროს არ მიატოვებ [. . .]

მადლს შემოგწირავ, უფალო ჩემო!
 შენ დამამკვიდრე იმ მხარეში, სწორედ წყლის პირას,
 იმ ადგილს, სადაც დახეთქილ და ურწყულ მიწაში
 წყარო ამოსკდა და ამოშხეფდა.

შენ ასვი წყალი დაშაშრულ მიწას
 და წალკოტიც შენ მოუვლინე გადახრუკულ
 უდაბნოს ქვიშნარს.

შენი დიდების და ძალის მადლით
 სხვა ხეთა შორის აღიმართნენ კვიპაროსები,
 სოჭი და ფიჭვი აიშოლტნენ მარადმწვანენი.
 ამ უჭკნობ ხეებს იდუმალი წყარო აცოცხლებს.
 მწვანე რტოები გაუწვდიათ და გატოტილან,
 ფესვი გაუდგამთ, წყლის ჭავლისკენ გზას მიიკვლევენ.

ასევე მარად უჭკნობია, უფალო ღმერთო,
 შენი სჯული და შენი კანონი;
 დანდობილია უკვდავების წყალს,
 დანერგილია უშრეტ წყაროსთან.

ტყის ბინადარნი მის მძლავრ ტოტებს თავს აფარებენ,
გზაგავლით ვინც კი ჩაიარა, მას დაენაფა,
მის ჩრდილქვეშ ჰპოვა განსასვენები,
ყველა ფრთოსანი თავშესაფარს მის ვარჯში ეძებს.
წყლისპირს ატეხილ ჭალაში ხეებს
ალარ სჭირდებათ წყლისთვის ზრუნვა, წყლის მოძიება;
დგანან ამყად, ჩქერს გოროზად გადაჰყურებენ,
ლამის თავსაც კი არ უყადრებენ,
წყაროსთვალისკენ ფესვებს თვისას არ მიმართავენ.
ხოლო იგი ხე, რომ დანერგა ჭეშმარიტებამ,
სინმინდის რტოთა გამოტანა რომ დაუნესა,
დიდ საიდუმლოს ინახავს თვისას
მდაბლად, კრძალულად და სასოებით,
და უფრო მეტიც:
ზეცისა ძალთა მეოხებით, ანგელოზთა
ძალმოსილებით,
შენ შემოზღუდე ცეცხლოვანი ბასრი მახვილით
სიცოცხლის ხისკენ მიმავალი გზა;
შენ დაიფარე ხე იგი და ნაყოფი მისი,
სიცოცხლის წყარო მოუვლინე და დაარწყულე;
წმინდა წყალი რომ არასოდეს არ დაშრეტოდა
იმ ხეებივით, წყალს რომ მარად ენაფებთან;
ხე შენ დაინდე ზეციური წვიმების თქეშში,
რათა ნაყოფი არ ნახდომოდა.
ადამიანმა თუმც იხილა ესე ყოველი,
იხილა, მაგრამ ვერ შეიცნო, ვერ შეიმეცნა;
დაფიქრდა, მაგრამ ვერ ირწმუნა წყარო
სიცოცხლის,
თუმცა ხე ნაყოფს მარადიულს გამოიღებდა.

როცა ხელს მივყოფ ხნულის გატანას,
ვხედავ, ფესვები კლდის ქანისთვის მიუბჯენიათ
და მძლავრი ტანი ნიადაგში ღრმად აქვთ ჩაზრდილი,
მცხუნვარე მზეში დაცულია ხეთა სიცოცხლე.

ხოლო როგორც კი ხელს მოვადუნებ,
ბალი იქცევა ხრიოკ უდაბნოდ;
მლაშე მინაში ამოსულ ჭინჭარს
დაემგვანება ხეთა ზროები
და მიწის ხნულებს მოედება ძეძვი, ნარშავა,
ირგვლივ მაყვალის გაიბარდება,
მყრალაბალახა კვლებს გადაფარავს.
და გვალვისაგან გადატრუსულ-გადამხმარ წალკოტს
მატლი და მლილი, ჭიალუა მოულებს ბოლოს.

ღმერთო, შევიქენ გარიყული, მიუსაფარი;
ალარსად მქონდა საყუდარი,
არ მქონდა თავის მისადრეკელი.
რაც რამ დავთესე, სიმწარედ მექცა;
გაუსაძლისი გახდა ტკივილი
და შემიშფოთდა სული, უფალო,
გული ჩამიკვდა და ჩამეფერფლა;
სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარს მივალწიე,
დღითიდღე სული მეხუთებოდა.
მერე კი ცეცხლი აბრიალდა და აგიზგიზდა.
მან ჩემი ძვლებიც თან ჩაითრია,
ალი მოედო ზღვათა სიღრმესაც.
ძალას მართმევდა ცეცხლი, სხეულს მინადგურებდა.
და შემიდრწუნდა სამშვინველი, უფალო ჩემო.

სოცოცხლის ძალა დამეშრიტა, გული ჩაკვდა,
გადამელია,
ხორცი ცვილივით დამიდნა და ხელს ვერ ვხმარობდი,
მკლავი ფოსოდან ამომივარდა,
ფეხები თითქოს დაბორკილი მქონდა საკრველით;
მეკვეთებოდა მუხლები და ნაბიჯს ვერ ვდგამდი,
ენა მეზმოდა, ხმა წამერთვა, სიტყვას ვერ ვძრავდი,
ბაგის გაპოზა არ შემეძლო, კრიჭა მეკვროდა. [. . .]



[. . .]

მე თვალზე რული არ მეკარება,
 უფალი ღმერთი მცდის და განმსჯის უშელავათოდ,
 რისხვას მაფრქვევს და თან მიქადის განადგურებას;
 ჩემს სარეცელთან კვნესა გაისმის
 და მაცნეები სიკვდილისა დაწრიალებენ;
 დაბინდული მაქვს მზერა და თითქოს
 თვალზე ლიბრი მაქვს ნაფარებული,
 ცრემლი მდის ღვარად, მდინარესავით;
 სიცოცხლე თითქოს სადღაც განზე გამრიდებია;
 დავბორიალებ და ფეხს ვინაცვლებ
 ნანგრევებიდან ნანგრევებისკენ
 და სატკივრიდან გზას მივიკვლევ სატკივრისაკენ,
 გასაჭირიდან – ტანჯვისკენ და გასაჭირისკენ.

და მაინც, ღმერთო, დიდად მაოცებს
 განსაკვირველი ბუნება შენი,
 სიყვარული და ღმობიერება.
 შენ არ გამრიყე, არ გამწირე, არ შემომწყერი,

და სული ჩემი განიხარებს
შენი მადლით, შენი წყალობით.
სანაცვლოდ მე შენ შეგაგებებ სიყვარულს ჩემსას;
არსება ჩემი შეიძვრება და ამაღლდება.
შენი ურჩობა მე დამაკნინებს.
დანდობილი ვარ შენზე, უფალო.
მჯერა და მწამს მე სამართალი, შენი მართალი.

ამქვეყნადა ვარ მოვლენილი, რათა შევიცნო,
უფალო, შენი ჭეშმარიტება.
მზად ვარ მოგენდო და ვადიარო
შენი სიმართლე და სამართალი;
კმაყოფილი ვარ, რომ მიბოძე მე განსაცდელი,
მასწავლე მე შენს მადლზე დანდობა
და მომანიჭე შენს მსახურს ძალა
შენი წყალობის იმედად ყოფნის.
არ განმირისხდი, არ გამწირე, არ წარმტაცე
კეთილდღეობა,
სასოება არ გარდამიკვეთე, –
არამედ სულით განმამტკიცე, გამაძლიერე,
რათა ღირსებით გავუმკლავდე განსაცდელს
მრავალს.

სწორედ შენგან მაქვს ნაბოძები უკვდავი სული;
შენ უწყი ჩემი ყველა ფიქრი, ყველა განზრახვა;
მრავლის უმრავლეს ჩემს გასაჭირში
შენ მომანიჭე სიმშვიდე და უშფოთველობა;
შენგან აღთქმული მიტევება სიხარულსა მგვრის,
მწარედ ვინანი შეცოდებებს, ადრე ჩადენილთ.

ჩემი იმედის ბალავარი შენი მადლია
და ჩემი ნდობის საწინდარი ძალაა შენი.

შენს სამსჯავროზე წარმომდგართაგან,
ვერავინ შეძლებს თავის მართლებას.
კაცთაგან ზოგი ეგებ იყოს სხვაზე მართალი,
შენ ვინ გაგინევს სამართალში მეტოქეობას?!
კაცთაგან ზოგი ეგებ იყოს სულიერად სხვაზე
ძლიერი,
ძალმოსილებას შენსას ვერვინ გაუტოლდება,
დიდებულებით ვერვინ გედაროს.
შენი სიბრძნეა განუზომელი,
ჭეშმარიტება შენი არის გონმიუწვდომი.
ვინც განიძარცვა, უფალო, ამ სიქველეთაგან,
განწირულია წარსაწყმედელად.

ჩემ შესახებაც მინდა მოგითხრო:
შენით მივიკვლევ სავალ გზას, ღმერთო,
ბიჯგად შენ მყავხარ, როს ფეხზე ვარ წამომართული;
შენ არ გამწირე, არ მიმატოვე
და არ დამაგდე იმათ ამარა,
ვინც მუდამ ლამობს ჩემს წარწყმედას, განადგურებას.
შენი უსაზღვრო თანაღმობით დამიხსენ მათგან,
ვისაც ეწადა დაკნინება, დამცრობა ჩემი;
როს ჩემი მტერი ბაქიაობს და მეტოქება,
საკუთარ თავს მტრობს;
ვინც სიძულვილით ატანილია,
თავის თავსა ვნებს.

შერცხვენა ელის ჩემს დამჯაბნელს,
შეურაცხმყოფელს.

რაც მე ბრძოლები გარდამიხდია,
ყველა ხომ შენი მოგებულია.
განუზომელი შენი სიბრძნით დამტუქსავ ხოლმე,
ჭეშმარიტებას კრძალულად ფარავ,
ვიდრე ჩამოჰკრავს დათქმული ჟამი
და გაცხადდება დიდება შენი.
მაშინ კი შენი გულისწყრომა, ჩემდამი, ღმერთო,
გარდისახება სიხარულად და ნეტარებად, –
ავადმყოფობა სიჯანსაღედ შემობრუნდება;
შეურაცხება, ჩემს მტერთაგან გადმონთხეული,
გადაიქცევა დიდებად და ძლევის გვირგვინად;
ჩემი მერყევი ნაბიჯები კი
ურყევ სიმტკიცედ გარდაიქმნება.

შენი სახელის, ნებისა და დიდების მადლით
გადმოიღვარა ნათლის სხივი ჩემზე, უფალო.
ბნელში მყოფს შენგან მებოძა შუქი,
შენვე მომმადლე სიჯანსაღე სნეულების წილ,
მტკიცე ნაბიჯით შენ შეცვალე ბორძიკი ჩემი,
მწველი სურვილიც შენ მიბოძე სულის სწრაფვისა.

შენა ხარ ჩემი საყუდელი, სავანე ჩემი,
ციხე-ბურჯი და ქავ-ციხე ჩემი;
შენ კლდე ხარ ჩემი, ზღუდე ჩემი, საყრდენი ჩემი;
შენდა მოვილტვი მდევართაგან თავდასახსნელად,
სამარადჟამო ხსნას შენში ვეძებ.

მამაჩემს როცა შევეძინე, იმ ჟამიდანვე,
უფალო ჩემო, იღვწოდი და ზრუნავდი ჩემზე.
და დედაჩემის წიაღშიაც წყალობა შენი
თავს მეფრქვეოდა, შენი მაღლი მზრდიდა,
მწვართავდა.

ძუძუს რომ ვწოვდი, შენ მკვებავდი,
მანვდიდი საზრდოს.

ჯერ კიდევ ჭაბუკს შენ შთამაგონე
შენი განსჯის და სამართლის აზრი;
შენ დამატყვევე, შენ აღმანთე ჭეშმარიტებით
და სულით წმინდით მომანიჭე ბედნიერება;
დღევანდელ დღემდე შენ უძღვები ჩემს ღვწას,
სვლას ჩემსას.

სასაყვედურო ჩემს სხეულთან გქონდეს ეგების,
მაგრამ სულს ჩემსას, ვიცი, დაიხსნი,
საზრუნავად გაქვს რადგან ჩემი კეთილდღეობა.
ყოველ ნაბიჯზე მე გარს მეხვევა
შენი უსაზღვრო ღმობიერება.
როცა რაიმეს გამიმტყუნებ, შენი მაღლი
წამლევკავს ხოლმე.

სიბერის ჟამსაც შენ მეგულვი, სასოო ჩემო,
ხელისაღმპყრობლად და შემწედ ჩემდა.
მამამ დამაგდო, დედაჩემმა მიმატოვა შენს ანაბარა.
მამა ხარ ყოვლის, ვინც შეიცნო სიმართლე შენი.
დედა, პირმშოთი რომ გაიხარებს,
შენც ასე ხარობ ჩვენით, უფალო.

ქალი რომ კვებავს მკერდს მინდობილ
თავის პატარას,
უფალო, ასე ასაზრდოებ ყოველს, შენს შექმნილს.

ვინ გაიაზროს განზრახვანი შენი გულისა? [. . .]
უკიდევანო სამყაროში განა რამე ხდება უშენოდ?
არც არაფერი არ იარსებებს
შენი ნების და ძალის გარეშე.
არავის ძალუძს შეცნობა შენი,
მზერასაც ვერვინ ვერ გაგისწორებს. [. . .]

მაინც რა არის ადამიანი?!
ოდენ მიწაა, მოზელილი არის თიხისგან
და მისი ხვედრი არის მტვრად ქცევა.
რა არის კაცი, რომ არ ჰქონდეს მომადლებული
შენს სასნაულთა შემეცნების ნიჭი, უნარი, –
ნაზიარები რომ არ იყოს
იდუმალებას ღვთაებრივს შენსას?!
მე თავადა ვარ მტვერი, ნაცარი,
რა შემოძლია, რის მაქნისი ვარ,
თუ არ წარმმართა ნებამ შენმა, სურვილმა შენმა?!
უშენოდ აზრი როგორ გამიჩნდეს?!
უშენოდ როგორ ვიყო მტკიცე, შეუპოვარი?!
უშენოდ როგორ არ ნავბორძიკდე?!
უშენოდ როგორ ვიმეტყველო, როგორ ვიუბნო?!
მოყვასთ როგორღა შევეპასუხო,
თუ არ გამიხსნი ბაგეს, უფალო,
თუ არ მებოძა აზრი შენგან, სასოო ჩემო!
შენ ხარ გამრიგე ზეცისა დასთა,

დიდების ძალთა შენ ხარ მეუფე!
უფალო ყველა სულიერისა,
წარმმართველი ხარ ყოველი ღვანლის.
შენ მიერ იქმნა ყოველივე და
თვინიერ შენსა არარა იქმნა.
არავინ არის მოზიარე შენი ძალისა,
არავის ძალუძს გაუტოლდეს დიდებას შენსას.
ძალმოსილება შენი არის აღმატებული.
გონმიუნვდომო, გამოუთქმელო!
შენ, ერთადერთო სასოო ჩემო!
შენთა ქმნილთაგან ვის შესწევს ძალა
შენს სამსჯავროზე წარდგომისა ნირშეუხრელად?
აურაცხელი მადლისა და წყალობის შემდეგ
ვინც დაბრკოლდება და ისევ მტვრად გარდაიქცევა,
რამდენად კნინი უნდა იყოს და დამცრობილი?!
უფალო, შენ ხომ დიდებისთვის შექმენ კაცი,
ადამიანი?!



კურთხეული ხარ, მაღალო ღმერთო,
 სავედრებელო და სასოვ ჩემო!
 შენ მომანიჭე, შენ მიბოძე მე
 ჭეშმარიტების შემეცნების ნიჭი, უნარი.
 შენ აღმიძარი სურვილი, რომ დღისით თუ ღამით
 შეუსვენებლივ ვიღვანო და ამქვეყნად ყველას
 საკვირველება შენი მოვფინო,
 დიდება შენი გავახმიანო. [. . .]

იმედადა ვარ შენი მაღლის, შენი სიკეთის;
 შენი სიმართლე არის მყარი საყრდენი ჩემი. [. . .]
 და არ არსებობს სხვა ბურჯი ჩემთვის, [. . .]
 თვინიერ შენი ძლიერებისა;
 არც დაბრკოლება არ არსებობს,
 თვინიერ შენი შერისხვისა, შენი წყრომისა;
 არც განსაცდელი არ არსებობს, არც გასაჭირი,
 შენ რომ წინასწარ არ განგეჭვრიტოს;
 ხსნა არ არსებობს შენი ნების გარეშე, ღმერთო!

მე კი, უფალო, რაკი შევიცან
შენი სიკეთე და სამართალი,
რაკი ვიხილე დიდება შენი, –
ვილაღადებ და განვაცხადებ შენს საოცრებას.
შენი წყალობის იმედადა ვარ,
შენი უსაზღვრო სიყვარულის ანაბარა ვარ.

შენგან მებოძა მე აღნაგობა,
არსება ჩემი შევუწონე მე ნებას შენსას;
შენ დამმოძღვრე და შენ შთამაგონე,
ამქვეყნიური მონაგები თვალს არა მჭრიდეს,
არ გადავეგო სიმდიდრეს, არ დავხარბდე ოქროს.
როდი მიბოძე წყაროდ ჩემი ძლიერებისა
ჯარი სპათა და ქვეშევრდომთა დიდი სიმრავლე,
ანდა ბარაქა, პურ-ღვინო, ზეთი,
ან სხვა რაიმე ამქვეყნიური.

რასაც მე ვფლობ და რაც მომანიჭე,
აღემატება ყოველივეს სადღეხვალისო.
წყლისპირს დანერგილ მარადმწვანე ხესავითა ვარ
ფოთოლმრავალი, ნაყოფიერი.
შენ შექმენ კაცთა სასიკეთოდ მცენარეები;
მინა ამოზრდის უხვად ჩვენს სარჩოს;
შენი სიმართლე ვინც შეიცნო და განიწმინდა,
მათ მიემადლათ ღვთაებრივი დიდების ჭვრეტა,
ებოძათ წვდომა ჭეშმარიტების,
განუჭვრეტელი, შეუცნობი შენი ღვანლისა, –
რათა განფინონ ხობა შენი უკიდევანოდ,
და ერთმანეთსაც ხმა შეუწყონ შენს ქებაში,
შენს დიდებაში.

უხვად მიბოძე მსახურს შენსას, შენი მხევლის ძეს,
განუზომელი, ულევნი განძი:
ჭეშმარიტებას მაზიარე და
შემძინე ცოდნა შენი სიმართლის.
ამის სანაცვლოდ და საზღაურად
დაუცადებლად ვიგალობებ დიდებას შენსას!

მსახურმა შენმა მოვიძაგე განძი სოფლისა,
მე წუთისოფლის მონაგების მოხვეჭა არ მსურს.
ჩემს სულს სიამეს აღარა ჰგვრის ძვირფასეული.
შენგან აღთქმული ნეტარება ახარებს ჩემს გულს,
შენი სიმართლე სულს მიცისკროვნებს.
და ენა ჩემი შენით გახდა მჭევრად მეტყველი;
შენ გული ჩემი უჭკნობ ჟამად,
მარადიულ გაზაფხულად, გადამიქციე.
ზეცისა ძალთა იმედადა ვარ
და მე აღარ ვარ ხე ხენეში, ხე უსახური,
რომლის ნაყოფი უმალ ჭკნება ყვავილობაში.
ხოლო როდესაც შევიტყვე, რომ განსჯი ანგელოზთ,
რომ შენი მსჯავრი მათაც ელის, მძლავრთა და
ძლიერთ, –
გული მელმის და თან ტანში მზარავს,
ჩემი ვაება ჯოჯოხეთის ბჭემდეც კი აღწევს: [. . .]
რამდენად მკაცრი განაჩენი ელის ჩვენს მოდგმას!
უფალო, ნუთუ რისხვა შენი დაატყდება ყოველს,
შენგან ქმნილს?!

უფალო ჩემო, მადღს შემოგწირავ!
 სასწაულებრივ შემქმენ მინისგან,
 გამოავლინე ძალი შენი არსებაში, თიხიდან ქმნილში.
 შემქმენ, უფალო, რათა შემეცნო
 სიღრმე შენი და ღვთაებრივი ჭეშმარიტება,
 შემეცნო სიბრძნე, ღვანლი შენი განსაკვირველი.
 ბაგეებს ჩემსას შენ უბოძე უნარი ქების,
 შენგან აქვს ენას ჩემსას ძალი ფსალმუნებისა;
 შენვე მომმადლე გალობის ნიჭი.
 მარად მზადა ვარ შენს სადიდებლად.
 სიკეთეს შენსას, ნებას შენსას და შენს სიყვარულს
 მინდა ვგალობდე განუწყვეტლივ, შეუსვენებლივ,
 განვადიდებდე სახელს შენსას დაუცადებლად.

დიდებას შენსას, განუზომელს, ვაუწყებ ყოველს,
 განვფენ შენს ნაქმნარს შორის კაცთა, ადამიანთა;
 გონიუწვდომი და უღვევი შენი სიკეთით
 აღორძინდება სული ჩემი და განიხარებს,
 რამეთუ ვიცი, რომ სიმართლე იფრქვევა შენგან;

ვიცი, უხვია ხელი შენი, უფალო ჩემო!
ვიცი, ბრძნულია აზრი შენი, უფალო ჩემო!
ყოვლისშემძლეა ძალი შენი, უფალო ჩემო!
და შენი არის დიდება, ღმერთო!

შენი რისხვაა განსაცდელი ჩვენთვის მოსჯილი,
შენი სიკეთე მიტევების სანინდარია,
მიენიჭება შენი მაღლი ყოველ სულიერს,
ვინც არ გადავა ნებას შენსას, უფალო ჩემო!
შენ მიეც ყოველ ადამიანს, მაღალო ღმერთო,
ჭეშმარიტების ჭვრეტის უნარი,
იდუმალების წვდომის ნიჭი, მძაფრი სურვილი;
უბოძე, რათა განიწმინდოს სიბილწისაგან,
ვერაგობისგან, სიმუხთლისაგან, –
რათა ერთობა ეძიოს მათთან,
ვინც ეზიარა შენს იდუმალ ჭეშმარიტებას, –
გაიზიაროს წმინდა ხვედრი ზეცისა ძალთა,
რომ განკითხვის ჟამს ადამიანი,
რომელიც იყო უბადრუკი, ვითარცა მღილი,
მტვრიდან ამალლდეს სავანემდე ზეციურ არსთა;
შეურვებულმა და დათრგუნვილმა
აზრი შეიტკბოს ღვთაებრივი და შეითვისოს,
რომ შენ წინაშე და წინაშე ანგელოზთ დასის
შეენივთოს და ხმა შეუთავსოს
მარადიული ქოროს გალობას,
განახლებული ჰანგი ჟღერდეს საგალობლისა!

გმადლობ, უფალო ღმერთო ჩემო,
 გაქებ, გადიდებ!
 კლდეო ჩემო და საყუდარო, სასოო ჩემო!
 შენ უამრავი საოცრება ძღვნად მომივლინე,
 კურთხეულ იყოს სახელი შენი!

უფალო ჩემო,
 სასწაულებრივ გამომეცხადე
 და მე შევიცან არსი შენი – ჭეშმარიტება;
 მე მონმე გავხდი ღვთაებრივი სახიერების,
 მარადიული სიყვარულით განმსჭვალულისა.

ასე შევიტყვე, უფალო ჩემო,
 სიმართლე შენი და სამართალი:
 შენს სიყვარულს და ღმობიერებას
 კაცთა მოდგმისთვის მოაქვს ხსნა და თავისუფლება;
 შენი ნების და მოწყალების, მადლის გარეშე
 გველის წარწყმედა, დათრგუნვა და ქვესკნელში
 დანთქმა.

ვაკვირდებოდი კაცთა ბუნებას,
მინად მიქცევა მაოცებდა ადამიანის;
ან სული მისი რად მიდრკება ბოროტისაკენ?
ადამიანი რატომ არის ჩამდენი ცოდვის?
რისხვას, სიბილწეს, დანაშაულს რად არ ეკრძაღვის?
მომიცვა სევდამ, კაეშანმა, დარდმა, ნალველმა;
გულს ვიოხებდი მდულარე ცრემლით,
თვალთაგან უხვად, წყაროსავით, გადმონადენით.
საფიქრალმა და სადარდებელმა
შემოაღწია გულში და თან ძვლებიც შემიძრა;
ვინყე გოდება.

სანყალობელად ვგმინავდი და ქნარს წავეტანე;
სამგლოვიარო, ნალვლიანი ჰანგი დაირხა.
მწარედ ვგოდებდი.

მეგონა, ბოლოს მომიღებდა უკეთურება,
დამორგუნავდა და დამჯაბნიდა, დამაკნინებდა.

მაგრამ უეცრად გახდა ნათელი:
სევდა-ნალველი განქარდა და არ არსებობდა,
და ველარც ტკივილს მომაყენებდა.
მაშინ კი ქნარი ავაჟღერე საამო ჰანგით,
ჩემი ჩანგიდან იღვრებოდა ხსნის იმედი და სიხარული.
მერე ნესტვს დავწვდი შენს საქებრად, სავედრებელად
და გადიდებდი დიდხანს, დიდხანს, დაუსრულებლივ.

სრულად ვინა თქვას, ვინ აღნუსხოს ნაქმნარნი შენნი,
ანდა ვინ შეძლოს თუნდ ჩამოთვლა შენი წყალობის?!
ყოველ სულიერს, ყველას მართებს შენი დიდება.

ქორომ მარადის იგალობოს დიადი ჰანგი,
ჰანგი ძლევისა, დიდებისა, გამარჯვებისა!
ვაება, გმინვა აღარ მოისმის,
უსამართლობა ხმას ვერ იმაღლებს;
ჭემარიტება – არსი შენი, ხატება შენი
მარადიული დიდებისკენ გზას გვიჩირაღდნებს,
სამარადისო მოაქვს შვება, მოაქვს მშვიდობა.



კურთხეულ იყავ, უფალო ჩემო!
 შენგან ებოძა ადამიანს წყურვილი ცოდნის,
 იღუმალების წვდომის უნარი,
 ჭეშმარიტების შეცნობის ნიჭი,
 შენი უსაზღვრო ღმობიერების
 განდიდების და განთქმის სურვილი.

დიდებულ იყავ, უფალო ღმერთო,
 მწყალობელო და მიმტევებელო!
 დიდებულ იყავ ძლიერებისთვის,
 ყოვლისმომცველი სიმართლისათვის,
 შენი წყალობის სიუხვისთვის, სიყვარულისთვის.

დე, განვიხარო მსახურმა შენმა
 ჭეშმარიტებით, შენი სამართლით;
 შენმა სინმინდემ განმასპეტაკოს
 ისევე, როგორც მაშინ, ოდესღაც
 შენს სიუხვეზე დანდობილს რომ იმედად მქონდა,
 უფალო, შენი თანაღმობა, შემწყნარებლობა.

მე საკრველთაგან მიხსნა შენმა მიმტვევებლობამ.
მაშინ შევიტყვე, თუ რა ყოფილა
შენი წყალობის იმედად ყოფნა,
შენ მანუგეშე, განმიქარვე სევდა-ნალველი.

კურთხეულ იყავ, უფალო ჩემო,
რადგან შენ შექმენ ესე ყოველი,
შენვე მიბოძე ლოცვის ძალა მე, მსახურს შენსას,
რომ გევედრო და მოვიპოვო წყალობა შენი.
შენგან მებოძა ენამჭევრობა,
ჯილდოდ მომმადლე უმნიკველოება,
შენვე მიბოძე ნიჭი, ძალა ერთგულებისა.
და განიხარებს სული ჩემი წინაშე შენსა
სრულ სიმშვიდეში, მდუმარებაში.

მე ჩემს კარავში ვიგალობებ ჰანგებს ხსნისას,
სიხარულისას,
იმათ წინაშე განვადიდებ მე სახელს შენსას,
ვისაც ზარსა სცემს ხსენება შენი.
მომავლის ჟამსაც გადასწვდება ვედრება ჩემი,
დიდება შენი დაიქუხებს, დაიმჭექარებს.
ლოცვა-ვედრებას მე ამოვთქვამ დაუცადებლად
ყოველ დროსა და ყოველ საათს წელიწადისა,
მაშინაც, როცა დღის ნათელი ამოანათებს.
ამობრწყინდება მზე თავისი სამყოფელიდან,
დანესებული, დადგენილი გეზის თანახმად,
თვისი წრებრუნვის შესაბამისად
როცა მისაბრუნს მიაღწევს იგი,
ნათელი იკლებს, ბნელი იმატებს.

მაშინაც ვიტყვი დიდებას შენსას,
სიბნელის ჟამი რომ ჩამოდგება,
შუალამე რომ განყვლიადდება;
ვიტყვი, როდესაც შეთენდება და
ბნელ ღამეს როცა კვლავ ნათელი ჩაენაცვლება.
დაბადების დღე წელიწადის ოთხივე დროის,
ვარსკვლავთა ხომლის განწესებას შეთავსებული,
ღვთის ნებითა და ღვთის განგებით დაწესებული,
განსაზღვრულია ღვთაებრივი კანონის ძალით. [. . .]

ეჰა, უფალო, მივალწიე შინაგან ხილვას
შენ მიერ ჩემთვის შთაბერილი სულის წყალობით
და ვეზიარე განსაკვირველ შენს საიდუმლოს.
სულით წმიდით და საოცარი იდუმალებით
შენ ჰქმენ, რომ წყარომ ამოხეთქა ჩემს არსებაში, –
წყარომ ცოდნისა, სათნოების, სიკეთის წყარომ, –
ყოვლისმომცველმა და წამლუკავმა.
დასასრულიც ხომ შენ დაუდგე სიბნელეს ჩემსას.
შენი დიდების ბრწყინვალე შუქმა
შემოაღწია ჩემს სამშვინველში,
გარდაქმნა იგი და აამაღლა
დაულამებელ, მარადიულ შუქად ნათლისა.

და ბოროტება აღიგავა, გაქრა სიყალბე,
უკუღმართობამ, ავისზრახვამ, შეურაცხებამ,
ძვირისხსენებამ, ქირღვამ და კილვამ
ველარ გაუძლო შენს რისხვას, ღმერთო!
ადრე ჩადენილ ცოდვებს ვიხსენებ,
ახლალა ვხვდები: უცოდველი არავინაა.

ბევრი რამაა დაფარული, მივიწყებული,
არავინაა შენ წინაშე უბინო, ღმერთო!
პასუხიც არ გვაქვს შენს განაჩენზე,
მაგრამ ერთი რამ გვმართებს უთუოდ:
შენი სიკეთის, მონყალების გვექონდეს იმედი.
შენი უსაზღვრო სიყვარულით, ლმობიერებით
ჭემმარიტებას გაუმხელ და შეამეცნებ ადამიანებს,
რათა შეგივრდნენ, გალიარონ, ამაღლდნენ შენით.
გადმოიფრქვევა ძალი შენი მათზე, უფალო,
შენ დაიფარავ, შეიტკობ მათ და შეივრდომებ,
სამარადჟამოდ განიხარებს ადამის მოდგმა.

ყოველ კაცს ცოდნის და უნარის შესაბამისად
ერგება უფლის სიხლოვეს ადგილი თვისი,
ყოველი უნდა გაისარჯოს შეძლებისამებრ
და შენ მიუჩენ ყოველ მათგანს შესაფერ საღვანს.

ეჭა, უფალო, მტვერი ვიყავ, მტვერი და თიხა,
შიშველი ვიყავ, წყარო ვიყავ უნმინდურების.
შენ წყლით შემზილე, მე სიბნელის ვიყავ სავანე.
თიხისგან ქმნილი მტვერად უნდა იქცეს,
საიდანც იშვა, ისევ უნდა მას დაუბრუნდეს.
მტვერმა და თიხამ რა უნდა უთხრას,
რა შეაგებოს თავის შემოქმედს?
როგორ შეიცნოს მისი ღვანლი,
როგორღა წარდგეს მის სამსჯავროზე?
ანგელოზები, ზეცისა ძალნი,
მარადიული მხედრობა ზეცის,

უკვდავნი სულნი, – სიბრძნისა და ძლიერების
წყაროდ ხმობილნი, –
თვით ანგელოზნიც ვერ ამბობენ შენს შესაფერ
დიდებას, ღმერთო,
და შენი რისხვის გაძლებაც უჭირთ.
ასეა, რადგან ხარ მართალი, მაღალო ღმერთო!
და რაღა გვეთქმის მასზე, უფალო,
ვინც ისევ უნდა დაუბრუნდეს მტვერს.

ეჰა, ვდუმდები, მე ენა მებმის.
გულწრფელად გითხარ, ჩემი ცოდნის შესაბამისად,
თიხიდან ქმნილს რომ შეეფერება.
როგორ ვთქვა, ვიდრე ბაგეს ჩემსას შენ არ გამიპობ,
ან როგორ მივხვდე, წვდომის ძალა თუ არ მიბოძე?!
როგორ ვიმსჯელო, შენ თუ გული არ გამიხსენი?!
როგორ ვიარო, სწორად როგორ წარვდგა ნაბიჯი,
უფალო, შენ თუ არ ნამიძეხი?!
როგორღა ვიყო ძლიერი, მტკიცე,
ან როგორ გავძლო, თუ მომაკლდა წყალობა
შენი?! [. . .]



XIII, 1-21

უფალო¹, ოდეს დასაბამში შექმენ სამყარო
და თან მოჰფინე სული წმიდა ყოველთა ზედა,
შექმნილთ უბოძე სიცოცხლე და აქციე მოწმედ
განსაკვირველი, საოცარი იდუმალების. [. . .]
დაატყვე შენი ნახელავი ყოველს, რაც შექმენ;
მრავლის უმრავლეს არსებობის ფორმათა სახით
გამოაშუქე დიდება შენი,
ჭეშმარიტება ჩადევი დვრიტად
შენს ნაქმნარსა და ნამოქმედარში. [. . .]
არსთა გამრიგევ, არსებობა რასაც უბოძე,
მას მადლი უხვად გადმოაფრქვიე,
შექმნილთ აღუთქვი მარადისი ნყალობა შენი.
ხოლო ყოველი შენი ურჩი, ღვთისგარეგანი
წარინყმიდება, დაეცემა, გაცამტვერდება.
კაცი მოკვდავი თუ მოგენდო, რწმენით აღივსო,

¹ თეოდორ გასტერის თანახმად, ეტრატის ამ ნაწილიდან ძნელდება ცალკეული ჰიმნების გამოყოფა, ამიტომ ამ მონაკვეთიდან ჰიმნთა ნუმერაცია მიუთითებს ყუმრანოლოგიაში დამკვიდრებულ კოორდინატებს გრაგნილებისას.

თავზე დაადგამ დიდების გვირგვინს,
მის ღვანლს შემოსავ ნეტარებით მარადიულით. [. . .]

ხოლო ვისაც შენ წყალობა უყავ,
შესაქმიდანვე ჩართე დიად შენს განზრახვაში, –
ანგელოზთა დასს, დიად კრებულს, ზეცის მხედრობას, –
დასაბამიდან დაუსახე თვისი მიზანი
და საუკუნო საზრუნავი აურაცხელი.
ასევე ყოველს, რაც ბინადრობს ზღვასა თუ ტბაში
და რაც მინაზე დაიარება, –
შესაქმის ჟამსვე განუსაზღვრე თვისი სფერო,
თვისი საღვანი.

გონიმიუნვდომი შენი სიბრძნით ყოველს უბოძე
თვისი არსი და თან ბუნება განსხვავებული,
რომ განთქმულიყო დიდება შენი,
განფენილიყო კიდით კიდემდე.

და მაინც, როგორ შეიძლოს სულმა,
სულმა, სხეულში გამომწყვდეულმა,
როგორ აღიქვას, როგორ შეიცნოს
იდუმალება იდუმალისა?
ქალის შობილი როგორ ჩასწვდეს, როგორ შეიტყოს
მიუთხრობელი და დიადი ზრახვები შენი?

ანკი რა უნდა ყოფილიყო კაცი – მტვრის გროვა,
მინისგან ქმნილი, წყლით შეზელილი
და ნაბილნული საფუძველშივე,
უკეთურების სულით მართული

და ღრმად ჩაფლული ცოდვასა თუ დანაშაულში?!
ზიზლისმომგვრელი იქნებოდა ის ყველასათვის,
რომ არა – შენი მწყალობელი ნება, უფალო.
ეს მხოლოდ შენი სიკეთის და ღმობიერების,
შენი უსაზღვრო სიყვარულის წყალობით არის,
ადამიანს რომ შეუძლია აირჩიოს გზა ქვეშარიტი;
გამოუთქმელი და გონებაშიუნვდომელი
შენი მშვენებით შენ შეამკე ადამიანი,
ზღვარდაუდები შენი სიუხვით
ის ნეტარებით გაასხივოსნე;
კაცს მიანიჭე სულის მშვიდობა
და დღეგრძელი ჰყავ არსება მისი.
უფალო, ერთხელ რაც წარმოთქვი, ის არ გარდავა
და სიტყვა შენი მარადისია.

მე, ჩემდა თავად, ვიტყვი, უფალო:
მსახური შენი, შენგან ჩემში შთაბერილი სულის
წყალობით
მოვედი, რათა შევიმეცნო, შევისისხლხორცო,
რომ სამართალი შენი არის მარად მართალი,
და ღვანლი შენი – სამართლიანი;
დადგება დრო და დაუმაძღვებ მართალთ და სათნოთ, –
ავისმქმნელთ რისხვა, განკითხვა ელის.

XIV, 1-27

მადლს გიძღვნი, ღმერთო, უფალო ჩემო,
რამეთუ შენს ერს, შეგინებულს და დამონებულს
ნილად არგუნე აღდგინება და განახლება,
და დაგვამკვიდრე წმინდა მინაზე.
ჩვენ შორის კაცნი წარმომართე, წარმოაჩინე, –
კაცნი მართალნი, კაცნი წრფელნი, ნათლისა ძენი. [...]
მათი ღვანლით შენ განამტკიცებ აღთქმას, უფალო,
და ადასტურებ შენს დანაპირებს,
რათა წარმოვდგეთ შენ წინაშე, ვითარცა ერი
ღვთისმსახურთა და კაცთა მართალთა, –
რომ თაობიდან სხვა თაობებს გადაჰყვეს აღთქმა,
დროის და ჟამის ბრუნვას გაუძლოს.
შენ ხარ საყრდენი, დასამხრობი ყოველი კაცის,
შენი შეცნობა, ხილვა შენი ვისაც ებოძა.

დიდება შენდა, უფალო ჩემო, დიდება შენდა!
შენ აძლევ უნარს შეცნობისას მოსავთა გულებს,
რომ მოგეახლონ დაუბრკოლებლივ
და წინ აღუდგნენ ავისმზრახველთ, გრძნეულთა
ხრიკებს,
რათა ადიდონ საუკუნოდ სახელი შენი,

რათა უყვარდეთ ყოველივე, რაც შენ სათნო გიჩნს.
და განერიდონ შენთვის უსურველს.
ზეცისა ძალთა დახმარებით, მათი შეწევნით
ავის და კარგის გამიჯნვა შეძლონ,
წმინდად დაიცვან, შეურყვნელად, ნაღვანი თვისი.

უფალო ჩემო, ცნობიერებით,
რომელიც შენგან მაქვს ბოძებული,
მე შევიტყვე, რომ შენი ნებით, შენი განზრახვით
ვარ სულიწმიდის თანაზიარი.
შენ ჩამინერგე მძაფრი სურვილი
სამყაროსი და საკუთარი თავის შეცნობის.
რაც უფრო მეტად გიახლოვდები,
მით უფრო მეტად სავსე ვარ სწრაფვით,
მით უფრო მეტად შემართული ვარ
მათ წინააღმდეგ, ვინც სთესს შუღლსა და ბოროტებას.
ვინც შენკენ ილტვის, იმას არ ძალუძს
ურჩობა შენი ნების წინაშე;
ვინც შენ შეგიცნო, სიტყვას შენსას ის ვერ გადავა,
რადგან ხარ არსი სიკეთისა და სიმართლისა;
ყოველი შენი განზრახვა არის დადასტურება
ჭეშმარიტების.

შენ გამოუტან განკითხვის დღეს საბოლოო მსჯავრს
რჯულგადასულთ და ცოდვებში ჩაფლულთ
და გაცხადდება სამართალი შენი მართალი
ყველას წინაშე, ვინც შენ შექმენ, არსთა გამრიგევ!

შენი წყალობით ზღვარდაუდებლით
მე ვინყე წვდომა საგანთა არსის
და ფიცი დავდე, არ შევცოდო შენ წინაშე, უფალო ჩემო;
არც არასოდეს ჩავიდინო, რაც ბოროტად გიჩნს...
და მე მებოძა ნება გავხდე ამ ძმობის ნევრი.

მე, ჩემდა თავად, არ ვიგულეებ მეგობრად არვის,
ვინც არ იქნება ჩემი სწრაფვის თანამოაზრე;
ძმობას მე მხოლოდ მას შევთავაზებ,
ვინც გაიაზრებს, გაითავისებს
ჩვენს საერთო ხვედრს, ძმობის იდეას.
ბოროტება ვერ გადამიბირებს
და ვერც სიყალბის მქმნელი გავხდები;
სიმართლეს შენსას მე არ გავცვლი მონაგებში
ამა სოფლისა;

შენი მართალი სამართლის ერთგულს
ვერავინ გამდრეკს სასყიდელით ამქვეყნიურით;
ვინც შენ სათნო გიჩნს, უფალო ჩემო,
იმ ადამიანს უმალ შევიტკობ;
და ვისაც შენ არ მიიახლოებ,
თავს შორს დავიჭერ მისგან, უფალო;
ვინც ზურგს შეაქცევს შენს დიად აღთქმას,
იმათ ერთობას მე არასდროს შევუერთდები.

დიდება შენდა, უფალო ჩემო,
ძალმოსილების სიდიადით, საოცარი იდუმალებით
მათ მიუტევებ შეცოდებებს, ვინც შეინანა,
და მოიხილავ ბოროტთ, ავისმქმნელთ.

მართალთა ზედა უხვად აფრქვევ სიყვარულს
და მადლს.

უზნეობას და თავკერძობას შენ ვერ იგუებ.
შენ მიწყალობე მე, მსახურს შენსას,
წყურვილი სიბრძნის, ჭეშმარიტების [. . .]
და შემაძულე ყოველგვარი უკეთურება.

მე კი, ჩემი მხრივ, ამის სანაცვლოდ
შენ შეგიყვარე გულით, სულით, მთელი არსებით,
რადგანაც შენით, შენი ნებით იქმნა ყოველი
და არაფერი იქმნა შენი ნების გარეშე.



[. . .]

შეგიყვარე და შეგაგებე მე წრფელი გული.
რომ ვეზიარო შენს წმინდა კანონს,
არ გავიდრკო, ვუერთგულო ბრძანებას შენსას
და ვიღვანო, რომ ნებას შენსას მისდიონ კაცთა.

და უფრო მეტიც, ჩემი გონებით,
რომელიც შენი ბოძებულია,
ვაცნობიერებ:
ხორციელ ხელს უბირი კაცის
არ ძალუძს გეზის სწორად წარმართვა;
კაცი მოკვდავი ვერც ნაბიჯებს უძღვება თვისას.
ვიცი, უფალო, შენი ხელით არის ნაძერწი
სული ყოველი ადამიანის.
ვიდრე შექმნიდი კაცს, დაუნესე
თავისი ღვანლი, დანიშნულება.
როგორღა შეძლოს ადამიანმა,
როგორ ეურჩოს წესსა და რიგს, შენგან დადგენილს?!

შენ შემოქმედი ხარ სიმართლისა,
დასაბამშივე შეამზადე ჟამი ღიადი,

რათა დაიცვა მცნება შენი, კანონი შენი
და გზანი შენნი განაგო ბრძნულად.
შენ ადამიანს მაღლი უხვად გადმოაფრქვიე,
შენ მას უბოძე სულის სიღრმე და სიდიადე.

ღმერთო, შენ შექმენ ბოროტნიც და ცოდვის
ჩამდენნიც,
დასაბამშივე დაუნესე განკითხვის ჟამი.
ისინი აღთქმას განუდგნენ შენსას,
წაღმართის ნაცვლად გზა ირჩიეს მათ უკუღმართი
და მოიძაგეს შენი აღთქმა, შენი კანონი.
უამურია მათთვის შენი შეგონებანი.
ვერაზინ, ვინც შენ მოგიძულა, ვერ აიცილებს
განკითხვის დღეს და სამართალს მართალს;
ყოველი შენი დაბადებული
თავად იხილავს, შეესწრება უკეთურთ დასჯას,
რომ გულისხმაჰყონ სამარადჟამოდ
და რომ განითქვას კაცთა შორის, ადამიანთა,
დიდება შენი, სიბრძნე შენი, ძალმოსილება.

ხორცს როგორ ჰქონდეს გონება და უნარი განსჯის?
მინისგან ქმნილს ვით წარემართა ნაბიჯი თვისი,
უკვდავ სულს თუ არ შთაბერავდი და
ღვანლს თუ თავად არ დაუნესებდი?!
ასე შევიტყვე და შევიმეცნე,
რომ არ არსებობს მონაგები, სიმდიდრე, განძი
ბადალი შენი სიმართლის და ჭეშმარიტების.
სინმინდეს შენსას ვერაფერი შეესწორება.

ეს შენ ჰქმენ, ღმერთო, შენ განაგე ესე ყოველი,
სამარადისოდ რომ იღვწოდეს ყოველი არსი.

ავისმქმნელთაგან შესანიშნავს შენ არ მიიღებ,
რამეთუ ღმერთი ხარ ჭეშმარიტი.
შენ მოიძაგე უკეთურება,
უსამართლობა ვერ იხარებს შენს სიახლოვეს.

მოვედი შენთან, მოგაპურე, რათა შევიცნო,
რომ შენთანაა, რომ შენშია სინმინდე და
ჭეშმარიტება.] . . .]



XVI, 1–19

შენ სული წმიდა სწორად მოჰფინე
უკეთურთა და სათნოთა ზედა.
ამიტომ ყოველს განსჯი თანაბრად,
მათთა ნაქმნართა შესაბამისად.

და სული შენი უწმინდესი არ გარდავა, იქნება მარად.
სავსება ცისა და მიწისა მოწმეა ამის
და ყოველივე შენგან ქმნილი დასტურია შენი დიდების.

ვიცი, რომ შენდა საამურად ადამიანს უხვად უბოძე
სიბრძნე, ავ-კარგის გარჩევის ნიჭი,
თანაზიარი გაიხადე ჭეშმარიტების,
ვალად არგუნე მხარდაჭერა, დაცვა სიმართლის,
რომ შენგან მისთვის დაკისრებულ

ყოველგვარ ღვანლში
იყოს ურყევი, არ შებრკოლდეს, არ იბორძიკოს.

ეს ყველაფერი რადგან ცოცხლობს ჩემს გონებაში,
სიტყვით ამოვთქვამ ლოცვას ჩემსას, ჩემს აღსარებას,
დაუცადებელ სწრაფვას ჩემსას შენი სულისკენ,
სულიწმიდისგან მომადლებულ შინაგან ძალას,

ჩემს ერთგულებას შენი აღთქმის სიმართლისადმი,
გულწრფელობასა და სათნოებას,
შენი სახელის დიად სიყვარულს –
ამას ყველაფერს, რითაც ქვეყნად დავიარები,

ვიტყვი, უფალო, ხარ კურთხეული!
ყოვლისშემძლეო, მხოლოდ შენგან იქმნა ყოველი.
წყალობა უყავ, მოიხილე მსახური შენი
გადმოაფრქვიე მას მადლი შენი
და უნილადე ბრწყინვალეა შენი დიდების.
შენია, ღმერთო, მხოლოდ შენი არის სიმართლე,
რადგან თავად ხარ ჭეშმარიტება.

და უფრო მეტიც:
რაკი ვიცი, რომ აღნუსხული გყავს
ყოველი სული, სათნოებით გამორჩეული,
ვამჯობინე, რომ შენი ნების შესაბამისად
ხელები მქონდეს წაუბილწავი,
შენი მსახური განზე ვიდგე უკეთურთაგან
და გავემიჯნო საქციელს უგვანს.
ვიცი მყარად და დაბეჯითებით:
ვერცერთი კაცი ვერ იქნება შეუბღალავი
შენი შენევის გარეშე, ღმერთო.
და გვედრები სულით, ჩემში ჩაბუდებულით:
სრულქმენ წყალობა, რომელიც უყავ
შენს ერთგულ მსახურს;
განწმინდე იგი სულით წმიდით და
მიიახლოვე, მიიზიდე შენკენ, უფალო,
შეენიე მას, მიუტევე ღმობიერებით;

შეიტკბე იგი სიყვარულით ზღვარდაუდებლით
და დაუმკვიდრე სასუფეველი
შენთა რჩეულთ და მოყვარულთ შორის;
საღვანი ისე გაუნანილე,
რომ მყარად იდგეს შენ წინაშე სამარადჟამოდ.

წამონევას ნუ ლამობ, ბელიარ!
ჩაბუდებას ნუ შეეცდები ჩემში, უფლის მსახურის სულში.
უფალო ჩემო, დაცემულ და განდრეკილ სულებს
შენი მსახურის ნამოქმედარს ნუ გააკარებ;
და განსაცდელი მსახურს შენსას ნუ დაატყდება,
ნუ შებრკოლდება და შენს აღთქმას ნუ გადაუხვევს;
თავზე დაადგი მას გვირგვინი დიდების და
ჭეშმარიტების.

შენა ხარ ღმერთი ღმობიერი, მრავალმონყალე,
მრავლის ამტანი და ჭეშმარიტი, –
ღმერთი, ცოდვათა მიმტევებელი,
შემწყნარებელი მონანიეთა,
შენთა მოსავთა, შენი ნების აღმსრულებელთა.
შენ დამნდობი ხარ ქედფიცხელთ მიმართ,
რომელთაც ისევ შენ მოგაშურეს.
შენდამი რწმენით გადავსებულმა
გულმა მათ შენკენ გამოუწია.
ულხინე მსახურს შენსას, უფალო,
ნუ მოარიდებ მზერას შენსას, წყალობას შენსას,
ნუ მოიცილებ შენი მხევლის ძეს,
რამეთუ შენ ხარ უფალი ჩვენი.
შენივ სიტყვებით გიხმობ ვედრებით:
გვილხინე, ღმერთო, ჩვენ, მრავალტანჯულთ. [. . .]

(ღვთაებრივი მიმტვევებლობისათვის)¹

ზღვარდაუდები ღვთაებრივი ლმობიერებით
შენ მოსეს მიერ გვამცნე შენს მოსავთ,
რომ შეგვინდობდი დანაშაულს, ცოდვას, სიყალბეს, –
მოგვიტევებდი შეცოდებას, დაცემას, ლალატს.
და როცა მთის ძირს მოედო ალი,
და ცეცხლმა ლამის ჩააღწია ჯოჯოხეთამდე, –
შენ მაშინ მსჯავრი გამოიტანე,
განიკითხე და დაიხსენი შენნი მოსავნი,
რათა ერთგულად გემსახურონ, თავდადებულად,
და მათი თესლი მარად იყოს შენ სიახლოვეს.
აღრე შენ აღთქმით დაუდასტურე:
თუ დანაშაულს დაეხსნებოდნენ –
ბინიერებას, სიყალბეს და მანკიერებას, –
მიუტევებდი მათ ჩადენილ უსამართლობას
და უბოძებდი ყოველ მოკვდავს, მოკვდავს მონანულს,
ძალმოსილებას და დიდებას, სიმრავლეს დღეთა.

¹ ეს და მომდევნო შენიშვნები თეოდორ გასტერისეულია.

მე კი, ჩემის მხრივ, შენგან შემწედ მოვლენილ ძალებს,
მათს ძლიერებას მივენდობი, მათს სათნოებას,
გასაქანს მივცემ ენას ჩემსას და ვიტყვი სათქმელს,
შენს ნამოქმედარს, შენს ღვანლს ვახსენებ,
ჩემ მიმართ შენგან გამოვლენილ მიმტევებლობას;
ვადიდებ ნაქმნარს შენი მარჯვენის,
შემოგავედრებ ჩემს სულს, უფალო,
თან ვალიარებ შეცოდებებს ჩემგან ჩადენილთ,
და შევინანებ თავნებობას, ჩემს სიგულჩქარეს.
მე ხომ ხელები ნავიბილნე უწმინდურებით,
გაგინაპირდი, განვერიდე შენს მრევლს, უფალო.

უხვია შენი ბუნება, ღმერთო,
კურთხევას უხვად, მონყალედ გასცემ.
მოიხმე შენი ღმობიერება,
სამშვინველს ჩემსას მოხედე, მიხსენ,
უკეთურნი კი დათრგუნე და გაატიალე.



(სულის სიმტკიცისათვის)

[. . .]

ამასთან ერთად, გავიაზრე და შევიცანი:
გეზს წარმართავდი შენგან დასახულს,
კაცს ძღვნად უბოძე გონება სხარტი,
რომ შენ წინაშე არ შეეცოდა,
და მიაგებდი ნყალობას შენსას,
დაუამებდი ტკივილს გულისას,
ანუგეშებდი შეჭირვების ჟამს.
შენ განამტკიცე და იხსენი მოსავენი შენნი,
როცა შედრკნენ და ნაბორძიკდნენ, წაიფორხილეს
შენი განზრახვის, შენი ნების აღსრულების ჟამს. [. . .]

უფალო ჩემო, განამტკიცე, გააძლიერე
ბოროტ ძალებთან საბრძოლველად მსახური შენი,
რომ შეუდრეკლად იარებოდეს
შენთვის საამო ნათელი გზებით,
და განერიდოს ყოველივეს, შენგან უსურველს,
და აკეთოს ის, ეამება რაც მზერას შენსას.

(შინაგანი გასხვიოსნებისათვის)

შენ წინაშე ვარ, მოგაშურე, რათა შევიტყო,
რომ სულიწმიდას მოჰფენ შენს მსახურს,
ჩახჩახა ნათლით გაუცისკროვნებ
გულის მინავლულ და ბნელ კუნჭულებს.
და მე თვალს ვავლებ ყოველივეს, რაც აღგითქვა
ადამიანმა.

ვერ აღასრულა თვისი აღთქმა, ვერ გიერთგულა.
ხოლო იგი, ვინც მყარად ეძებს ჭეშმარიტებას,
მოიპოვებს მას შენი შეწევნით.

შენი ნათელი გზას უნათებს მის მაძიებელთ;
ასე ივლიან მარადიულ მღვივან ნათელში
და სიბნელიდან შენ დაიხსნი ერთგულთა გულებს. [...]
დაე, მარადჟამს დაჰნათოდეს მსახურს შენსას
ნათელი შენი [. . .]

თვით ნათელიც ხომ შენით არის
უშრეტი და მარადიული.

(ღვთის წყალობისათვის)

შენ წინაშე ვარ, მოგეახლე, რათა შევიცნო,
რომ სასმენელი შენ შექმენი და
აღამიანი – გროვა მტვრისა – ყურთასმენით
დააჯილდოვე,
რომ გაეგონა სიტყვა შენი, სიტყვა მართალი,
და გეხსნა შენი რჩეული ერი
წარწყმედისაგან, გზის დაკარგვისგან.
უფალო, შენი ჭეშმარიტებით
განამტკიცე და ძალა შემატე
შენი მსახურის ერთგულ მარჯვენას.
და ასე გასტანს სამარადჟამოდ,
რომ განიზიდოს და განითქვას საქმენი შენნი,
შენმა მსახურმა ილაღადოს დიდება შენი
იმათ წინაშე, ვისაც ყურნი ასხენან სმენად.
შენ შეენიე შენს ერთგულ მსახურს,
რომ მიეღწია სრულყოფისათვის
და ეზეიმა გამარჯვება, დიდება ღვთისა.
გვედრებ, უფალო, ნუ აიღებ ხელს
შენს რჩეულ ერზე, დევნილსა და განანამებზე.
მათ შორის ბევრი ერთგულია შენი აღთქმისა.
ისინი დგანან შენ წინაშე მყარად, ურყევად
შეუძვრელად და ნირშეუხრელად.

(სიტყვის თქმის ძალისათვის)

და უფრო მეტიც: ადამიანის ბაგეთა შორის
მისი ყელიდან ამოაჩქეფე წყარო უკვდავი,
რომ შეძლებოდა ენას მისას სასწაულებრივ
ამოთქმა შენი კანონისა, აღთქმის სიტყვათა.
შენ ინებე, რომ განმემარტა მე, ერთგულს შენსას
კაცთა მოდგმისთვის:
რისთვის არსებობს ადამიანი?
ვინ შექმნა იგი?
ისურვე შენ, რომ შეძლებოდა ჩემებრ მტვრის გროვას
კაცთათვის ნათლად თარგმანება ღვთის განზრახვისა.

ეს წყარო – სიტყვის წარმოთქმის ნიჭი –
გამოსადეგი არის მაშინაც,
თიხისგან ქმნილს თუ გსურს გაუმტყუნო
შენკენ სავალი გზის გამრუდება, –
ან ქალის შობილს, ადამიანს, – ჩადენა ცოდვის.
ნაღვანისამებრ სიტყვისგება მართებს ყოველთა.

(მაღლიერება ღვთის წყალობისთვის)

წყარო ამოჩქეფს, მოედინება,
შენი სიბრძნეა სათავე მისი,
ადამიანი რომ განამტკიცო
და ღვთაებრივი ძალა შთაბერო, –
რათა ვიდოდეს ჭეშმარიტების
დაუღამებელ დიად ნათელში.
შენი უსაზღვრო ღმობიერებით
კაცი აქციე შენთა დიდთა ნაქმნართა მაცნედ,
გამამხნევებლად სანყალობელთა.
და დაარწყულეbs ამ წყაროთი შენი მსახური
ადამიანის ურვეულ და შეჭირვებულ სულს,
გააჩახჩახებს სიხარულით უნაპიროთი. [. . .]

რომ არა შენი წყალობა, ღმერთო,
ვერ შევიცნობდი დიად ღვანლს შენსას;
ჩემთვის თვალი რომ არ აგეხილა,
როგორ შევძლებდი ხილვას შენი ძალმოსილების?!
შენ ყურთასმენა ჩემთვის რომ არ გებოძებინა,
როგორ მესმინა, ვით გამეგონა
სიტყვა, დამტევი შენი სიბრძნის, ღვთაებრივი
ჭეშმარიტების?!

ეჭა, გაკვირდა გული ჩემი, უფალო ჩემო!
გაოგნებული ვცდილობ ჩაენვდე შენს ნამოქმედარს:
როგორ მოხდა, რომ ღვთაებრივი სიტყვა გაცხადდა
იმისთვის, ვისაც ყური ჰქონდა დახშული და გული –
უნვართი.

მხოლოდ ახალა ვხვდები, უფალო:
თავად შენთვის ჰქმენ ესე ყოველი.
აბა, რა არის, კაცი – ოდენ ხორცი მოკვდავი –
ასე უსაზღვროდ რომ განადიდე,
სასწაულებრივ შენს დიად ღვანლში
თანამოაზრედ, შემწედ შენდა რომ გაიხადე.
შენ განიზრახე შენთა შექმნილთა
დაუცადებლად წვართვა და სრულქმნა,
შენი დიდების მოზიარედ ქცევა ყოველთა.
ამ მიზნით შექმენ ზეცის ძალნი, სიბრძნით

მორჭმულნი, –

ცანი ცათანი დიადნი და გონმიუნვდომნი, –
რათა განითქვას, განიზიდოს ნაღვანი შენი,
მისწვდეს ულევი სიბრძნე შენი ნაშობთ ქალისას;
ადამის ძეთა, ხორციელი ბუნების მქონეთ,
აღთქმა დაუდე შენთა შექმნილთ მათივე ხსნისთვის
და მტვრისგან ქმნილი გული გაუხსენ,
რომ აიცილონ განკითხვის დღეს მსჯავრი სასტიკი.

მე, ჩემდა თავად, თიხისგან ქმნილი,
გულის ნაცვლად რომ ქვა მედვა მკერდში, –
რის მაქნისი ვარ, რომ ავმალდე, შენს ჩანაფიქრს
რომ მივალნიო?

შენ აღასრულე სიტყვა შენი, განზრახვა შენი,

და ამ ჩემს ყურში, მტვრისგან შეთხზულში, –
და ამ ჩემს გულში, გაუნაფავში,
მყარად აღბეჭდე ჭეშმარიტება.
შენ ამოძირკვე სიჯიუტე ჩემი თანმდევი
და შენი აღთქმით მიმიახლოვე,
რომ შენ წინაშე ვიდგე მყარად და შეუძვრელად
ღვთიური ნათლის მარადიულ ელვარებაში.
გაიფანტება უკუნი ბნელი
და დამკვიდრდება დიდი მშვიდობა . . .
და ასე – ჟამის აღსასრულამდე.



ხელდასჯულთა ჰიმნი

დღისით თუ ღამით ქებას ვუძღვნი, ვადიდებ უფალს
მის დანესებულ ჟამთა სვლაში, ყოველ დათქმულ დროს.

ვაქებ, როდესაც დღის ნათელის მეუფებაა,
ვაქებ, როდესაც მზე შედგება შუბისტარზე და
გადაიხრება, მიაშურებს თავის სავანეს.

ვაქებ, როდესაც თვალთვალს იწყებს სიბნელე ღამის,
როცა უფალი გახსნის თვისი იდუმალი საუნჯის

ბჭეთ და

როს ბნელი ნათლის დასაჯაბნად შეიმართება,
როდესაც ღამე გაშუალდება,

ნათლის წინაშე როცა ღამე დაიხევს უკან

და ზეციური წმინდა სიღრმიდან

როს მზე და მთვარე მოგვევლინება,

როცა ორივე მიაშურებს თავთავიანთ

წმინდა სამყოფელს.

ვაქებ მაშინაც, წელიწადის ახალი დრო როცა დადგება
და დაიწყება განლობილი ახალი მთვარით,

როს მზე და მთვარე მიაღწევენ მისაბრუნს თვისას,
მერე კი ადგილს დაუთმოებენ ისევ ერთმანეთს
და განაგრძობენ წრებრუნვას კვლავაც.

როცა წლის დრონი ერთმანეთში მონაცვლეობენ,
როცა ახალი თვე დაიწყება,
როცა დადგება ბუნიობა, ან რომ მოაწვეს ნაბუნიობა, –
მე ქვის ფიცრებზე ამოკვეთილ მცნებად მივიჩნევ
ჩემს ბაგეთაგან უფლის მიმართ ქების წარმოთქმას.

როცა იწყება წელი ახალი,
ან რომ დადგება წლის ერთი დროის
წლის მეორე დროდ გარდაქმნის ჟამი, –
როცა ყოველი დრო გაასრულებს
ბუნებით მისთვის დაწესებულ დღეთ,
როცა ისინი ერთმანეთში მორიგდებიან, –
მკის ჟამი ზაფხულს ერგება წილად,
ხვნა-თესვა – მწვანედ მღვივან გაზაფხულს.

დღეთა, კვირათა მდინარებაში
წლის რამდენიმე დრო ჩათავდება,
შემდეგ კი წელი შეიკვრება და გასრულდება,
კვირათა რიგი განაახლებს თავის სათვალავს.

ამ წესს მივყვები, ამას ვიცავ, ვით უფლის კანონს,
ქვის ორ ფიცარზე ძველთაგანვე მცნებად აღბეჭდილს.
მინდა მივუძღვნა უფალს ქება გამორჩეული,
ჰანგი შევუწყო, ამოთქმული ჩემს ბაგეთაგან.

უფალს ვადიდებ გამთენიისას,
ვადიდებ, ვიდრე ტანს ავიკრეფდე
და ვიდრე ხელ-ფეხს გავატოკებდე.
სადმე მივალ თუ ვუბრუნდები სამყოფელს ჩემსას, –
როცა ვზივარ, ან რომ წამოვდგები,
ან როცა ვწევარ ჩემს სარეცელში, –
უფალს ვუგალობ, მას ვაქებ და მას განვადიდებ.

სულიერ ძმებთან სატრაპეზო სუფრასთან მჯდომი
ხელს რომ გავიწვდი, რათა დავწვდე ნაყოფს მიწისას,
ჯერ სამადლობელს შევწირავ უფალს
და ქებას ვუძღვნი ყოვლის შემოქმედს.

ძრწოლამ და შფოთმა თუ ჩამითრია,
ჭმუნვა-ნალველი თუ მომეძალა,
ღმერთს განვადიდებ საგანგებო საგალობელით,
მე გავიხსენებ უფალი ღვთის ძალმოსილებას
და მის წყალობას, მის უსაზღვრო მიმტევებლობას,
ფიქრს მივეცემი და გავიაზრებ:
ხელენიფება მას ერთადერთს განსჯა ყოველთა,
ჭეშმარიტია ყოველივე უფლისგან ქმნილი.

განსაცდელი თუ თავს დამატყდება,
მანც განვაგრძობ დიდებას ღვთისას,
ხოლო როდესაც შვებას მომგვრის უფალი ჩემი,
ხმას შევეურთებ მისი ქების მგალობელთ ქოროს.

მე წყენას გულში არ ჩავიხვევ არავის მიმართ,
ყველას სიკეთით მივაგებ პატივს,

რადგან ვიცი, რომ მხოლოდ უფალს ხელენიფება
განკითხვა ყველა სულიერისა,
იგი მიაგებს ყოველს მისი ღვანლის მიხედვით.

შურს არ აღმიძრავს მე ბოროტთა მომხვეჭელობა,
უმართებულოდ დაუნჯებას სიმდიდრისას არ
დავხარბდები,
არ ჩავებმები უკეთურთა დავაში, ქიშპში, –
მათ განკითხვის დღეს სასჯელი ელის.
უჯიათთა და უკმეხთა მიმართ
რისხვის ჩაცხრომას არ შევეცდები,
ვერც დავმშვიდდები სამართალის განჩინებამდე.

ვინც შეცოდებას გულმხურვალედ მოინანიებს,
იმათ მიმართ მე გულში წყრომას არ ჩავიტოვებ,
ხოლო უფლის გზას, ქეშმარიტ გზას, ვინც გადაუხვევს,
ის თანაგრძნობას ჩემგან ნუ ელის.
ვერ ვანუგეშებ განდრეკილთ და გზიდან განდგომილთ,
ვიდრე სავალ გეზს არ შეიცვლიან.

სიბილწესა და უხამსობას მე ჩემს გულში არ გავიკარებ,
ჩემს ბაგეთაგან ვერვინ მოისმენს
უშვერ, ავ სიტყვას, ანდა სიცრუეს.
წარმოითქმება ჩემი ენით მხოლოდ სინმინდე,
მე ბოროტთა ბინს არ გავიკარებ.

ბაგეს გავაპობ, რომ ვთქვა უფლის სადიდებელი,
მარად შეაქებს ენა ჩემი უფლის სიუხვეს
და ვილაღადებ სიმუხთლეზე ადამიანთა.

ეს ღალადისი მანამდე გასტანს,
ვიდრე კაცთ შორის ცოდვის ჟინი აღმოიფხვრება.

უაზრო სიტყვებს, ფუჭ საუბარს მე არ აცყვები,
სიბილნესა და უხამსობას აირიდებს გონება ჩემი.
დავენაფები ცოდნას, თანაც მე ყურს მივუპყრობ
სამყაროს რიტმს და ბრძნულ შეგონებებს,
რათა გონება მქონდეს სხარტი, დაუნჯებულნი.

რწმენის დაცვისთვის შემოვიღებ გონივრულ წესებს
და დავამკვიდრებ მართალ სამართალს,
ამისთვის ძალაც კი რომ დამჭირდეს;
უფლის დიად მსჯავრს შევეუნონი შემთხვევას ყოველს.

მე შევათავსებ სამართალსა და სათნობას,
დაბეჩავებულთ და დაჩაგრულთ სიკეთეს მოვფენ;
გულმოშიშთ, ჯაბანთ სიმტკიცეს და ძალას შევმატებ;
უბირთ, შეცთომილთ და გზააბნეულთ
მე შთავაგონებ მღვიძარებას, სულის სიფხიზლეს;
უფლის გზისაგან განდრეკილებს, რწმენისაგან
განშორებულებს

მე გავანათლებ ღვთის მცნებით და მწყობრი
მოძღვრებით;
ამაყთ და გოროზთ შევაგებებ სილბოს, სიმშვიდეს;
უტიფართ, უწვრთნელთ, ამქვეყნიურ მონაგებზე
გადაგებულებს,
რომელნიც ზიზლით, მუქართა და თითის ქნევით
ამოიტყვიან სიტყვას უშვერს, სიტყვას საძრახისს, –
თავმდაბლად, დინჯად ვუპასუხებ, არ შეურაცხვეყოფ.

ღვთის იმედად ვარ, ის მეგულვის გზის
ნარმმართველად,
მისგან ძგერს მკერდში გული მართალი,
მისი წყალობით, მისი მადლით აღიხოცება
შეცოდებანი, ცოდვანი ჩემნი.

სიბრძნის წყაროდან ამოაშუქა
ნათელი თვისი უფალმა ჩვენმა
და მზერა ჩემი მისწვდა უფლის იდუმალებას,
გულში ჩაღვრილმა დიდმა ნათელმა
ულრმეს სფეროებს მიაღწია არსებობისას.

უფალი ღმერთი ჩემს მარჯვნივაა,
ჩემი ბილიკი კლდეს მიუყვება,
რათა ურყევად ვიდგე, მყარად და შეუძვრელად,
რადგან კლდე იგი ჩემთა ფეხთა ქვეშ
არის სიმართლე, ჭეშმარიტება;
მისი სიმტკიცე საყრდენია ჩემი მარჯვენის;
ღმობიერება უფლის არის მჩქეფარე წყარო,
რომელსაც მოაქვს ჩემთვის შენევნა,
განმტკიცება და გაძლიერება.

უფლის იდუმალ სასწაულთაგან
სინათლის სხივი მეღვრება სულში
და თვალი ჩემი უმზერს მხოლოდ უსაწყისოს და
უსასრულოს.

უბინობა და ღირსება გონმიუწვდომი,
უზენაესი, ულრმესი სიბრძნე, –
იდუმალი და დაფარული კაცთა მოდგმისთვის,

წყარო სიკეთის, სიმართლისა, ძლიერებისა,
დიდებულების სათავე და წყაროსთვალი სიდიადისა, –
რომელსაც ვერა ენა ვერ იტყვის, –
ესე ყოველი უწყალობა სამარადჟამოდ
უფალმა ღმერთმა რჩეულებს თვისას.
მემკვიდრეობად უბოძა მან ადამიანებს
ანგელოზთ დასთან ზიარი ბედი,
რათა შეექმნა სანეტარო წმინდა ერთობა,
რომლის სინმინდით აღორძინდება
უფლის ვენახის ძლიერი რქა და
მადლი იმ ყლორტის გადასწვდება მარადისობას.

რა მეთქმის ჩემზე,
კაცობრიობის ბოროტ მოდგმას მივეკუთვნები,
უზნეო მოდგმას და ერთობას ცოდვილთა გვამთა.
ჩემმა ცოდვებმა, შეცოდებებმა,
გულაცრუებამ, გულფიცხელობამ
წილად მარგუნა ერთობა მლილთან,
ჭიალუასთან, ბნელში მლოდავთან.

მოკვდავი კაცი ვერ წარმართავს თავის ნაბიჯებს,
მისი მსაჯული არის ღმერთი, უფალი ჩვენი,
იგი მიუძღვის ადამიანს ჭეშმარიტ გზაზე.

ღვთის სიბრძნით იქმნა ყოველივე, რაიც შეიქმნა
და ყოველივე, რაც არსებობს, მისი აზრის ანარეკლია,
თვინიერ მისსა არცარა იქმნა.

იხილე, მე თუ ნავბორძიკდი, ნავიფორხილე,
უფლის წყალობით არ შევბრკოლდები;

ხორცმა თუ მძლია, თუ მაცთუნა, თუ გავიდრიკე,
უმალვე ნელში გავიმართები.
განსაცდელი თუ თავს დამატყდება,
ღმერთი დაიხსნის ჩემს სამშვიველს წარწყმედისაგან,
მიმაგნებინებს ჭეშმარიტ ბილიკს.

უფალმა ღმერთმა მიმიახლოვა
თვისი უსაზღვრო ღმობიერებით
და სამართალი მისი მართალი
კვლავ გამოვლინდა მის წყალობაში.

გონმიუნვდომი ჭეშმარიტებით,
მიუთხრობელი და უსაზღვრო თვისი სიკეთით
შემინდობს ღმერთი ჩემს შეცოდებებს,
თვისი სიმართლით განმწმენდს ბინისგან
და ცოდვათაგან კაცთა მოდგმისა,
რათა შევიცნო, განვიცადო ჭეშმარიტება,
მარადიული ბრწყინვალება უზენაესის.

კურთხეული ხარ, უფალო ჩემო,
შენ გაუღვივე მსახურს შენსას წყურვილი ცოდნის,
შენვე წარმართავ მის ღვნას, მის გარჯას.
შენი მხევლის ძეს შენ შთაუწერგე
სიყვარული და ის სიკეთე შეუზომელი,
რომლითაც მსჭვალავ რჩეულ მოკვდავთ,
შენს მოიმედეთ,
და იყოლიებ შენ წინაშე სამარადჟამოდ.

უშენოდ, ღმერთო, ვერაკაცი ვერ მიაღწევს
სრულყოფილებას.
არც არაფერი არ არსებობს შენი ნების გარეშე,
ღმერთო!

შენ გვაზიარე სიბრძნეს წარუვალს,
და ყოველივე, რაც რამ არსებობს,
არსებობს შენი ნების წყალობით.
არავინაა და არაფერი,
წინ რომ აღუდგეს განზრახვას შენსას;
უშენოდ ვერვინ ვერ შეიცნობს შენს წმინდა ზრახვებს,
ანდა ვინ განჭვრეტს სიღრმეს შენი იდუმალების,
ან ვინ ჩასწვდება შენს სასწაულებს,
ან ძალას შენი სიდიადისას?!

ვინ გაიაზროს, ვინ გადასწვდეს დიდებას შენსას?!
ანდა რა არის კაცი მოკვდავი,
რა ადგილი აქვს შენი დიდი, იდუმალი ღვანლის წიაღში?
ქალის ნაშობი ვით წარმოდგეს წინაშე შენსა?
რამეთუ იგი შეზელილი არის მტვრისაგან
და გვამი მისი სარჩოა მლილის.
ის ჩამოსხმული ყალიბია, თიხისაგან ჩამოქნილია,
მინა არის და მიწად იქცევა.
პასუხად თიხამ რა შეგაგებოს?
ან იმან, რაიც თიხისგან შექმენ?!
ან კი რა აზრი ჩასწვდება ამას?!

შენიშვნები

ავყია – ყიამყრალი, ენამყრალი.

არვე – თხის ფარა.

ასპიტი – შხამიანი გველის სახეობა.

აყალო – თიხა. აყალო მინა – თიხანარევი მინა.

ბალავარი – საძირკვლის ლოდი, კედლის საყრდენი.

ბანაკი დასცეს – დაბანაკდნენ.

ბელიარი – (ებრ.) ბოროტება, უკეთურება. ესეველ-
თა ჰიმნში, ისევე როგორც ახალ აღთქმაში
(II კორინთელთა, 6,15), იხმარება ეშმაკის სი-
ნონიმად.

ბისტი – ლიბრი. „თვალზე ბისტი მაქვს ნაფარებული“
– მზერა დაბინდული მაქვს.

ბინი – ზნეობრივი მანკი, უწმინდურობა.

ბუნიობა – დღე-ღამის გათანაბრება მარტსა და სექ-
ტემბერში.

გლისპი – ანჩხლი, კაპასი, გულისწყრომის ვერდამ-
თმენი. **გაგლისპებული** – გაანჩხლებული,
გაკაპასებული.

გოდოლი – მაღალი კოშკი, ასევე: გალაგნის საყრდენი
კოშკი.

გონებადაუნჯებული – გონიერი, დინჯი, გამჭრიახი.

გულჩქარი – ცეტი, დაუდევარი, სულსწრაფი.

დასამხრობი – დასაყრდნობი, მხარის დამჭერი.

დაუნჯება – დაგროვება, შენახვა. გონებადაუნჯებუ-
ლი – გონიერი.

დაულამებელი ნათელი – მარადიული ნათელი ღვთის აპო-
ფატიკური ატრიბუტია, უარყოფითი მახა-
სიათებლით გამოხატული განსაზღვრებაა.

დაუცადებელი (ლოცვა, გალობა, ქება) – განუწყვეტელი, გაბმული (ლოცვა, გალობა, ქება); **დაუცადებლად** – განუწყვეტილად, შეუსვენებლად.

ვარჯი – ხის განშტოებული ნაწილი ქვედა ტოტებიდან კენწეროიანად.

ზავთი – გამაყრუებელი, ძლიერი ხმა.

ზეცისა ძალნი – ანგელოზთა დასი, ანგელოზთა იერარქია; იგივე „ძალნი ცათანი“, „ზეცის მხედრობა“.

ზრო – ხის ტანი განშტოებამდე. ისრის ზროსაც იტყოდნენ.

ზღვარდაუდებელი – უსაზღვრო, აურაცხელი. ძველ ქართულ მწერლობაში დიდად გავრცელებული ერთ-ერთი აპოფატიკური განსაზღვრება.

„ზღვარს დასაზღვრავს არსთა გამრიგე“ – იგულისხმება: უფალი უნესებს ანგელოზთა იერარქიას უფლება-მოვალეობებს და მოქმედების საზღვრებს. იხ.: „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად“ (რუსთაველი).

თესლი („მათი თესლი მარად იყოს შენს სიახლოვეს“) – აქ: მოდგმა, შთამომავლობა, ნაშიერი.

თვინიერ – გარდა, გარეშე.

კბოდე – კლდოვანი მიუდგომელი ნაპირი მდინარისა, ზღვისა.

ლალა – აღმზრდელი მამაკაცი.

ლანგმოდებული – მდინარის ან ზღვის ტალღა რომ მოიკიდებს და მოიყოლებს ნალენს, ნაგავს, ქუჭყს.

ლია – ლამი, საფლობი ტალახი.

ლიბო – სახლის საძირკველი.

ლმობა – ტკენა. „გული მელმოდა“ – გული მტკიოდა.

ლორთქო – ნორჩი, ახალამოყრილ ბალახზე და
მცენარის ყლორტზე იტყვიან.

მთხრებლი – ზოგადი სახელი ჩაღრმავებული და ჩაბ-
ნელებული ადგილისა: ხნარცვი, თხრილი,
ხარო, ორმო.

მისაბრუნი (მზისა) – დღე-ღამის გათანაბრების, ანუ
გაზაფხულის ან შემოდგომის ბუნიობის,
შემდეგ დღის კლება ან მატება.

მიუთხრობელი – ენა რომ ვერ იტყვის, ვერ აღწერს,
ენით რომ ვერ გამოიხატება. ძველ ქართულ
მწერლობაში დამკვიდრებული ერთ-ერ-
თი აპოფატიკური განსაზღვრება სულიერ
ფასეულობათა.

მუცლადღებული – ფეხმძიმე, ორსული.

მღვიძარება – აქ: სულის სიფხიზლე.

მიქივლება – წყლის მიშვება უხვ ნაკადად. „ჩემს
წალკოტსაც შენ მიუქივლე ნაკადულები“ –
უხვად დაარწყულე ჩემი წალკოტი.

ნაბუნიობა – დღის კლების დასაწყისი ივნისში და ღა-
მის კლებისა – დეკემბერში.

ნარშავა – ეკლიანი სარეველა ბალახი.

პერი – ქაფი. მეტწილად ზღვის და მდინარის ქაფზე
იტყვიან.

როფი – წყლის დიდი პირღია ჭურჭელი ამოთლილი
ხისა ან ფიცრებისგან შეკრული.

რქა – მრავალპლანიანი მითოლოგიურ-რელიგიური
სიმბოლოა. ბიბლიური სახისმეტყველებით

ნიშნავს ძალას, ძლიერებას, სიცოცხლის-
უნარიანობას („აღმალლდეს რქაჲ მართალ-
თაჲ“. ფსალმ. 74, 11). ეს დატვირთვა აქვს
„რქას“ ესეველთა ჰიმნშიც:
„აღორძინდება უფლის ვენახის ძლიერი რქა და
მადლი იმ ყლორტის გადასწვდება
მარადისობას“.

საბელი – თოკი, ბანარი.

სადაგი – ჩვეულებრივი. სადაგი დღე – კვირის ნების-
მიერი დღე შაბათ-კვირისა და უქმე დღეე-
ბის გარდა.

საკრველი – ბორკილი.

სამანი – საზღვარი, ზღვარი.

სამშვინველი – ჩვენი რელიგია ადამიანს ტრიქოტო-
მიულ არსებად მიიჩნევს, რაც ეფუძნება
ახალ აღთქმას: „ხოლო თავადმან ღმერთ-
მან მშვიდობისამან წმიდა გყვენინ თქუენ
ყოვლითა სრულებითა და ყოვლითა სი-
ცოცხლითა **სული** თქუენი, **სამშვინველი** და
გუამი უბინოდ მოსლვასა მას უფლისა ჩუე-
ნისა იესო ქრისტესსა დაჰმარხენინ (I თე-
სალონიკელთა 5,23). ტრიქოტომია ყოველმა
ქრისტიანმა ერმა ასახა თავის ენაში: ბერძნ.
πνεῦμα, ψυχή, σῶμα; ლათ. spirit, anima, cor-
pus; გერმ. Geist, Seele, Korper ან Leib; ინგლ.
spirit, soul, body; ფრანგ. esprit, ame, corps;
რუს. тело, душа, дух . . . ასე გვექონდა ქართ-
ველებსაც: **სული**, **სამშვინველი** და **გუამი** (ან:
სხეული, ხორცი). სულხან-საბას დროს ჯერ
კიდევ ცოცხალი სიტყვა **სამშვინველი** ენი-

დან განიდევნა და დღემდე **სულს** ვუნოდებთ სულსაც და სამშვინვეელსაც. ამ სიტყვას თუ თავის ადგილს დავუბრუნებთ, სიტყვა **სულიც** დაიბრუნებს თავის მნიშვნელობასა და ადგილს ენაში. ქართველი კაცი გრძნობს ამ შეუსაბამობას და ერის სულის ან აბსოლუტური სულის ნაცვლად გაჩნდა „ერის გონი“, „აბსოლუტური გონი“. ამ ბოლო ხანს უამრავი უცხო სიტყვით დავტვირთეთ ჩვენი ენა: *მართვა*, *შერჩევა* და სხვა მრავალი ჩავანაცვლეთ *მენეჯმენტით*, *კასტინგით* და ა.შ. და ა. შ. ეგებ ვეცადოთ, გავისარჯოთ და ასე საჭირო **სამშვინველი** დავუბრუნოთ ჩვენს დალოცვილ ენას.

საყუდარი – თავშესაფარი, საყუდელი.

სანყალობელი – შესაბრალისი.

სახიერება – სიკეთე; სახიერი – კეთილი, კეთილისმყოფელი.

სიბრძნით მორჭმული – ვისაც სიბრძნე აქვს დაუნჯებული.

ტლუ – უბირი, ხეპრე.

ურვეული – მნუხარე, დარდიანი, შენუხებული.

ულამებელი, დაულამებელი (ნათელი) – ღვთაებრივი ნათელი, ერთ-ერთი აპოფატეკური განსაზღვრება ღვთისა.

უცები (კაცი) – უგნური, უვიცი, უმეცარი.

უცხო თესლი – განსხვავებული გვარ-ტომის ადამიანი, უცხო მხარის მკვიდრი.

უჯიათი – ჯიუტი, შეუსმენარი, თავისნათქვამა, უკმენი.
ფიცარი, „ფიცარნი ქვისანი“ – აქ: ქვის ორი ფირფი-

ტა, რომლებზედაც დაწერილი ათი მცნება უფლისგან ებოძა მოსე წინასწარმეტყველს. „ორნი ფიცარნი, რომელნი წერილ იყვნეს ორკერძოვე, ამიერ და იმიერ და ფიცარნი იგი ქმნულ ღმრთისანი იყვნეს“ (გამოსლვათა, 32,15-16). „ფიცარნი ქვისანი“, იგივე „ფიცარნი სჯულისანი“, ინახებოდა სჯულის კიდობანში.

ქავ-ციხე – ციხესიმაგრე გალავნითურთ; **ქავი** – გალავანი.

ქირდვა – გაკილვა, დაცინვა, აუგის თქმა.

ქორი – სართული; დარბაზი სახლის ზედა სართულზე.

ქორო – გუნდი; **ზეცის ქორო** – ანგელოზთა გუნდი.

ღვთისგარეგანი – უღვთო, ღვთისგან განმდგარი.

შეგრაგნე (ცანი) – ცა შემოაგრაგნე, შემოახვიე დედამინას (ქართულ ჰიმნოგრაფიაში დამკვიდრებული შესიტყვება).

შეითქვენ – პირი შეკრეს.

შეუზომელი (სიკეთე) – აღუწერელი, ზღვარდაუდებელი. ერთ-ერთი აპოფატკური მახასიათებელი ღვთისა.

შეურვებული – ურვამოძალებული, შეჭირვებული, დარდიანი.

ძეძვი – დატოტვილეკლებიანი ბუჩქი.

წინწკალი – წვრილი ნაპერწკალი.

ხარო – ღრმა ორმო.

ხელისაღმპყრობი, ხელისაღმპყრობელი – დამხმარე.

ხნარცვი – თხრილი, ორმო.

ხორშაკი – ცხელი ქარი.

ჰოროლი (იგივე ოროლი) – საბრძოლო იარაღი, „ლახვარი ორპირი და ბუნგრძელი“ (საბა).

სარჩევი

მთარგმნელისაგან	3
ღვთის სადიდებელ ჰიმნთა წიგნი ანუ სამადლობელი ფსალმუნები	59
ხელდასხმულთა ჰიმნი	152
შენიშვნები.....	162